ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

თბილისის უნივერსიტეტი

17 მარტი, სამშაბათი, 2015 წ., №3

ნომერში

■ აკადემიურმა საბჭომ ფაკულტეტს გადასახადის გაზრდის თაობაზე საკითხის გადახედვა ურჩია
გვ. 2

■ სამეცნიერო საქმიანობის გააქტიურებისკენ მოწოდება და არაერთგვაროვანი რეაქციები
გვ. 3

■ შეჭირვებული სტუდენტების დასახმარებლად სწავლის ხელშეწყობის ფონდი შეიქმნა
გვ. 5

■ თსუ-ის ბიბლიოთეკის პროექტი უსინათლო სტუდენტებისთვის
გვ. 5

■ სარგებლობს თუ არა საუნივერსიტეტო საზოგადოება უნივერსიტეტის ელექტრონული ფოსტის მისამართით (- - - @tsu.ge)
გვ. 6

სტუდ-ეტიპი
მე-8-9 გვ.

თსუ-ის პოსტდოქტორანტურის კონკურსში გამარჯვებულები დასახელდნენ

პირველად საქართველოში სწორედ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გაიზიარა მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილება და 2014 წლიდან თსუ-ში ამოქმედა პოსტდოქტორანტურის ინსტიტუტი, რომელიც თსუ-ის რექტორის, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას ინიციატივით შეიქმნა. უნივერსიტეტში პოსტდოქტორანტურის კონკურსში გამარჯვებულები უკვე დასახელდნენ. თსუ-ის პოსტდოქტორანტურაში მიღების საკონკურსო კომისიამ 5 გამარჯვებული გამოავლინა: მაია სვანაძე (ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი), ნატო ფიცხელაური (მედიცინის ფაკულტეტი), ნათია ფიფია (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი), გიორგი რუსიაშვილი (იურიდიული ფაკულტეტი), თამარ კბილაძე (ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი). კონკურსში გამარჯვებულებს გადაეცათ სერტიფიკატები.

ღონისძიებას თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, ფაკულტეტებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების წარმომადგენლები და სტუდენტები ესწრებოდნენ.

„დღეს ჩვენ პირველად წარვუდგინეთ საქართველოს პოსდოქტორანტები. ეს ინსტიტუტი მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში წარმატებით ფუნქციონირებს. პოსტდოქტორანტურის ჩამოყალიბება ჩემი წინასაარჩევნო პროგრამის ნაწილი იყო და ეს ინიციატივა შესრულდა. ამით ახალგაზრდა მეცნიერებს შესაძლებლობა ეძლევათ — უნივერსიტეტში გააგრძელონ სამეცნიერო კვლევა. პოსტდოქტორანტურაზე მისაღები საუნივერსიტეტო სტანდარტი დაწესდა — 8 კანდიდატიდან კონკურსში 5-მა გაიმარჯვა. ეს დიდი სტიმულია კვლევაზე ორიენტირებული ახალგაზრდა მეცნიერებისთვის. ამით ჩვენ მაგალითს ვაძლევთ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებს“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა ვლადიმერ პაპავამ.

პოსტდოქტორანტი დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირია, რომელიც უნივერსიტეტში ორ წლამდე ვადით საქმდება — კონკრეტული სამეცნიერო-კვლევითი პროექტის განსახორციელებლად. იგი სარგებლობს უნივერსიტეტის განკარგულებაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. ამასთან, პოსტდოქტორანტს უფლება აქვს იყოს უნივერსიტეტის მასწავლებელი ან დამხმარე პერსონალი, ხოლო მისი შრომის ანაზღაურება უტოლდება ასისტენტ-პროფესორის მინიმალურ ხელფასს.

საკონკურსო ფორმით პოსტდოქტორანტურაში 5 კონკურსანტი, ვადიანი ხელშეკრულების საფუძველზე, 2 წლით დასაქმდება უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტზე.

რატომ გადაწყვიტეს პოსტდოქტორანტებმა კონკურსში მონაწილეობა, რა პროექტები წარმოადგინეს და რა კვლევითი სამუშაოების განხორციელებას აპირებენ — ამის შესახებ თავად გვესაუბრებიან.

მაია სვანაძე
(ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, 100 ქულა):

— სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ სურვილი მქონდა, სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობით ვყოფილიყავი დაკავებული. პოსტდოქტორანტურა არის ზუსტად ის პოზიცია, სადაც ახალგაზრდა მეცნიერს საშუალება ეძლევა ამ ორ კომპონენტში თავისი შესაძლებლობები განავითაროს.

საკონკურსოდ წარმოვადგინე პროექტი: „ბლანტი დრეკადობისა და თერმო-დრეკადობის მიკროპოლარული წრფივი თეორიების სასაზღვრო ამოცანების გამოკვლევა კელვინ-ფოიგტის მასალებისათვის“. დაგეგმილი მაქვს, ამ ორი წლის განმავლობაში შევისწავლო აღნიშნული თეორიების სასაზღვრო ამოცანები პოტენციალთა მეთოდითა და სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა თეორიის გამოყენებით და მიღებული შედეგების საფუძველზე გამოვაქვეყნო სტატიები მაღალრეიტინგულ ჟურნალებში, ასევე, მონაწილეობა მივიღო საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში.

მე-2 გვერდზე

თსუ ამზადებს ინფორმაციას TIMES-ის უმაღლესი განათლების რანჭირების სისტემაში დასარეგისტრირებლად



Webometrics-ის რანჭირებით თსუ კავკასიის რეგიონის ლიდერია!

მე-3 გვერდზე

თსუ-ის პოსტდოქტორანტურის კონკურსში გამარჯვებულები დასახელდნენ

პირველი გვერდიდან

პოსტდოქტორანტის პოზიცია საშუალებას მომცემს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით, კვლავ აქტიურად გავაგრძელო სამეცნიერო მუშაობა. ჩემთვის მნიშვნელოვანი იქნება პედაგოგიური გამოცდილების მიღებაც, რომელიც პროფესიონალად ჩამოყალიბებაში დამეხმარება.

ნატო ფიცხელაური
(მედიცინის ფაკულტეტი; 99 ქულა):

— საკონკურსოდ წარვადგინე პროექტი: „პაციენტის უსაფრთხოება საქართველოში: შეფასება ჰოსპიტალურ სექტორში". კვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველოში პაციენტის უსაფრთხოების კულტურის შეფასება ჰოსპიტალურ სექტორში და პაციენტის უსაფრთხოების კულტურის ამაღლების ხელშეწყობა.

მსგავსი პრაქტიკა განსაკუთრებით ფართოდ არის გავრცელებული განვითარებულ ქვეყნებში (აშშ, ნიდერლანდები, დიდი ბრიტანეთი, ბელგია, დანია, ნორვეგია, საფრანგეთი, იაპონია). ბოლო წლებში ამ პრაქტიკას საფუძველი აღმოსავლეთ ევროპისა და აზიის ქვეყნებშიც ჩაეყარა. რაც შეეხება საქართველოს, აქ სამედიცინო პერსონალისა და პაციენტების ინფორმირებულობის დონე უსაფრთხოების საკითხებზე დაბალია, პაციენტთა უსაფრთხოების სფეროში ჩატარებული კვლევების რაოდენობაც მეტად მცირეა და არ ჩატარებულა შედარებითი ანალიზი სხვა ქვეყნებთან. აქედან გამომდინარე, 2015 და 2016 წელს, ჰოსპიტალურ სექტორში პაციენტთა უსაფრთხოების კვლევა გლობალურ დონეზე აღიარებული და აპრობირებული მეთოდოლოგიის გამოყენებით, მეტად აქტუალური იქნება, რაც საშუალებას მოგვცემს, ერთი მხრივ, შევისწავლოთ მიმდინარე ეტაპზე საქართველოში არსებული მდგომარეობა, ხოლო, მეორე მხრივ, მიღებული შედეგები ხელმისაწვდომი გავხადოთ საერთაშორისო სამედიცინო საზოგადოებისათვის.

იმედი მაქვს, რომ უნივერსიტეტში სათანადო პირობები და ხელშეწყობა მექნება კვლევის ჩასატარებლად. სამეცნიერო მიმართულებით მუშაობა ხელს შემიწყობს მაღალი ცოდნისა და კომპეტენციების მკვლევარი გავხდე. გარდა ამისა, ვფიქრობ, ჩემ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები ხელს შეუწყობს პაციენტის უსაფრთხოების კულტურის ამაღლებას და, ზოგადად, მთელი მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებას საქართველოში.

ნათია ფიფია
(ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი; 96.5 ქულა):

— პოსტდოქტორანტურაში ჩაბარება საუკეთესო შესაძლებლობაა ახალგაზრდა მეცნიერისთვის, რომელმაც დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და სურვილი აქვს სამეცნიერო და აკადემიური საქმიანობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გააგრძელოს. ამიტომ გადავწყვიტე, მონაწილეობა მიმეღო პოსტდოქტორანტურის კონკურსში.

ჩემი სამეცნიერო ინტერესის სფეროს ქართველოლოგია წარმოადგენს. ამჯერად კვლევის თემად ავირჩიე: „მედეას მეტამორფოზა შუა საუკუნეებსა და რენესანსის ეპოქაში". მედეას სახე ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ყოველთვის წარმოადგენდა განსაკუთრებული ინტერესის საგანს. ჩვენი კვლევის მთავარ მიზანია, ქართულ სამეცნიერო საზოგადოებას გავაცნოთ მედეას სახე შუა საუკუნეებისა და აღორძინების ხანის დასავლურ ლიტერატურაში – როგორც მხატვრულ, ასევე, ისტორიული ხასიათის თხზულებებში. კონკრეტულად, დაგეგმილი გვაქვს შესაბამისი ტექსტების შესწავლა და მათი შედარება ანტიკური ხანის ტექსტებთან – თუ როგორი წარმოედგინათ და როგორ წარმოაჩენდნენ შუა საუკუნეების და აღორძინების ხანის ავტორები მედეას, რა შეიცვალა ამ თვალსაზრისით ანტიკურობიდან აღორძინებამდე. ამ საკითხებზე მუშაობა ჩემთვის შესაძლებელი გახდა სწორედ პოსტდოქტორატურის პროექტის ფარგლებში, რომელიც ხელს შეუწყობს ჩემს აკადემიურ წინსვლას.

ეს პროექტი ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის და, დარწმუნებული ვარ, შესაძლებლობას, რომელიც უნივერსიტეტმა მომცა, წარმატებით გამოვიყენებ.

გიორგი რუსიაშვილი
(იურიდიული ფაკულტეტი; 95 ქულა):

— როგორც პოსტდოქტორანტი, ვაპირებ ვიმუშაო პროექტზე – „ქართული უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის მიმოხილვა შედარებით-სამართლებრივ ჭრილში." ქართული უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლიდან დღემდე უცვლელია, ყველაზე მეტად გერმანული სამართლისგან არის დავალებული და წარმოადგენს გერმანელი მეცნიერის, დეტლეფ კონიგის უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის კანონპროექტის ხორცშესხმას, რომელიც უშუალოდ გერმანიაში არასდროს შესულა ძალაში, რაც მას შედარებითი სამართლებრივი კვლევისათვის ორმაგად მიმზიდველს ხდის. თუმცა არა კანონის ტექსტი, არამედ გერმანული სასამართლო პრაქტიკისა და იურიდიული ლიტერატურის მიერ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში შემუშავებული დოგმატიკა აქცევს გერმანული უსაფუძვლო გამდიდრების სამართალს ერთ-ერთ ყველაზე დახვეწილ და, ამავე დროს, რთულად აღსაქმელ ინსტიტუტად მსოფლიოში. ქართული იურიდიული დოქტრინა კანონის ტექსტის განმარტებისა და მის უკან მდგომი შინაარსის ამოკითხვის თვალსაზრისით, საკმაოდ მოიკოჭლებს და ამ მხრივ ახლოსაც ვერ მივა გერმანულთან. სწორედ გერმანული დოქტრინის მიერ შემუშავებული მეთოდისა და სახელმძღვანელო პრინციპების გაცნობასა და ქართულ სამართალთან მისადაგებას ისახავს მიზნად წინამდებარე პროექტი, რომლის გარეშეც შეუძლებელია კანონის ტექსტის (რაოდენ დახვეწილიც არ უნდა იყოს იგი) „ამუშავება" და მისი მეშვეობით პრაქტიკაში წარმოშობილი გამოწვევების ამომწურავად გადაწყვეტა.

პოსტდოქტორანტურაში საქმიანობასთან დაკავშირებით მაქვს დაახლოებით იგივე მოლოდინი, რაც ამ სამეცნიერო პროგრამის ოფიციალურ დასაბუთებაშია მითითებული — დავკავდები ჩემი პოსტსადოქტორო პროექტის კვლევით, რომლის საბოლოო მიზანი თემასთან დაკავშირებული მონოგრაფიის შექმნა იქნება.

თამარ კბილაძე
(ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, 93.5 ქულა):

— როგორც პოსტდოქტორანტი, ვიმუშავებ შემდეგ პროექტზე: ,,ახალი საგადასახადო პარადიგმა''. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული მაქვს როგორც საწარმოებში, ისე მოსახლეობაში საგადასახადო ტვირთის სიმძიმე-სიმსუბუქის უთანაბრობის ემპირიული კვლევების ჩატარება; მომზადდება წინადადებები დაბეგვრის პროპორციული სისტემიდან პროგრესულ სისტემაზე გადასვლის მიზანშეწონილობის შესახებ; ასევე, გამოვიკვლევთ საგადასახადო სამართლიანობისა და სოლიდარობის პრობლემებს.

იმედი მაქვს, რომ პოსტდოქტორანტურაში საქმიანობა კიდევ უფრო გამიღრმავებს ემპირიული კვლევების ჩატარების უნარ-ჩვევებს, რაც სამომავლოდ დამეხმარება სამეცნიერო კარიერაში და გამოყენებით პრაქტიკულ საქმიანობაში. ვფიქრობ, კვლევის შედეგები დაინტერესებს ბიზნეს-წრეების, მეცნიერებისა და სამთავრობო უწყებების წარმომადგენლებს.

ესაუბრა
თამარ დადიანი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე

აკადემიურმა საბჭომ ფაკულტეტს გადასახადის გაზრდის თაობაზე საკითხის გადახედვა ურჩია

მარტის დასაწყისში სოციალურ ქსელში გავრცელდა ინფორმაცია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე მიიღეს გადაწყვეტილება დოქტორანტურის დამატებითი სემესტრის სტუდენტებისთვის გადასახადის (ჯამში 600-დან 3150 ლარამდე) გაზრდის თაობაზე. ამ საკითხს ვრცელი პუბლიკაცია მიუძღვნა გაზეთმა „რეზონანსმა" (2015 წლის 6 მარტი, პარასკევი), რომელთან საუბარშიც თსუ-ის დოქტორანტურის სტუდენტი მანუჩარ გვარამია აცხადებდა: „იმ მიმართულებებზე, სადაც ექსპერიმენტებია საჭირო (ვგულისხმობ ლაბორატორიულ ექსპერიმენტებს), ჩვენი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურით სამ წელიწადში თემის დაცვა ძნელია, ამიტომაც გვიწევს იმ ექსპერიმენტების უცხოეთში ჩატარება, რომელიც თსუ-ში არ კეთდება. ახლა მე გერმანიაში ვარ და აქ ვაკეთებ ჩემი სადოქტოროს ექსპერიმენტულ ნაწილს. თუ ასე გაგვიძვირებენ გადასახადს, მოგვიწევს სტატუსის შეჩერება და, სტატუსი თუ არ გვექნა, ვერ მოვიგებთ სამეცნიერო გრანტს, რომელთა დახმარებითაც დავდივართ უცხოეთში ექსპერიმენტებზე".

ამავე საკითხს ეხმიანებოდნენ თსუ-ის სხვა სტუდენტებიც. „ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტები, ფაქტობრივად, უნივერსიტეტის მთავარ ღირსებას წარმოადგენენ. ისინი საერთაშორისო ასპარეზზე ყველაზე უკეთ და, ხშირად, მარტო წარმოაჩენენ ხოლმე ჩვენს ინტერესებს. მათ უდიდეს უმრავლესობას დამატებითი სემესტრის აღება მხოლოდ იმიტომ უწევს, რომ უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არაფრად ვარგა. ისინი თავიანთი კვლევის დასრულებას ჩვენი რესურსებით ვერ ახერხებენ. დღემდე ამ ფაკულტეტზე დოქტორანტებისათვის ძირითადი სემესტრის ღირებულება 150 ლარი გახლდათ (სულ ექვსი სემესტრია). დოქტორანტებს აქვთ უფლება, გაიარონ ოთხი დამატებითი სემესტრიც. აქამდე ძირითადი და დამატებითი სემესტრების ღირებულება თანაბარი იყო (150 ლარი). ცოტა ხნის წინ კი საფაკულტეტო საბჭომ მიიღო საშინელი გადაწყვეტილება. პირველი დამატებითი სემესტრი ეღირება 300 ლარი, მეორე 600, მესამე და მეოთხე კი 1125-1125 ლარი. ყველა სხვა ფაკულტეტზე დოქტორანტურაში ფიქსირებული გადასახადია ყველა სემესტრისათვის, თუმცა უცნაური სუბიექტები დამატებით სემესტრებში მხოლოდ სამხედრო სამსახურიდან გაქცევის მიზეზს ამჩნევენ (დაზარალებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი გოგოა, მაგრამ, მაინც) და თან დამატებითი შემოსავლის მოძიებას ესწრაფვიან. ნორმალურ ქვეყანაში კარგ დოქტორანტს სუპერლაბორატორიაში ამუშავებენ და დამატებით სტიპენდიასაც უხდიან. ჩვენთან კი დანჯღრეულ ბაზას სთავაზობენ და დაუსაბუთებლად, უაზროდ უზრდიან გადასახადს. ეს საშინელებაა..." — წერდა სოციალურ ქსელში თსუ-ის მაგისტრატურის სტუდენტი და სენატის წევრი ლევან ლორთქიფანიძე. ამავე საკითხს აპროტესტებდა ასევე სენატის წევრი ირაკლი კუპრაძეც.

სტუდენტებმა გადასახადის ძველ ნიშნულზე (სემესტრში 150 ლარი) დაბრუნების შესახებ განცხადებით მიმართეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს, რომელმაც განიხილა სტუდენტების განცხადება და რეკომენდაციით მიმართა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ხელმძღვანელობას — დაუბრუნდნენ ამ საკითხის განხილვას და შეისწავლონ სტუდენტთა მოთხოვნები.

P.S. გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი" შემდეგ ნომერში ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს ახალ გადაწყვეტილებას კიდევ დაუბრუნდება და ფაკულტეტის დეკანის რამაზ ბოჭორიშვილის მოსაზრებასაც გაგაცნობთ (ამ დრომდე რესპონდენტმა ჩვენს შეკითხვებს არ უპასუხა, ამიტომ იმედს ვიტოვებთ, რომ ბატონი **რამაზ ბოჭორიშვილი** გამოგვეხმაურება და თავის პოზიციას თუ საბოლოო გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხზე გაგვანდობს).

თსუ ამზადებს ინფორმაციას TIMES-ის უმაღლესი განათლების რანჟირების სისტემაში დასარეგისტრირებლად

პირველი გვერდიდან

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მსოფლიო უნივერსიტეტების საუკეთესო 10%-ში შევიდა, კავკასიის რეგიონში კი პირველია.

2015 წლის მონაცემებით, მსოფლიოს 23 887 უნივერსიტეტს შორის, თსუ 2006-ე ადგილზეა, ევროპის უნივერსიტეტების ჩამონათვალში (4000-მდე უნივერსიტეტი) 714-ე ადგილზე (საუკეთესო უნივერსიტეტების 20%-ში), კავკასიის რეგიონში და საქართველოში კი პირველ ადგილს იკავებს.

www.webometrics.info-ს რანჟირებით, კავკასიის რეგიონიდან სომხეთის საუკეთესო უნივერსიტეტი მხოლოდ 2628-ე ადგილს, აზერბაიჯანის საუკეთესო უნივერსიტეტი კი 6405-ე ადგილს იკავებს.

მსოფლიო უნივერსიტეტების ვებ-რანჟირება ევროპაში ერთ-ერთი წამყვანი კვლევითი ესპანური ორგანიზაცია Consejo Superior de Investigaciones Cientificas (CSIS)-ის ლაბორატორიის Cybernetrics Lab ინიციატივით ხორციელდება. ორგანიზაცია ესპანეთის მასშტაბით 126 ცენტრს და ინსტიტუტს აერთიანებს. უნივერსიტეტების რანჟირებისას ორგანიზაცია ითვალისწინებს სხვა ვებ-გვერდებიდან მინიშნების მაჩვენებელს (Google, Yahoo, Live Search, Exalead), უნივერსიტეტის ვებ-გვერდის შიგა გვერდების რაოდენობას, მასზე სრულყოფილი ტექსტების რაოდენობას, ვებ-გვერდზე განთავსებული სამეცნიერო სტატიების და მათი ციტირების რაოდენობას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რანჟირებისას, ტექნიკური თვალსაზრისით, არ გაითვალისწინეს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების — ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) და მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ვებ-გვერდებზე არსებული მაჩვენებლები. ISET-ისა და მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის მონაცემები, შეცდომით, ცალკეა დათვლილი და რანჟირებული. ამ ხარვეზის გასწორების შემდეგ თსუ-ის მაჩვენებელი გაცილებით გაუმჯობესდება.

კვლევაში საქართველოს 64 უნივერსიტეტია ჩართული.

სტრატეგიული განვითარების მიმართულებით რექტორის მოადგილის კონსულტანტის ნანი ბენდელიანის ცნობით, www.webometrics.info, ძირითადად, ვებ-გვერდზე დაყრდნობით თავად მოიპოვებს და აფასებს ინფორმაციას უნივერსიტეტების შესახებ, თუმცა, ამჟამად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ამზადებს ინფორმაციას TIMES-ის უმაღლესი განათლების რანჟირების სისტემაში დასარეგისტრირებლად, სადაც ამჟამად საქართველოდან არც ერთი უნივერსიტეტი არ არის წარმოდგენილი.

დისკუსია

სამეცნიერო საქმიანობის გააქტიურებისკენ მოწოდება და არაერთგვაროვანი რეაქციები

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გააქტიურებისა და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების მიზნით, უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ 2014 წლის 29 დეკემბერს ცვლილებები და დამატებები შეიტანა 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში და მიიღო ახალი დადგენილება (№122/2014) — „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“.

აღნიშნული დადგენილებით განისაზღვრა აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგოები და მოთხოვნები სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვისა და მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესახებ, რომელიც უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტ ზე განსხვავებულია. ძალაში დარჩა ასევე დიფერენცირება ა და ბ კატეგორიის აკადემიურ პერსონალს შორის, როგორც სასწავლო დატვირთვის, ასევე, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კუთხით.

დადგენილება ძალაში შევა 2017 წლიდან.

მოთხოვნებით განსაზღვრულია მინიმალური სასწავლო დატვირთვა ყველა კატეგორიის პროფესორ-მასწავლებლებისთვის და ასევე მინიმალური მოთხოვნა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის. ამ მოთხოვნებით უნივერსიტეტის მეცნიერ-პროფესორი ვალდებულია, გამოაქვეყნოს სამეცნიერო სტატია მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში, ასევე, მიიღოს მონაწილეობა სხვადასხვა მაღალრეიტინგულ სამეცნიერო კონფერენციაში (გამოქვეყნების ინტენსივობა განსხვავებულია (5-2-3 წელი თითო სტატიისთვის სხვადასხვა ფაკულტეტზე); სხვადასხვა ქულით ფასდება პუბლიკაციები იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებსა თუ სხვა ტიპის საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში).

ამავე დადგენილების დანართში მოცემულია სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაცია.

რა ტიპის წიგნი/მონოგრაფია ჩაითვლება სავალდებულო მინიმუმის შესრულებად?

- *მაღალ-რეიტინგული რეცენზირებული (საერთაშორისო რეცენზირების მქონე Peer-reviewed) სამეცნიერო მონოგრაფია უცხო ენაზე (მათ შორის ლექსიკოგრაფიული, წყაროთმცოდნეობითი, ტექსტოლოგიური კვლევების ამსახველი მონოგრაფია), რომელიც ინდექსირებულია Scopus, SCImago Journal & Country Rank, ResearchGate-ის მიერ;*
- *ქართულენოვანი ან სხვა ენაზე შესრულებული, რეცენზირებული (რეცენზირების მქონე Peer-reviewed) მონოგრაფია (მათ შორის ლექსიკოგრაფიული, წყაროთმცოდნეობითი, ტექსტოლოგიური კვლევების ამსახველი მონოგრაფია).*

რომელ ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატია ჩაითვლება მინიმალური მოთხოვნის დამაკმაყოფილებლად?

- *იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო სტატია, რომელიც ინდექსირებულია ტომსონ როიტერის Web of Science-ის მიერ;*
- *სამეცნიერო სტატია გამოქვეყნებული ჟურნალში, რომელიც აღიარებულია ERIH-ის (European Reference Index of the Humanities) მიერ;*
- *სამეცნიერო სტატია, რომელიც ინდექსირებულია ტომსონ როიტერის Web of Science, Scopus, SCImago Journal & Country Rank, ResearchGate-ის მიერ;*
- *რეცენზირებული (Peer-reviewed) სამეცნიერო სტატიები სხვა საერთაშორისო ჟურნალებში (საქართველოში გამოცემული სამეცნიერო პუბლიკაციების შემთხვევაში, შესაძლებელი უნდა იყოს კონკრეტულ პუბლიკაციაზე უნივერსიტეტის მოთხოვნის არსებობისას რეცენზიების წარმოდგენა), რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო, ასევე, რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო კონტრიბუციისთვის;*
- *სამეცნიერო სტატიები, რომლებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში;*
- *ქართველოლოგიურ დარგებში მოღვაწე აკადემიური პერსონალისთვის რეცენზირებული სამეცნიერო სტატიები — გამოქვეყნებული ქართულ სამეცნიერო ჟურნალებში, რომელთაც ჰყავთ ადგილობრივი სარედაქციო საბჭო და აქვთ ISSN კოდი.*

რომელ საკონფერენციო მასალებში ან კრებულში გამოქვეყნებული სტატია ჩაითვლება სავალდებულო მინიმუმის შესრულებად?

- *სტატიები/თავები წიგნში, საკონფერენციო მასალებში ან კრებულში, რომლებიც ინდექსირებულია ტომსონ როიტერის Web of Science-ის ან Scopus-ის საკონფერენციო მასალების ციტირების ინდექსით;*
- *სტატიები/თავები წიგნში, საკონფერენციო მასალებში ან კრებულში, რომლებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში.*
- *საკონფერენციო თეზისები, ინდექსირებული ტომსონ როიტერის Web of Science-ის ან Scopus-ის მიერ;*
- *საკონფერენციო თეზისები, ინდექსირებული Google Scholar-ის მიერ.*

უნივერსიტეტის პროფესურა თანხმდება, რომ ცვლილებები და სამეცნიერო კველევების საერთაშორისო მოთხოვნებთან დაახლოება ის აუცილებელი კრიტერიუმია, რომლითაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო პრესტიჟი და სწავლების ხარისხი ამაღლდება, თუმცა განსხვავებული მოსაზრებები აქვთ იმ მოთხოვნების მიმართ, რომელიც აკადემიურმა საბჭომ ფართო განხილვის შედეგად მიიღო (მოთხოვნების კრიტერიუმები დაეგზავნა პროფესორებს და მათ ჰქონდათ საშუალება, თავიანთი მოსაზრებები გამოეთქვათ. მათი ნაწილი დადგენილებაში გათვალისწინებულია).

თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის ისტორიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი **დავით ბოსტოღანაშვილი** მიიჩნევს, რომ ამ ცვლილებებით დაკონკრეტდა და ქულებით განისაზღვრა სამეცნიერო პროდუქცია, რითაც გამოიკვეთა გარკვეული პრიორიტეტები საუნივერსიტეტო ხედვასთან დაკავშირებით, თუმცა მიაჩნია, რომ დადგენილების მიღებამდე საკითხი არ იყო კარგად შესწავლილი და გაანალიზებული აკადემიური პერსონალის მიერ: „კრიტერიუმები ერთობ სადავოა. უპირველესად, არ იყო საკმარისად შეთანხმებული ფაკულტეტების აკადემიურ პერსონალთან (ყოველ შემთხვევაში, იურიდიულ ფაკულტეტთან მიმართებაში, ნამდვილად). ამ მოთხოვნებით, აშკარა უპირატესობა ენიჭება უცხოურ ენაზე შექმნილ და გამოქვეყნებულ პროდუქციას, რაც, მინიმუმ, ეწინააღმდეგება უნივერსიტეტის შექმნის მთავარ იდეას, სწავლა და სწავლება, შესაბამისად, კვლევაც, განხორციელებულიყო ქართულ ენაზე. ამასთან, რამდენად საკმარისია რესურსი მიღებული რეგულაციის განსახორციელებლად, საკითხავია“, — განაცხადა მან.

აღნიშნულ ცვლილებებზე განსხვავებული მოსაზრებები აქვთ უნივერსიტეტის პროფესორებსაც:

ეთერ ხარაიშვილი

„შრომატევადი სიახლეების შემოტანას უნდა შევეგუოთ“

თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორ ეთერ ხარაიშვილს მიაჩნია, რომ ახალი რეგულაციით თსუ-ს მეცნიერთა მიმართ მოთხოვნებში კონკრეტულად კვლევაზე გაჩნდა დასაბუთებული და აუცილებელი მოთხოვნა. „ცხადია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორების მიერ კვლევა, მათ შორის, საერთაშორისო დონის შესაბამისი, აქამდეც მიმდინარეობდა, თუმცა, ამ კვლევების შეფასება საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების მიხედვით არ ხდებოდა და ეს პროცესი პროფესორის სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობაშიც, თუნდაც კონკურსების დროს, სათანადოდ არ აისახებოდა. ამ ცვლილებამ ეს ხარვეზი გამოასწორა და მოთხოვნად კვლევებზე გააჩინა მოლოდინი“, — ამბობს იგი და კრიტერიუმების შემოღებას უნივერსიტეტის წინსვლის წინაპირობად მიიჩნევს: „ზოგადად, ნებისმიერ სისტემაში შეუძლებელია აბსოლუტურად ობიექტური და სრულყოფილი კრიტერიუმების შემოტანა. შესაბამისად, რთულია შეაფასო, რამდენად ზუსტად ასახავს და გაზომავს მოცემული კრიტერიუმები სამეცნიერო საქმიანობის შედეგებს. ამას მომავალი გვიჩვენებს, როდესაც მოხდება მათი პრაქტიკაში დანერგვა. მიღწეული შედეგები მოგვცემს მტკიცებულებას, რამდენად სწორად შეირჩა ეს კრიტერიუმები. დასაწყისი ყოველთვის რთულია. დარწმუნებული ვარ, ამ კრიტერიუმებშიც განხორციელდება ცვლილებები, მაგრამ უმჯობესია, ამ ცვლილებების საჭიროება პრაქტიკამ გვიკარნახოს. მთავარია, რომ წინსვლისთვის მოძრაობა დაწყებულია“, — ამბობს ეთერ ხარაიშვილი.

მისი აზრით, სამეცნიერო შეფასების კრიტერიუმები ერთგვარ კონკურენტულ გარემოს შექმნის, რაც, პირველ რიგში, ნიშნავს ხარისხიანი სამეცნიერო კვლევის პროდუქტების მიწოდებას როგორც სასწავლო პროცესისათვის, ასევე, საერთაშორისო დონეზედაც. თუმცა, მიიჩნევს, რომ ამ კრიტერიუმების მიღწევისათვის საჭირო იქნება მხარდამჭერი პროგრამების ამოქმედება: „მაგალითად აუცილებელია საუკეთესო ბიბლიოთეკების ქსელზე წვდომის გაუმჯობესება და ტექნოლოგიური დახმარების უზრუნველყოფა. ასევე კარგი იქნება საინფორმაციო სესიების მოწყობა საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების, ვორკშოპების, სხვადასხვა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსებისა და მაღალრეიტინგული ჟურნალების შესახებ. მკვლევარებმა უნდა შეისწავლონ ამ ჟურნალებსა და კონფერენციის კრებულებში სტატიებისა და მოხსენებების გამოქვეყნების წესები და სტანდარტებიც. ასეთი მიდგომით თსუ-ში გაიზრდება იმ პროფესორთა რაოდენობა, რომელთა კვლევებიც აღიარებული იქნება საერთაშორისო დონეზე. მაშასადამე, საქმიანობა, როგორც სასწავლო, ასევე, სამეცნიერო სფეროში, წინ წაიწევს. მცირედ, მაგრამ მაინც, დღეს ამის ნიშნები უკვე ჩანს“, — აცხადებს იგი.

როგორ უნდა დარეგულირდეს მეცნიერის ჩართულობა სასწავლო პროცესში სამეცნიერო კვლევებთან ერთად? როგორ უნდა აისახოს ეს მის დატვირთვაში და არის თუ არა ეს რეგულაცია ამ კუთხით სამართლიანი? — ამ კითხვაზე პროფესორი ეთერ ხარაიშვილი პასუხობს, რომ კვლევების მაღალ დონეზე შესრულება პირდაპირ ზეგავლენას ახდენს სასწავლო პროცესის ხარისხზე და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პირველადი მიზანი სწორედ ეფექტიანი სასწავლო პროცესის უზრუნველყოფაა. მისი აზრით, პირველ ეტაპზე საჭიროა სასწავლო პროცესის მოწესრიგება საერთაშორისო სტანდარტების დონეზე და, შესაბამისად, პროფესორის ოპტიმალური დატვირთვის განსაზღვრა. ამასთან, აკადემიურ პერსონალს უნდა შეეძლოს სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტების თანაფარდობის შესაძლებლობების დადგენა აკადემიური თავისუფლების ჩარჩოებში. ამ მხრივ, პრიორიტეტული იქნება სასწავლო კომპონენტი და შემდეგ, თუნდაც პარალელურ რეჟიმში, სამეცნიერო საქმიანობის სრულყოფა, მით უფრო, რომ მაღალი დონის კვლევები, თავის მხრივ, სასწავლო პროცესის სრულყოფას გაუკეთებს პროვოცირებას. „რაც შეეხება სამართლიანობის საკითხს. მოდით, პირდაპირ ვთქვათ, რომ სამართლიანობა პირობითი ცნებაა. ვერ ვხედავ იმის საშიშროებას, რომ მიღებულმა რეგულაციამ არასამართლიანობა გამოიწვიოს პროფესორთა დატვირთვაში. ჭეშმარიტება ის არის, რომ დღეს პროფესორს მეტი შრომა სჭირდება საერთაშორისო სივრცეში აღიარებისათვის. ამიტომ შრომატევადი სიახლეების შემოტანას უნდა შევეგუოთ და ამით ხელი შევუწყოთ უნივერსიტეტის წინსვლას“, — ამბობს იგი.

ეთერ ხარაიშვილის აზრით, იმ მეცნიერთათვის, რომლებიც უკვე ჩართულნი არიან საერთაშორისო კვლევის პროცესში, ეს ვადა (2017 წლიდან) სავსებით რაციონალურია მათ წინაშე დასმული მოთხოვნების შეფასებისა და მოწესრიგებისთვის. დანარჩენებისთვის აუცილებელია ხელშემწყობი პროგრამებით დახმარება და მათი ამ პროცესებში ჩართულობის გაძლიერება.

მე-4 გვერდზე

სამეცნიერო საქმიანობის გააქტიურებისკენ მოწოდება და არაერთგვაროვანი რეაქციები

მესამე გვერდიდან

თამარ გაგოშიძე

„სამეცნიერო-კვლევითი გარემოს გაუმჯობესებას მარტო პროფესორის მიმართ მოთხოვნების გამკაცრება არ უშველის, ის სივრცეა შესაცვლელი, სადაც პროფესორი ფუნქციონირებს“

თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი თამარ გაგოშიძე მიიჩნევს, რომ მოთხოვნები, სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვისა და მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესახებ, დროული იყო, რადგან პროფესორის საქმიანობა, რაშიც იგი ანაზღაურებას იღებს, სამი კომპონენტისგან შედგება: სასწავლო, სამეცნიერო და ადმინისტრაციული. მისი თქმით, აქამდე ძირითადი აქცენტი, ბევრი მიზეზის გამო, სასწავლო კომპონენტზე კეთდებოდა, ახლა კი გაჩნდა მოთხოვნა სამეცნიერო კვლევების საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებისა, რაც დროული და საჭიროა, თუმცა არის სხვადასხვა გარემოება, რაც კვლევების გააქტიურებასთან ერთად შესაცვლელია: „სამეცნიერო კვლევას თანხები სჭირდება და ამის საშუალება — კვლევაზე მორგებული გარემო, არათუ უნივერსიტეტში, საქართველოშიც არ არის. უნივერსიტეტში მუშაობის დიდი ხნის სტაჟი მაქვს და კარგად მახსოვს — თავის დროზე განათლების სამინისტროც სასწავლო კომპონენტზე აკეთებდა აქცენტს. დღესაც — ის ფაქტი, რომ უნივერსიტეტები, ფაქტობრივად, სტუდენტების შემოტანილი თანხით ფინანსდებიან, მიანიშნებს, რომ სახელმწიფოს არ აინტერესებს კვლევითი კომპონენტი, თუმცა მეცნიერებაც და სწავლებაც ერთი და იგივე საქმის სხვადასხვა მხარეა — ხარისხიანი ცოდნის გადაცემა სწორედ იქ ხდება, სადაც მეცნიერებაა. საქართველოში ერთადერთი სამეცნიერო ფონდია. პირადად მე ძალიან ბევრი გრანტი მაქვს მოპოვებული და ბევრი პროექტი გამიკეთებია, მაგრამ თითქმის არცერთი არაა სამეცნიერო. ბევრი ჩვენი პროფესორი ასევე მონაწილეობს გრანტებში, მაგრამ გრანტი, რომელიც სამეცნიერო კვლევაზეა ორიენტირებული, მათ შორის მიზერულია. უნდა ვთქვა, რომ სახელმწიფოსაც არ აქვს ხედვა — რატომ უნდა დახარჯოს ფული მეცნიერებაში და რას მიიღებს აქედან,“ — განაცხადა მან.

რაც შეეხება უნივერსიტეტს, თამარ გაგოშიძე მიიჩნევს, რომ მეცნიერების მიმართ აბსოლუტურად ადეკვატური და სწორი მოთხოვნის პარალელურად, ადმინისტრირების პროცესიც შესაცვლელია, რადგან არ არსებობს გარემო, სადაც ერთი ნახევარი იცვლება, ხოლო მეორე იგივე რჩება და საქმე წინ მიიწევს: „ამ ცვლილებებზე, და პროფესორების მიერ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების აუცილებლობაზე, დიდი ხანია უნივერსიტეტში საუბრობენ და ეს ბუნებრივიცაა, მაგრამ პირობები ამისთვის ნაკლებია. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს, მოყოლებული საბჭოთა პერიოდიდან, ყოველთვის ჰქონდათ საშუალება, რომ უცხოურ ჟურნალებში გამოექვეყნებინათ სტატიები. გაცილებით რთული მდგომარეობაა სოციალურ მეცნიერებებში და ჩვენს მეცნიერებაშიც — ფსიქოლოგიაში. ჩვენი მიმართულების ჟურნალებში გამოქვეყნება არც ისე ადვილია — დიდი სირთულეები გვხვდება და ერთი სტატიის დაბეჭდვას ზოგჯერ 2-3 წელი ვანდომებთ. ამიტომ გვაქვს ორი რეალობა — ერთია მოთხოვნა, რომელიც აბსოლუტურად ადეკვატური და სწორია (თუ გვინდა ხარისხიანი სწავლება, ჩვენ შეიქმნას კვლევითი გარემო, რომ მომავალი მაგისტრანტი და დოქტორანტი გაიზარდოს როგორც მკვლევარი, რომელმაც ეს გამოცდილება ჩვენიდან წაიღო); ხოლო — მეორე, რა პირობებია იმისთვის, რომ ხარისხიანი სამეცნიერო კვლევები განხორციელდეს“, — ამბობს იგი და აქვე დასძენს, რომ უნივერსიტეტმა უკვე გადადგა ნაბიჯები ამ მიმართულებით და გამოყო მცირე გრანტები სამეცნიერო კვლევებისთვის, რაც ძალიან კარგია, რადგან ადმინისტრაცია აჩვენებს თავის აკადემიურ პერსონალს, რომ სამეცნიერო კომპონენტი მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. „ზოგადად გრადუალური ცვლილების მომხრე ვარ, რადგან რევოლუციური ცვლილება არასოდეს არ არის კარგი – ადამიანები უნდა გადაეწყონ სიახლეებზე, მოემზადონ, მაგრამ ამისთვის ხელშეწყობა აუცილებელია“, — განაცხადა მან.

რაც შეეხება დადგენილების ძალაში შესვლას, ქალბატონი თამარის აზრით, ვადა, რომელიც მოცემულია ამ მოთხოვნების შესასრულებლად, ოპტიმალურია, რადგან აქ მოცემულია სხვადასხვა ვარიანტი — თუ იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში ვერ მოახერხებს მეცნიერი სტატიის გამოქვეყნებას, ჩამონათვალში არის ე.წ. რეცენზირებული (Peer-reviewed) სამეცნიერო ჟურნალები, სადაც ასევე შეუძლიათ გამოქვეყნება. „თუმცა, ეს ყველაფერი ანაზღაურებაშიც უნდა ჩანდეს. მომხრე ვარ, რომ ანაზღაურება დიფერენცირებული იყოს და იმის მომხრეც ვარ, რომ პროფესორმა თავად დაგეგმოს საკუთარი აქტივობა, თავად განსაზღვროს — მომავალ წელს რომელი კომპონენტი წამოსწიოს წინ — სამეცნიერო, სასწავლო თუ ადმინისტრაციული. ეს პროფესორის ერთგვარი თავისუფლების ხარისხია“, — განაცხადა მან.

რაც შეეხება ადმინისტრირების პროცესს, პროფესორ თამარ გაგოშიძის აზრით, მეტი მოქნილობაა საჭირო: „ვიცი, რომ უნივერსიტეტი მზადაა, თავადაც დააარსოს რეცენზირებული (Peer-reviewed) ელექტრონული ჟურნალები უცხოელ მეცნიერებთან ერთად, მაგრამ ყველაფერი დამოკიდებულია სასწავლო სტრუქტურაზე — როცა არ გყოფნის პროფესორი და სემინარზე 40 სტუდენტი გიზის, სხვაგვარი დაგეგმვაა საჭირო. ვიცი უნივერსიტეტები, სადაც მაგისტრის ხარისხის მქონე ლექტორები ჰყავთ, მაგრამ ჩვენთან ყველას ვერ მოიწვევ — აქ დოქტორანტს მხოლოდ სემინარის ჩატარების ნებართვას ვაძლევთ. გარდა ამისა, პროფესორის ძალიან დიდი დრო იხარჯება ნამუშევრების გასწორებაზე — 100 და 200-კაციანი ჯგუფების ნამუშევრების გასწორება ძალიან შრომატევადია. ვფიქრობ, უნდა შემოვიდეს პროფესორის ასისტენტის შტატი, რომელიც დაეხმარება მას საგნის ორგანიზებაში — თუ ასეთი დაბალანსებული არ იქნება ეს შრომა, არც პროფესორი იქნება იმაზე ორიენტირებული, რომ ახალი კურსი გააკეთოს. მოკლედ, ამით იმის თქმა მინდა, რომ უნივერსიტეტში სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი გარემოს გაუმჯობესებას მარტო პროფესორის მიმართ მოთხოვნების გამკაცრება არ უშველის, ის სივრცეა შესაცვლელი, სადაც პროფესორი ფუნქციონირებს“, — განაცხადა მან.

„ახალი რეგულაციები ეწინააღმდეგება აკადემიური თავისუფლების პრინციპს“

იყო თუ არა ამგვარი ცვლილებები გატარება საჭირო და რა კონკრეტული მოთხოვნა დაემატა აქამდე არსებულ კრიტერიუმებს, ამ საკითხზე თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ძველი მსოფლიოს ისტორიის მიმართულების პროფესორი ლევან გორდეზიანი ამბობს, რომ წინა პერიოდში აკადემიური პერსონალის ვალდებულებები თავისთავად გულისხმობდა სასწავლო და სამეცნიერო აქტივობას. ამ კრიტერიუმებით კი გაჩნდა მინიმალური სამეცნიერო დატვირთვის ცნება: „აკადემიური პერსონალის ვალდებულებები მოიცავდა (და მოიცავს) პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობას. თუ პედაგოგიური დატვირთვა, მეტნაკლებად, მკაფიოდ იყო გაწერილი (სხვა საკითხია, რამდენად სწორად), სამეცნიერო მუშაობაში აქამდე ავტომატურად გვეთვლებოდა ყველაფერი ის, რასაც სამეცნიერო ანგარიშში შევიტანდით; თეორიულად შესაძლებელი იყო, სულაც არაფერი არ წარგვედგინა ან ანგარიშში შეგვეტანა ის საქმიანობა, რაც რეალურად არ წარმოადგენს სამეცნიერო მუშაობის ნაწილს. არ არსებობდა კონკრეტული მოთხოვნები და მათი შეფასების კრიტერიუმები. ახალი რეგულაციით ჩნდება მინიმალური სამეცნიერო დატვირთვის ცნება და აკადემიურ პერსონალს ევალება, დროის მოცემულ მონაკვეთში გარკვეული სახისა და რაოდენობის სამეცნიერო პროდუქციის შექმნა, რაც მისასალმებელი იქნებოდა, სწორად რომ განხორციელებულიყო“.


ლევან გორდეზიანი

ლევან გორდეზიანის აზრით, ახალი რეგულაციები აკადემიური თავისუფლების პრინციპს და უნივერსიტეტის ტრადიციებს ეწინააღმდეგება: „ჩემი აზრით, ახალი რეგულაციები სრულიად გაუმართლებელია მრავალი თვალსაზრისით. ისინი ეწინააღმდეგება აკადემიური თავისუფლების პრინციპს, მრავალსაუკუნოვან საუნივერსიტეტო ტრადიციას და ელემენტარულ საღ აზრსაც. ამ მოსაზრებას აქვს თავისი არგუმენტები: ა) სრულიად დაუშვებელია პროფესორის სამეცნიერო მუშაობა შეფასდეს მხოლოდ დეტალურად გაწერილი მექანიკური, თვლადი პარამეტრებით და, ისიც, ადმინისტრაციის მიერ. მთელ ცივილიზებულ სამყაროში პროფესორის საქმიანობას აფასებს აკადემიური საზოგადოება და ამ შეფასებაში გადამწყვეტია ხარისხის ფაქტორი; ბ) მიუღებელია ორმაგი სტანდარტი, რომლის მიხედვითაც ფასდება სხვადასხვა საქმიანობა: თუ სასწავლო და ადმინისტრაციულ/სერვისულ კომპონენტებში პროფესორს მხოლოდ ჩვენს უნივერსიტეტში შესრულებულ სამუშაოს ვუთვლით, კვლევით კომპონენტში სულ პირიქით — გარეთ შესრულებულს მეტად ვუფასებთ — საერთაშორისო პუბლიკაცია, კონფერენცია, გრანტი მეტ ქულას იძლევა, ვიდრე ლოკალური აქტივობები. არადა, ამ მიდგომით შეიძლება უნივერსიტეტი ზარალდებოდეს კიდეც, თუ მისი პროფესორი გარეთ იყურება და პირდაპირი მოვალეობის შესრულებას უცხოეთში ყოფნას და უცხოურ ჟურნალებში სტატიების ბეჭდვას ამჯობინებს. თუ სასწავლო და ადმინისტრაციულ კომპონენტში უნივერსიტეტი გარკვეულწილად უზრუნველგვყოფს სამუშაო პირობებით — სტუდენტი, აუდიტორია და სხვ. მეცნიერება მთლიანად ჩვენზეა. სამეცნიერო კომპონენტის მეტ-ნაკლებად მკაცრი კონტროლი შესაძლებელი იქნება, თუ უნივერსიტეტი მოგვცემს შეკვეთას და უზრუნველგვყოფს სამუშაო პირობებით — ლაბორატორია, წიგნი, მივლინება იმ კონფერენციებზე, სადაც მონაწილეობის მიღებას გვთხოვენ, პუბლიკაცია შესაბამის ჟურნალში, სადაც დაბეჭდვას გვთხოვენ, პუბლიკაციების ასახვა იმ საძიებო სისტემებში, სადაც მერე ძებნას გვიპირებენ: გ) ახალი რეგულაციების მიხედვით, მეცნიერებად ითვლება მხოლოდ პროდუქტი — მონოგრაფია, სტატია, მოხსენება და სხვ., ისიც, თუ ამ პროდუქტმა დღის სინათლე გარკვეული ტიპის გადარჩევის შედეგად იხილა. ტექსტის შემდგენლებს, რატომღაც, გამორჩათ ის პროდუქცია, რომელიც, მართალია, ვერ ჩაითვლება ვიწრო გაგებით სამეცნიერო პროდუქციად, მაგრამ მის შედგენას გამოცდილი მეცნიერი სჭირდება — სახელმძღვანელო, საცნობარო ლიტერატურა და სხვ. — ასევე მრავალფეროვანი სამეცნიერო საქმიანობა, რომელიც არ დაიყვანება კონკრეტულ პროდუქტამდე, მაგრამ, ხშირად პროდუქტზე მეტად განაპირობებს მეცნიერისა და მისი სკოლის სახელს: დ) დოკუმენტი აბსოლუტურად არ ითვალისწინებს ცალკეული დარგის თავისებურებებს, როგორც სამეცნიერო პროდუქციის ჩამონათვალის, ასევე იერარქიის თვალსაზრისით. მაგ., ჰუმანიტარული მეცნიერებებისთვის სრულიად შეუფერებელია არსებული შეფარდება მონოგრაფიის, სტატიის, მოხსენების შესაბამისი ქულებისა. ნაშრომის ღირებულების შეფასებისათვის გამოიყენება ის კრიტერიუმები, რომლებიც არ არის გავრცელებული ჰუმანიტარულ მეცნიერებებში (მაგალითად, იმპაქტ-ფაქტორი, ციტირების ინდექსი, სხვადასხვა საძიებო სისტემაში ჟურნალის რეგისტრაცია და სხვ.). თავდაპირველად სამეცნიერო პროდუქციის ჩამონათვალში იგნორირებული იყო თარგმანი, ტექსტის აკადემიური გამოცემა, ლექსიკონი და სხვ., ხოლო შემდგომ, თითქოს ჩვენი შენიშვნების პასუხად, მათ მაგივრად გაჩნდა კომპრომისული, მაგრამ არც მთლად შინაარსიანი ჩანაწერი: „ლექსიკოგრაფიული, წყაროთმცოდნეობითი, ტექსტოლოგიური კვლევების ამსახველი მონოგრაფია“.

პროფესორ ლევან გორდეზიანის აზრით, „ეს მოთხოვნები ემსახურება თსუ-ის აკადემიური პერსონალის საერთაშორისო რეიტინგის (არა იმდენად სახელის, რამდენადაც სხვადასხვა საძიებო სისტემაში ქულების) ზრდას, რაც, გარკვეულწილად გაზრდის უნივერსიტეტის რეიტინგსაც. პირველ რიგში, ეს წაახალისებს სარეიტინგო ქულებზე ნადირობას“, მაგრამ, მისივე განცხადებით, წასწევს თუ არა ეს წინ მეცნიერებას თავად უნივერსიტეტში, ძნელი სათქმელია.

როგორ უნდა დარეგულირდეს მეცნიერის ჩართულობა სასწავლო პროცესში სამეცნიერო კვლევებთან ერთად, როგორ უნდა აისახოს ეს მის დატვირთვაში და არის თუ არა ეს რეგულაცია ამ კუთხით სამართლიანი? ამ საკითხზე ლევან გორდეზიანი აცხადებს, რომ პროფესორი აუცილებლად უნდა იყოს ჩართული სამეცნიერო საქმიანობაში, თუმცა ამისთვის უნივერსიტეტმა მას სათანადო გარემო უნდა შეუქმნას. „უნივერსიტეტში უნდა გვქონდეს აკადემიური გარემო, სადაც სტუდენტიც და პროფესორიც თავს შინ იგრძნობს. აქ უნდა იყოს პირობები სამეცნიერო მუშაობისათვის. სასწავლო პროგრამები, ბაკალავრიატის დონეზეც კი, უნდა შეიცავდეს კვლევით კომპონენტს. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების განხორციელებაში უფრო აქტიურად უნდა ჩაერთოს თსუ-ს შემოერთებულ კვლევით ინსტიტუტთა პოტენციალიც.

პროფესორი აუცილებელია იყოს მეცნიერი. მისი დატვირთვის სამეცნიერო მუშაობის კომპონენტში უნდა მოხვდეს, პირველ რიგში, ის საქმიანობა, რომელიც საუნივერსიტეტო ცხოვრების ნაწილს შეადგენს და კვლევისა და სწავლების ინტეგრაციას ემსახურება: მონაწილეობა საუნივერსიტეტო კვლევით პროექტებში, დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელობა, საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოებისა და საცნობარო/დამხმარე ლიტერატურის ავტორობა, სამეცნიერო პუბლიკაციებისა და დისერტაციების რეცენზირება და სხვ. უნდა გავმიჯნოთ კრიტერიუმები, რომლითაც კონკურსის დროს პერსონალის კვალიფიკაციას ვადგენთ და მოთხოვნები, რასაც თანამშრომელს ყოველდღიურად ვუყენებთ. პროფესორად აყვანისას ვითვალისწინებთ პრეტენდენტის ყველა დამსახურებას — საერთაშორისო პუბლიკაციებს, კონფერენციებს, წამყვან უნივერსიტეტებში წაკითხულ ლექციებს, პრემიებს, აკადემიების წევრობას, ხოლო მოქმედ თანამშრომელს ვთხოვთ, პირველ რიგში, მუშაობას ჩვენთან — ლექციების წაკითხვას, მონაწილეობას ჩვენ კვლევით პროექტებში, ჩვენ საბჭოებსა და კოლეგიებში. სამწუხაროდ, არსებული რეგულაციები ვერ უზრუნველყოფს ოპტიმალურ გარემოს სწავლებისა და კვლევისათვის“, — აცხადებს იგი.

რაც შეეხება დარგებს, რომლებშიც არ არის ბევრი მაღალრეიტინგული ჟურნალი (მაგალითად, ქართული ფილოლოგიაში), აქ პროფესორი ლევან გორდეზიანი მიიჩნევს, რომ ახალი რეგულაცია ქართველოლოგიის დარგებში მომუშავე მეცნიერებს არ აყენებს ცუდ მდგომარეობაში, თუმცა მაინც ფიქრობს, რომ მოთხოვნები მათ მიმართ, გარკვეულად, დისკრიმინაციულია: „ქართველოლოგია არის დარგი, რომლის უპირველესი ცენტრი სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტია, მთელი მსოფლიოდან თსუ-ში მოდიან ამ დარგის შესწავლის მსურველები. სრული ნონსენსია, ქართველ მეცნიერს უფრო მეტ დამსახურებად ჩავუთვალოთ უცხო ენაზე დაბეჭდილი პატარა მომოხილვითი სტატია (არადა, ვინ დაგიბეჭდავს უცხოეთში სპეციალურ გამოკვლევას ვიწრო ქართველოლოგიურ პრობლემატიკაზე?), ვიდრე დიდი და მნიშვნელოვანი ქართული მონოგრაფია“, — ამბობს იგი.

მისივე აზრით, ის ფაქტი, რომ დადგენილება ძალაში შედის 2017 წლიდან, გარკვეულ იმედს იძლევა, რომ „ამ ორი წლის მანძილზე ბევრი რამ შეიცვლება სასიკეთოდ — რეგულაციებიც დაიხვეწება, აკადემიური პერსონალიც შეეჩვევა აზრს, რომ სამეცნიერო მუშაობა მისთვის სავალდებულოა, უნივერსიტეტშიც გაჩნდება პირობები ადგილზე სერიოზული სამეცნიერო პროექტების განსახორციელებლად“.

2017 წელს ახალი დადგენილება ძალაში შევა. მანამდე კი უნივერსიტეტმა მეცნიერთა ხელშეწყობისთვის პირველი ნაბიჯები უკვე გადადგა — გამოცხადდა შიდა საუნივერსიტეტო საგრანტო კონკურსი, რომლის შედეგებიც მარტის ბოლოს გაირკვევა.

***მოამზადა* მაია ტორაძემ**

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე

შეჭირვებული სტუდენტების დასახმარებლად სწავლის ხელშეწყობის ფონდი შეიქმნა

თსუ-ში საქველმოქმედო ორგანიზაციამ „სწავლის ხელშეწყობის ფონდი“ საქმიანობა სულ ცოტა ხნის წინ დაიწყო და უკვე 18 წარჩინებული სტუდენტი დააფინანსა.

ფონდის დამფუძნებლები არიან თსუ-ის პროფესორი, თბილისის მერი დავით ნარმანია, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი მანანა ხარხელი, ასოცირებული პროფესორი ეკა ჩოხელი და თსუ-ის მაგისტრანტი სულხან მირცხულავა.

თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორებისა და სტუდენტების ინიციატივით შექმნილი საქველმოქმედო ფონდი ფაკულტეტის წარჩინებულ, მაგრამ ხელმოკლე სტუდენტებს დაეხმარება. კომისიის გადაწყვეტილებით, ფონდში მობილიზებული თანხით წარმატებულ და ფინანსურად შეჭირვებულ სტუდენტებს დაუფინანსდებათ სწავლა, დაენიშნებათ სტიპენდია ან მიეცემათ სხვა მატერიალური რესურსები.

მანანა ხარხელი

თამარ დადიანი

ყველაფერი ასე დაიწყო:

მანანა ხარხელმა „რკინის ქალამნები“ ჩაიცვა და ორგანიზაციებში, ბანკებსა და ბიზნეს-კომპანიებში კარდაკარ სიარულს შეუდგა თხოვნით: „დავეხმაროთ სტუდენტებს!“ ეს ინიციატივა მისი კეთილი ნება გახლდათ. „კეთილისათვის მავალთა ცანიცა ეხმარებიანო“, — არსებობს ხალხური გამოთქმა და აი, შედეგიც — 18 უსახსრო, ღვთის ანაბარად მიტოვებული წარჩინებული სტუდენტი დაფინანსებულია! თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი ელენე ჯიმშელეიშვილი მადლიერებას არ ფარავს: „ამ ფონდის არსებობის შესახებ რომ გავიგე, ძალიან გამეხარდა. მატერიალურად ძალიან გვიჭირს და არ მეგონა, რომ ჩემს სატკივარს გულთან მიიტანდნენ და დამეხმარებოდნენ. დიდი მადლობა „სწავლის ხელშეწყობის ფონდს“, რომ სწავლის გაგრძელების საშუალება მომცა“.

თუ როგორ მოხერხდა ამ სახსრების მოძიება, „სწავლის ხელშეწყობის ფონდის“ დაარსება და რა მიზნებს ემსახურება ფონდის დამფუძნებელთა ინიციატივა, ამის თაობაზე ქალბატონ **მანანა ხარხელს** გავესაუბრეთ:

* * *

— გარკვეული პერიოდის განმავლობაში რამდენიმე პროფესორ-მასწავლებელი შეძლებისდაგვარად ვეხმარებოდით წარმატებულ, სოციალურად დაუცველ სტუდენტებს. აღმოჩნდა, რომ ასეთი სტუდენტების რაოდენობა გაცილებით ბევრი აღმოჩნდა, ვიდრე ჩვენ წარმოგვედგინა. სწორედ ასეთმა სტუდენტებმა გადაგვაწყვეტინეს მე და ბატონ დავით ნარმანიას — დაგვეარსებინა „სტუდენტთა სწავლის ხელშეწყობის ფონდი“. მაშინ ბატონი დავითი ჯერ კიდევ არ იყო ქალაქის მერი. ამ ფონდის დაარსებაში მონაწილეობდა თსუ-ის პროფესორი ეკა ჩოხელი, რომელმაც სერიოზული მუშაობა გაწია ფონდის ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში. ფონდის ერთ-ერთი დამფუძნებელია II კურსის მაგისტრი სულხან მირცხულავა, რომელიც ხელფასიდან ფონდში გარკვეულ თანხას რიცხავს.

საქველმოქმედო ორგანიზაცია ბატონი დავითის იდეა იყო და იგი 2012 წელს უნდა დაგვეარსებინა. მაგრამ, მოგეხსენებათ, ის წელი პოლიტიკურად დატვირთული აღმოჩნდა და მეც, დავით ნარმანიაც უნივერსიტეტიდან გაგვიშვეს. მე საკუთარ პრინციპებს არასდროს ვუღალატებ, ამიტომ ხმამაღლა ვაფიქსირებდი, რომ ნაციონალური პარტიის მართვის კურსი არ მომწონდა. არ მინდოდა იმ ქვეყანაში ცხოვრება, სადაც აზრის ხმამაღლა გამოთქმის საშუალება არ მექნებოდა. როცა „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა, უნივერსიტეტში ორივე დაგვაბრუნეს. ეს ბატონი ლადოს დამსახურებაა. დიდი მადლობა მას, რომ გვერდით დამიდგა და საშუალება მომცა — უნივერსიტეტს დავბრუნებოდი...

— ***ფონდის საქმიანობასა და მიზნებზე ვისაუბროთ...***

— „სწავლის ხელშეწყობის ფონდის“ მიზანია თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სოციალურად დაუცველი სტუდენტებისთვის სოციალური გარემოს ჩამოყალიბება, რაც უზრუნველყოფს განათლების მიღების ხელმისაწვდომობას ფინანსური და მატერიალური მხარდაჭერის გზით. ფონდში გაწევრიანება შეუძლია ნებისმიერ ადამიანს, რომელსაც სურვილი აქვს დაეხმაროს სოციალურად დაუცველ წარმატებულ სტუდენტებს.

შევეცდებით ფიზიკური პირების, პირთა ჯგუფების, ბიზნეს-ორგანიზაციების, საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზებული წარმონაქმნების, ადგილობრივი მართვისა და თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის მობილიზებას, რათა მოხდეს სტუდენტებისათვის კონკრეტული ჰუმანიტარული ან გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა. არც ერთმა წარჩინებულმა და ნიჭიერმა სტუდენტმა უსახსრობის გამო უნივერსიტეტში სწავლა არ უნდა მიატოვოს. ფონდის მიზანია, ასეთ სტუდენტებს დაეხმაროს და გვერდში დაუდგეს.

— ***რამდენმა მოგმართათ დახმარებისთვის?***

— ჩვენი ფონდის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია ყველა სტუდენტს ელექტრონული ფოსტით მივაწოდეთ, სადაც გაწერილი იყო კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც შევარჩევდით კანდიდატებს. მათ უნდა წარმოედგინათ განცხადება, პირადობის მოწმობის ასლი, სტუდენტების ნიშნების ფურცელი და სოციალურად დაუცველის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

განცხადებებს ვიღებთ წელიწადში ორჯერ, გაზაფხულის და შემოდგომის სემესტრის დასაწყისში, ადმინისტრაციული რეგისტრაციის დაწყებამდე 10 დღით ადრე.

სულ შემოსული იყო 26 განცხადება, რომელიც ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებისგან შექმნილმა კომისიამ განიხილა. საბოლოო გადაწყვეტილებით, დაფინანსდა 18 სტუდენტი. რამდენიმე მათგანის დაფინანსება მომავალი წლისთვის გადაიდო. სამწუხაროდ, ყველას დასაკმაყოფილებლად არ აღმოჩნდა საკმარისი თანხა.

— ***როგორ მოიძიეთ ფინანსები, ვინ დაგეხმარათ?***

— დაახლოებით 200 კომპანიას მივმართეთ წერილობითი თხოვნით, აქედან მხოლოდ ხუთმა ჩაგვთვალა პასუხის ღირსად. სხვა ორგანიზაციებსაც მივმართე, საკრებულოებსაც, ბანკებსაც. შემდეგ მივხვდი, რომ ელექტრონული ფოსტით ურთიერთობა არაფერს მოგვიტანდა. ამიტომ გადავწყვიტეთ, ოფიციალური წერილით პირადად ვხლებოდით მათ და დახმარება გვეთხოვა.

— ***საქველმოქმედო ფონდებს და სამინისტროებს თუ მიმართეთ?***

— აბსოლუტურად ყველას, მაგრამ უშედეგოდ. მხოლოდ სოფლის მეურნეობის სამინისტრო გამოგვეხმაურა. ამისთვის მადლობა ბატონ ოთარ დანელიას (სამწუხაროდ, ჯერჯერობით თანხა მასაც არ ჩაურიცხავს). თითოეულ სამინისტროს რომ მიზერული თანხა გაეღო, უფრო მეტი სტუდენტის დახმარებას შევძლებდით. სიმართლე გითხრათ, ეს 15 000 ლარი, რაც გასული წლის დეკემბრიდან მოვაგროვეთ, მხოლოდ ნაცნობების და მეგობრების დახმარებით შევძელით. სააფთიაქო ქსელმა პსპ-მ ჩაგვირიცხა 3000 ლარი. აქვე გვითხრეს, რომ, კვარტალურად, განსაზღვრულ თანხას გაიღებენ ფონდის შესავსებად.

1000-1000 ლარი ჩაგვირიცხა ცნობილმა კომპანიებმა: „ნატახტარმა“, „ბარამბომ“ და „ზედაზენმა“, 1500 ლარი ჩაგვირიცხა კომპანია „ახალმა მთვარემ'', მადლობა ამისთვის ბატონ რამინ დავითაძეს. სამწუხაროდ, ბანკმა „რესპუბლიკამ“ ჩაგვირიცხა 2000 ლარი, „ლიბერთი ბანკმა“ — 1000 ლარი, მადლობა გივი ჭანუყვაძეს, რომელმაც გულთან მიიტანა ჩვენი სატკივარი. თავისი ინიციატივით არავინ შეგვეხმიანა, ის კი არადა, პასუხის ღირსადაც არ ჩაგვთვალეს. დაახლოებით 60 კომპანიასთან გვაქვს წერილი მიტანილი... გული გვწყდება „თიბისი ბანკზე“. ბატონ მამუკა ხაზარაძეს, ვახტანგ ბუცხრიკიძეს და პაატა ღაძაძესაც ჩვენი ფაკულტეტი აქვთ დამთავრებული... წერილიც მივწერეთ, თუ ბანკი უარს ამბობს ფონდში თანხების ჩარიცხვაზე, იქნებ, პიროვნულად მაინც მიიღოთ მონაწილეობა, როგორც ჩვენი ფაკულტეტის წარმატებულმა კურსდამთავრებულებმა, მაგრამ ჯერჯერობით პასუხი არ მიგვიღია. მინდა, ამ საქმეში თვითმმართველობის წევრები და სტუდენტებიც ჩავრთოთ. ჩვენი სურვილია, ამ ფონდის შესახებ უფრო მეტმა ორგანიზაციამ და ბიზნესმენმა გაიგოს. აქვე მადლობა მინდა გადავუხადო ბატონ დავით ნარმანიას, თსუ-ის რექტორს, აკადემიკოს ლადო პაპავას, ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებს.

— ***დამეთანხმებით, ფონდი მხოლოდ ერთჯერადი დახმარებით ვერ იარსებებს. რომელიმე კომპანიამ ხომ არ გამოთქვა მუდმივად დახმარების სურვილი?***

— დახმარებამ რომ სისტემატური ხასიათი მიიღოს, „ზედაზენისა“ და „ბარამბოს“ ხელმძღვანელებს მემორანდუმის გაფორმება შევთავაზეთ. ვფიქრობთ, დაგვთანხმდებიან. „ლილო მოლი“ ფიქრობს გააფორმოს ფონდთან ხელშეკრულება. იმედი გვაქვს, რომ „ვისოლ ჯგუფიც“ შემოგვიერთდება და დაგვეხმარება. კათედრის თანამშრომლებიც გვეხმარებიან... გვეხმარებიან აგრეთვე ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები. ფონდის დამფუძნებლები ყოველთვიურად ვრიცხავთ ხელფასიდან გარკვეულ თანხას. დავით ნარმანიაც ეძებს გზებს ამ ფონდის შესავსებად. მოგეხსენებათ, იგი პოლიტიკური ფიგურაა და საფრთხილოა, ვინმემ ეს ფაქტი ცუდად არ გამოიყენოს.

ფონდში შემოსული თანხები ისე გავანაწილეთ, რომ სტუდენტების მხრიდან ერთი პრეტენზიაც კი არ შემოსულა. ყველა ინფორმაცია საჯაროა და ნებისმიერ მსურველს შეუძლია მისი მოძიება. პირველად 18-მა სტუდენტმა მიიღო დახმარება. ეს ისეთი კარგი და მნიშვნელოვანი საქმეა, რომ საფაკულტეტო კი არა, საქვეყნო და საუნივერსიტეტო უნდა გახდეს. ჩვენი ინიციატივა ყველამ უნდა აიტაცოს, თუ ქვეყნის კარგი მომავალი და წინსვლა გვინდა. ყველამ უნდა გაიგოს ამ ფონდის არსებობის შესახებ, რათა უფრო მეტი სტუდენტის დახმარება შევძლოთ.

ინფორმაცია ფონდის შესახებ შეგიძლიათ მოიძიოთ „ფეისბუქის“ საშუალებითაც: საქველმოქმედო ორგანიზაცია „სწავლის ხელშეწყობის ფონდი“ (ქართულად).

თსუ-ის ბიბლიოთეკის პროექტი უსინათლო სტუდენტებისთვის

თამარ ასლანიკაშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მინი ხმის ჩამწერი სტუდია შეიქმნა, სადაც უსინათლო სტუდენტთათვის სახელმძღვანელოების აუდიო-ვერსიას ჩაიწერენ. ამ სტუდიის დაარსების იდეა ბიბლიოთეკის დირექტორს ზურაბ გაიპარაშვილს გაუჩნდა. მან, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების გაცვლითი პროგრამის წევრმა, ამავე პროგრამის კოორდინატორებს მიმართა დახმარებისთვის, რომელთაც მინი აუდიო-სტუდიის შესახებ პროექტი წარუდგინა და დაფინანსებაც მიიღო. უსინათლო სტუდენტებისთვის სახელმძღვანელოების „გახმოვანების“ იდეას ბიბლიოთეკის თანამშრომლებისა და სტუდენტების სახით მოხალისეებიც გამოუჩნდნენ.

ყველაფერი ასე დაიწყო: თსუ-ის სტუდენტი ესმა გუმბერიძე უნივერსიტეტში ხელჯოხით გადაადგილდება. იგი უკვე კარგად იცნობს უნივერსიტეტის დერეფნებს და აუდიტორიებს. ესმამ ეროვნული გამოცდები ბრაილის მეთოდით ჩააბარა, მაგრამ უნივერსიტეტში ამ მეთოდით სწავლის გაგრძელება შეუძლებელი იყო. ესმას თსუ-ის ბიბლიოთეკის თანამშრომლები ამოუდგნენ მხარში. შედგა სპეციალური ცხრილი, რომლის მიხედვითაც უსინათლო სტუდენტს ბიბლიოთეკის თანამშრომლები რიგრიგობით უკითხავდნენ სახელმძღვანელოებს. „ბრაილის წიგნი მოუხერხებელია საუნივერსიტეტო რეალობაში. ერთი მოცულობითი გვერდის ტექსტი ბრაილში 3-4 გვერდს იკავებს. შესაბამისად, ერთი გვერდის წაკითხვაც 3-4-ჯერ მეტ დროს მოითხოვს“, – ამბობს ესმა გუმბერიძე. უსინათლო სტუდენტის შეფასებით, სახელმძღვანელოების აუდიო ჩანაწერები მას სწავლას გაუადვილებს. აუცილებელი არ იქნება ბიბლიოთეკაში კონკრეტულ დროს მისვლა. მას შეეძლება გახმოვანებული სახელმძღვანელოთი სახლში, დამოუკიდებლად იმუშაოს.

პროექტის კოორდინატორი მეკა გოჩიაშვილი ამბობს, რომ უკვე დასრულდა ერთ სახელმძღვანელოზე მუშაობა. ეს გახლავთ კორნელი კეკელიძის და ალექსანდრე ბარამიძის „ძველი ქართული ისტორია“. ამჟამად მიმდინარეობს მერაბ ტურავას „სისხლის სამართლის“ ზოგად ნაწილზე მუშაობა. ბუნებრივია, სახელმძღვანელოების აუდიო ვერსიის ჩაწერა დიდ დროს მოითხოვს. ამიტომაც, როგორც ზურაბ გაიპარაშვილი აღნიშნავს, სპეციალისტებთან კონსულტაციის შემდეგ შედგა ძირითადი და აუცილებელი სახელმძღვანელოების სია. დაგეგმილია დამატებითი სახელმძღვანელოების ჩაწერაც. „უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში უსინათლოთა დასახმარებლად სახელმძღვანელოების გასახმოვანებელი სტუდია მომავალშიც აქტიურად იმუშავებს. წიგნებს რა გამოლევს. ეს მუდმივი პროექტია“, — აცხადებს ბიბლიოთეკის დირექტორი ზურაბ გაიპარაშვილი.

სარგებლობს თუ არა საუნივერსიტეტო საზოგადოება უნივერსიტეტის ელექტრონული ფოსტის მისამართით (- - - @tsu.ge)

„ჩვენი პროფესორები tsu.ge-ზე თავისი მისამართით არ სარგებლობენ. ჩვენ როგორ გავიგოთ, რომელი ფოსტა აქვთ მათ? არადა ხშირად გვჭირდება მათთან კონტაქტი – ხან ინფორმაციის მისაწოდებლად, ზოგჯერ რაღაც განცხადების გასავრცელებლად ან მოსაწვევად სხვადასხვა ღონისძიებაზე! როგორ ვაიძულოთ, რომ ერთიან სივრცეში იყოს ყველა თავმოყრილი და წვდომა გაგვიადვილდეს? ნუთუ ასეთი ძნელია – საკუთარი უნივერსიტეტის ვებ-გვერდის ფოსტით ისარგებლო და ყოველდღიურად ამოწმებდე შენს ფოსტას? ამასაც ბრძანება ხომ არ უნდა სჭირდებოდეს?!“ – აღნიშნა თსუ-ის რექტორმა ლადო პაპავამ პრესკონფერენციაზე, რომელზეც უნივერსიტეტის ვებ-გვერდის განახლების თემასაც შეეხო.

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის” რედაქცია დაინტერესდა, მართლაც, რამდენად აქტიურად იყენებენ პროფესორ-მასწავლებლები უნივერსიტეტის ელექტრონულ მისამართს — (- - - @tsu.ge)-ს? აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა უმეტესობა ინტენსიურად მოიხმარს ამ მისამართს და მისი მუშაობით კმაყოფილია. არსებობენ უკმაყოფილოებიც, რომელთაც არ მოსწონთ ფოსტის ტექნიკური გამართულობა. შენიშვნა გამოითქვა, რომ თსუ-ის ელექტრონული ფოსტით დიდი მოცულობის მასალების გაგზავნა შეუძლებელია. პროფესორ-მასწავლებელთა ნაწილი, უნივერსიტეტის ფოსტას მაინც სხვა ელექტრონულ მისამართს ამჯობინებს, რადგან მათი „ადრინდელი მისამართი” ფართო წრეებისთვის უფრო ნაცნობია.

იყენებთ თუ არა უნივერსიტეტის ელექტრონული ფოსტის მისამართს?

მარინა გარიშვილი,
იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი:

— თბილისის უნივერსიტეტის ელექტრონულ ფოსტას, რა თქმა უნდა, ვიყენებ. სტუდენტებსაც ამ მისამართს ვუთითებ.

ბესარიონ ზოიძე,
იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი:

— უნივერსიტეტის ელექტრონული ფოსტის მომხმარებელი ვარ. როგორ მუშაობს? ხან ასე, ხან ისე... ადრე უფრო კარგად მუშაობდა.

აკაკი ყულიჯანაშვილი,
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი:

— კარგა ხანია, რაც ეს ფოსტა მაქვს. მას მერე, რაც გაკეთდა, უკმაყოფილო არ ვარ. გამართულად მუშაობს.

დიანა გერეკაშვილი,
იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი:

— საუნივერსიტეტო საქმიანობაში მხოლოდ უნივერსიტეტის ფოსტას გამოვიყენებ.

თამარ გაგოშიძე,
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი:

— უნივერსიტეტის ელექტრონულ ფოსტას აქტიურად ვიყენებ. თუმცა ერთი მომენტია, როცა მინდა დიდი მასალის გაგზავნა, სხვა პირადი ფოსტით ვგზავნი, რადგან უნივერსიტეტის ელექტრონულ ფოსტას უჭირს დიდი მოცულობის მასალის გაგზავნა.

გონდო ქოგულია,
მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი:

— მხოლოდ საკუთარ ელექტრონულ მისამართს ვიყენებ უკვე დიდი ხანია.

შალვა გოგიაშვილი,
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი:

— ძირითადად ჩემს პირად ფოსტას ვხსნი, ასევე უნივერსიტეტისასაც. სხვანაირად არ გამოვა.

ამირან გერძენიშვილი,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი:

— უნივერსიტეტის ელექტრონული ფოსტის მისამართს არ ვიყენებ. სხვა ფოსტის მისამართი მაქვს, რომლის შესახებაც უფრო იციან და ამიტომ არ ვსარგებლობ უნივერსიტეტის ელექტრონული ფოსტით.

ფიქრია ასანიშვილი,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი:

— აქტიურად ვიყენებ უნივერსიტეტის ელექტრონულ ფოსტას. ახლა საზღვარგარეთ ვიმყოფები, შესანიშნავად მუშაობს. პრობლემა არ მაქვს.

ლევან გორდეზიანი,
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი:

— თსუ-ის ფოსტას თავიდანვე ვიყენებდი, მაშინ ჯერ კიდევ კარგად არ იყო გამართული. ახლა საყვედური არ მეთქმის. იდეალურად არ მუშაობს, მაგრამ...

თეიმურაზ ლეჟავა,
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი:

— ვიყენებ ჩვეულებრივად. პრობლემა არ მაქვს. გამართულად მუშაობს და კმაყოფილი ვარ.

თამარ დოლგაია,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი:

— ყოველთვის ვიყენებდი უნივერსიტეტის ელექტრონულ ფოსტას. რაც დეკანი გავხდი, მხოლოდ ამ ფოსტით ვსარგებლობ. ადრე იყო პრობლემები, ახლა კარგად მუშაობს.

ნინო ჩიქოვანი,
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი:

— პირად (სხვა) ელექტრონულ ფოსტას უფრო აქტიურად ვხსნი. თსუ-ის ფოსტას კი ყოველ მეორე დღეს. ადრე იყო ტექნიკური შეფერხებები. უკვე წელიწადზე მეტია, რაც გამართულად მუშაობს.

ვახტანგ იმნაიშვილი,
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი:

— არ ვიყენებ. საერთოდ არ იმუშავა უნივერსიტეტის ფოსტამ. დიდ ხანს ვმუშაობდი უცხოეთში. მათ ჩემი პირადი ფოსტა იციან და სულ პირად მისამართზე მიგზავნიან ინფორმაციას. მინდოდა უნივერსიტეტის ფოსტა გამომეყენებინა, მივედი კიდეც — ვთხოვე გაესწორებინათ, მაინც არ იმუშავა. თუ გამართავენ, მოვიხმარ.

ელგუჯა მექვაბიშვილი,
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი:

— ხშირად არ მჭირდება, მაგრამ საჭიროებისამებრ მივმართავ, უფრო უნივერსიტეტის შიდა კომუნიკაციისთვის.

იაშა მესხია,
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი:

— უნივერსიტეტის ფოსტას ყოველდღე ვხსნი. პრეტენზია არ მაქვს.

P.S. გამოკითხვის თანახმად, უნივერსიტეტის ელექტრონული ფოსტით უმეტესობა სარგებლობს, მაგრამ რედაქციის გამოცდილებიდან გამომდინარე შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ხშირად პროფესორ-მასწავლებლებისთვის (tsu.ge)-ზე გაგზავნილ ჩვენს წერილებს, შეტყობინებებს თუ გამოკითხვებს ნაკლებად თუ ეხმაურებიან ხოლმე. ამდენად, სასურველია, ყველამ მოიხმაროს უნივერსიტეტის ელექტრონული ფოსტა, რათა კომუნიკაცია გაადვილდეს.

დაზუსტება

გაზეთმა „თბილისის უნივერსიტეტმა“ მიმდინარე წლის მეორე ნომერში (27 თებერვალი, 2015 წელი; 2) გამოაქვეყნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეს-სამსახურის მიერ მომზადებული წერილი „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამოცემას მაღალი დონის იმპაქტ-ფაქტორი (3.849) მიენიჭა“.

ვინაიდან აღნიშნულმა ინფორმაციამ დოქტორანტებში დიდი დაინტერესება, ხოლო საუნივერსიტეტო საზოგადოებაში კითხვები გამოიწვია, გთავაზობთ აკადემიის პრეს-სამსახურის უფროსის ნათია ვადაჭკორიას *კომენტარს:*

— ეს გახლავთ საერთაშორისო სამეცნიერო ინდექსიფიკატორის მიერ მინიჭებული იმპაქტ-ფაქტორი (International Scientific Indexing ISI). გასულ წლებში ამავე საერთაშორისო ინდექსიფიკატორით ჟურნალ „მოამბის“ მაჩვენებელი იყო 3.520, ხოლო 2014 წლისთვის არის 3.849, რაც აღნიშნულ გამოცემაში გამოქვეყნებული მასალების თუ სტატიების მაღალი კვალიფიკაციის, სამეცნიერო ღირებულებისა და ორიგინალურობის დამადასტურებელია.

ამგვარ კოეფიციენტს რამდენიმე მეცნიერებამეტრული ორგანიზაცია ანგარიშობს, მათ შორის საყოველთაოდ მიღებულია იმპაქტ-ფაქტორი, რომელსაც აქვეყნებს სამეცნიერო ინფორმაციის ინსტიტუტი (Institute for Scientific Information, ISI). ეს ინსტიტუტი 1992 წელს შეიძინა კორპორაცია ტომსონ-როიტერსმა (Thomson-Reuters) და დღეს მას „Thomson Scientific“ ეწოდება; ეს იმპაქტ-ფაქტორები ყოველწლიურად იბეჭდება ჟურნალში „Journal Citation Report” (JCR)”. საქართველოდან, მსოფლიოს 10 ათასამდე სხვა ჟურნალთან ერთად, მის სიაში შესულია: „საქართველოს მათემატიკური ჟურნალი“ — Georgian Mathematical Journal“ (2013 წელს მისი იმპაქტ-ფატორია 0.340), რომელიც დაარსებულია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის და რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის მიერ, აგრეთვე „ჰომოტოპიის და მსგავსი სტრუქტურების ჟურნალი“ — Journal of Homotopy and Related Structures (2013 წლის იმპაქტ-ფაქტორი არის 0.238), რომელსაც ერთობლივად გამოსცემენ მათემატიკურ მეცნიერებათა თბილისის ცენტრი და ლონდონის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ჩვენი აკადემიის „მოამბეს“ უკვე ვხედავთ დაახლოებით 0,2-ის ტოლი მაჩვენებლებით სკოპუსის SJR ჩამონათვალში „საქართველოს მათემატიკური ჟურნალის“ და „საქართველოს სამედიცინო ჟურნალის“ გვერდით; აღსანიშნავია, რომ ამ სამივე ჟურნალის მთავარი რედაქტორები ჩვენი აკადემიის ნამდვილი წევრები გიორგი კვესიტაძე, ივანე კიღურაძე და ლავრენტი მანაგაძე არიან.

ამ საკითხებზე გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ვრცელი წერილი — „კიდევ ერთი საერთაშორისო აღიარება“ — გამოაქვეყნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს-მდივანმა ირაკლი ჟორდანიამ.

INTERNATIONAL
Scientific Indexing
Fresh Ideas for Growing your Citations

Certificate

This is to certify that **Bulletin of the Georgian National Academy of Sciences** is indexed in International Scientific Indexing (ISI). The Journal has Impact Factor Value of **3.849** based on International Citation Report (ICR) for the year **2013-14**. The URL for journal on our server is http://isindexing.com/isi/journaldetails.php?id=906

Editor ICR Team (ISI)

International Scientific Indexing (ISI)

თსუ-ის ვებ-გვერდი გაუმჯობესებას საჭიროებს

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდის შესახებ მრავალი განსხვავებული მოსაზრება არსებობს. დამოკიდებულება არაერთგვაროვანია, თუმცა ყველა თანხმდება, რომ თსუ-ის ელექტრონული სახე გაუმჯობესებას საჭიროებს. ამისთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტებმა მუშაობა უკვე დაიწყეს.

„თსუ-ის ვებ-გვერდის პრობლემა ორ ნაწილად იყოფა – ტექნიკური და შინაარსობრივი. საჭიროა ცვლილებების განხორციელება, რის შედეგადაც ყველა დაინტერესებული პირისთვის ვებ-გვერდზე ინფორმაცია ხელმისაწვდომი და ადვილად მიკვლევადი იქნება. ვვარაუდობთ, რომ რამდენიმე თვეში მუშაობას დავასრულებთ. აქვე დავამატებდი, ვებ-გვერდი განახლებას მუდმივად საჭიროებს და ეს განვითარებადი პროცესია“, — განაცხადა საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსმა ტარიელ ზარანდიამ.

აქვე გთავაზობთ თსუ-ის ვებ-გვერდის შესახებ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საზოგადოების წარმომადგენლების მოსაზრებებს.

დალი ოსეფაშვილი,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი:

— ჩემი აზით, თსუ-ის ვებ-გვერდზე უფრო ადვილად უნდა შეიძლებოდეს ინფორმაციის მოპოვება. განსაკუთრებით ეს ეხება იმ დადგენილებს, რომლებშიც ცვლილებებია შესული. გარდა ამისა, სასურველია, ვებ-გვერდი ვიზუალურად კიდევ უფრო მიმზიდველი და საინტერესო იყოს.

გამრავალფეროვნებას მოითხოვს ვებ-გვერდის ინგლისურენოვანი ვერსიაც, რათა ერასმუსისა თუ სხვა გაცვლითი პროგრამების მონაწილე უცხოელმა პროფესორებმა, ასევე, სტუდენტებმაც, დაინტერესების შემთხვევაში, შეძლონ მათთვის საჭირო ინფორმაციის მოპოვება. მომწონს ის სიახლე, რომ ჩვენი ფაკულტეტების ვებ-გვერდზე ინგლისურად განთავსდა პროფესორების სახელ-გვარები და ელექტრონული ფოსტა. სასურველია, დაემატოს პროფესორთა მოკლე ბიოგრაფიები და რეზიუმეებიც, სადაც გამოჩნდება მათი სასწავლო კურსებიც და კვლევის ინტერესები. ეს უცხოელ კოლეგებს, დოქტორანტებსა თუ პოსტ-დოქტორანტებს კონტაქტების დამყარებაში დაეხმარება“.

ნათია კუპრაშვილი,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი:

— თსუ-ის ვებ-გვერდზე მომწონს ფონი (ადვილად აღქმადია ინფორმაცია და თვალს არ ღლის), ასევე კარგად მუშაობს ძებნის რეჟიმი.

მიმაჩნია, რომ გვერდი ზედმეტად ოფიციალურ, უფრო სამთავრობო უწყებების გვერდს ჰგავს და საჭირდება „გაადამიანურება“, მარტივი და გასაგები სათაურები, მათ შორის ოფიციალური დოკუმენტების „დალინკვის“ დროსაც. უმჯობესია, ჩანდეს მეტი ინფორმაცია სტუდენტებისთვის და თავად სტუდენტებიც ფიგურირებდნენ უფრო მეტ გამოქვეყნებულ მასალაში.

მანანა ხაჩიძე,
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი:

— დიდი ბოდიშით მოგახსენებთ, რომ თსუ-ის ვებ-გვერდი კრიტიკას ვერ უძლებს. მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ჩვენი კურსდამთავრებულები წარმოადგენენ საქართველოში ინფორმაციული ტექნოლოგიების ლიდერებს — ნამდვილად არ გვეკადრება ვიზუალურად, სტრუქტურულად და ტექნოლოგიურად გადაწყვეტილი ასეთი გვერდი.

გვერდს არ გააჩნია ლოგიკურად დალაგებული იერარქიული სტრუქტურა და თუ მომხმარებელმა ზუსტად არ იცის — სად უნდა მოიძიოს მისთვის საჭირო ინფორმაცია, ამის გაკეთება თითქმის შეუძლებელია.

აბსოლუტურად ფორმალურ ხასიათს ატარებს ძებნის ღილაკი. გაურკვეველია — რა წესს იყენებს ძებნისას.

ვებ-გვერდს, ასევე, აკლია ბევრი ინფორმაცია, რომელიც სასურველი და ხშირ შემთხვევაში აუცილებელია უნივერსიტეტის რეიტინგული პარამეტრების შესაფასებლად (სამწუხაროდ, რიგი სარეიტინგო სისტემები ამ ფაქტორებს ითვალისწინებენ).

დიდ პრობლემას წარმომადგენს ინგლისურენოვანი მხარე. რა თქმა უნდა, არ არის აუცილებელი ზუსტ ასლს წარმოადგენდეს ინგლისურენოვანი ვერსია, მაგრამ ძირითადი ინფორმაცია უნდა იყოს. ეს ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის შესახებ საზოგადოებას სრული წარმოდგენა შეექმნას.

თვალში საცემია ისიც, რომ უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალზე ბიოგრაფიული მონაცემები არ დევს – მხოლოდ სახელი და გვარი კი, ზოგიერთისთვის, არაფრის მეტყველია. ნუთუ ეს ასეთი რთული საქმეა – თითოეულის შესახებ შეაგროვონ ბიოგრაფიული ცნობები და ვებ-გვერდზე განთავსდეს?

თამარ კეზელი,
მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი:

— დღეისათვის ვებ-გვერდის სტრუქტურა დამაკმაყოფილებელია, მისი გამოყენებისას შეფერხება არ გვაქვს, ინფორმაცია მეტნაკლებად ხელმისაწვდომია.

ნატა ყაზახაშვილი,
მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი:

— თსუ-ის ელ-ფოსტაზე ძნელია პაროლის შეცვლა. ვფიქრობ, ტექნიკურად გამართვას მოითხოვს. ვებ-გვერდს რაც შეეხება, დიდად პრეტენზიული არ ვარ, მაგრამ ინფორმაციის მოძიების კუთხით შეიძლება უფრო გამარტივება. ასევე, ძიების ბანერებს შეიძლება დაემატოს ფოტოგალერეა, ვიდეო-ტურები ფაკულტეტების მიხედვით. უცხოელებთან ხშირად გვაქვს შეხვედრები და მათ აინტერესებთ ინფორმაცია თსუ-ის შესახებ. ვისაუბრებ უშუალოდ ჩემს ფაკულტეტთან დაკავშირებით, გვაქვს საკმაოდ ბევრი საბაზო დაწესებულება — კლინიკები, სადაზღვევო კომპანიები, კვლევითი ინსტიტუტები, გვყავს პოტენციური დამსაქმებლები, რაც სასწავლო პროცესთან კავშირშია. ამის შესახებ ინფორმაცია კი ჩვენს ვებ-გვერდზე არ დევს.

დავით გოსტოღანაშვილი,
იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი:

— აქტიურად ვიყენებ ვებ-გვერდს. აქედან გამომდინარე არაფერს განსაკუთრებულს არ შევცვლიდი. ვგულისხმობ, როგორც ზოგადად თსუ-ის ვებ-გვერდს, ასევე, კონკრეტულად, იურიდიული ფაკულტეტისაც.

მარინა გარიშვილი,
იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი:

— ვფიქრობ, რომ სანამ ვებ-გვერდს შეცვლიდნენ, უკეთესი იყო. ახლა ინფორმაციის მოძიება ბევრად რთულია, ამიტომ გამარტივებას საჭიროებს. ზოგადად, ჩვენი უნივერსიტეტის ვებ-გვერდს საკმაოდ ხშირად ვიყენებ.

ეთერ ხარაიშვილი,
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი:

— თსუ-ის ვებ-გვერდის დადებითი მხარეა ნავიგაციის სისტემა. პირველ გვერდზე ინფორმაციის განლაგების სტრუქტურა მისაღებია. თუმცა, თითოეული მათგანის გახსნის შემდეგ საინფორმაციო რესურსების ნაკლებობაა. მაგალითად, სასურველია იყოს მეტი ბმულები ელექტრონულ ბიბლიოთეკებზე, ასევე, გვერდი შეიძლება გახდეს კარგი საინფორმაციო წყარო სტუდენტებისათვის, ასევე პროფესორებისთვის სხვადასხვა საერთაშორისო ინიციატივებში მონაწილეობის მისაღებად. აუცილებელია გაიზარდოს საინფორმაციო მონაცემთა ბაზები სტუდენტებისათვის კათედრების მიხედვით. მაგალითად, სტუდენტმა ადვილად უნდა შეძლოს კათედრის შესაბამისი გამოცდების პროგრამებისა და შეფასების კრიტერიუმების, სილაბუსებისა და ლექციების, ასევე, სახელმძღვანელოების ელექტრონული ვერსიების მოძიება.

ტარიელ ზარანდია

ვებ-გვერდზე არსებული ზოგიერთი ინფორმაცია მოძველებულია. საჭიროა, შესაბამისმა სამსახურებმა შეიმუშაონ და ფაკულტეტებმა იცოდნენ ინფორმაციის სახეობებს მიხედვით მათი განახლების განრიგი.

საჭიროა მომხმარებლებისთვის ქართულ ენაზე არსებული ინფორმაციების ინგლისურენოვანი ვერსიების მიწოდებაც.

ვებ-გვერდი წარმოადგენს ჩვენს სავიზიტო ბარათს არა მარტო შიდა მომხმარებლებისთვის, არამედ საერთაშორისო სივრცისა და აბიტურიენტებისთვისაც. შესაბამისად, ვიზუალურად ეფექტიანი და შინაარსობრივად დატვირთული კარგი ვებ-გვერდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის იქნება წარმატებისა და საუკეთესო რეპუტაციის შენარჩუნების წინაპირობა.

თინა მარგალიტაძე,
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი:

— უნივერსიტეტის ახალი ვებ-გვერდი საკმაოდ ამომწურავ ინფორმაციას იძლევა უნივერსიტეტის საქმიანობის და პრაქტიკულად ყველა ასპექტის შესახებ — კერძოდ, მისი ისტორიის, მართვის ორგანოების, ასევე ფაკულტეტების, სამივე საფეხურის სასწავლო პროგრამების, უნივერსიტეტში განხორციელებული და მიმდინარე სამეცნიერო კვლევების, მუზეუმების, ბიბლიოთეკების შესახებ და სხვა. ვებ-გვერდზე ასევე ოპერატიულად იდება ინფორმაცია მიმდინარე ამბების, სხვადასხვა ღონისძიებების შესახებ, რაც უნივერსიტეტში ტარდება. საჭირო ინფორმაციის მოძიება ვებ-გვერდზე საკმაოდ ადვილია.

ჩემი აზრით, რიგ შემთხვევაში ვებ-გვერდის ცალკეულ რუბრიკას ფერადოვნება და ფოტოები აკლია. მაგ. რუბრიკა — უნივერსიტეტის ისტორია, ბევრად საინტერესო იქნებოდა მას უნივერსიტეტის დამფუძნებლების, პირველი ლექტორების ფოტოები რომ ახლდეს.

ჩემი სურვილია უნივერსიტეტის ვებ-გვერდებზე გამოიყოს ადგილი, სადაც ეტაპობრივად განთავსდება უნივერსიტეტის პროფესორების ვიდეო-ლექციები ან ცალკეული სალექციო კურსები.

გიორგი ყიფიანი,
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი:

— თსუ-ის ვებ-გვერდს ხშირად ვიყენებ, მაგრამ მისი გაუმჯობესება ბევრი რამით შეიძლება. მაგალითად, ამოქმედდეს სიახლეების გაგზავნის ავტომატური რეჟიმი, გაკეთდეს ვებ-გვერდის ინგლისურენოვანი ვერსია. ეს აუცილებლად გასაკეთებელია, რადგან უცხოელებისათვის ჩვენი უნივერსიტეტის შესახებ ინფორმაცია პრაქტიკულად ხელმიუწვდომელია.

ალექსანდრე გამყრელიძე,
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი:

— სამწუხაროდ, ჩვენი უნივერსიტეტის ვებ-გვერდი ნაკლებად ინფორმაციულია. უცხო ადამიანს (განსაკუთრებით არაქართულენოვანს) არ აქვს თანამშრომლების, კათედრების, მიმართულებების, ფაკულტეტების შესახებ ინფორმაციის მიღების საშუალება. ალბათ უკეთესი იქნებოდა, თუ ყველა თანამშრომელს (ან მიმართულების ერთ წარმომადგენელს მაინც) ინფორმაციის შესაბამის ვებ-გვერდზე განთავსების შესაძლებლობა ექნება — ეს ინფორმაციის სწრაფ განახლებას ძალიან შეუწყობს ხელს. ინფორმაციის განთავსების გარდა, ძალიან მნიშვნელოვანია ძლიერი საძიებო სისტემის შექმნაც, რათა დაინტერესებულ პირს როგორც თემატიკის, ასევე გვარების მიხედვით შეეძლოს ინფორმაციის პოვნა.

გარდა ამისა, უკეთესი იქნება, თუ მომავალ სტუდენტებს უფრო ცოცხალ და ხელმისაწვდომ ინფორმაციას შევთავაზებთ ჩვენი უნივერსიტეტის ცხოვრებისა და სასწავლო პროცესის შესახებ.

მოამზადა
ნატო ოგოლაძემ

სტუდ-ეტიკი

№11

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ სტუდენტური ჩანართი

უწყობს თუ არა სტაჟირება ხელს სტუდენტის დასაქმებას

„7 სემესტრის განმავლობაში, მხოლოდ 2 სემესტრში მქონდა პრაქტიკულ საქმიანობასთან შეხება, აქედან გამომდინარე, სტაჟირების კრედიტ-კურსზე დიდ იმედებს ვამყარებ. ვერ ვიტყვი, რომ ამ კურსის გავლის შემდეგ დასაქმება ადვილი იქნება. თუმცა, მსგავსი კურსები დასაქმებისკენ გადადგმული დიდი ნაბიჯია“, – ეს ის პასუხია, რომელსაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების უკლებლივ ყველა სტუდენტი გაგცემთ კითხვაზე, თუ რამდენად უწყობს ხელს უნივერსიტეტი სტუდენტების სტაჟირებასა და დასაქმებას და რამდენად მნიშვნელოვანია მათთვის პრაქტიკული კურსები - ამ შემთხვევაში სტაჟირების კრედიტ-კურსი.

2012 წლიდან სტაჟირების კრედიტ-კურსის პროგრამა ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის პრაქტიკული დისციპლინების ჯგუფს მიეკუთვნება. თანამედროვე ჟურნალისტური სწავლების სტანდარტები თეორიული და პრაქტიკული საგნების სინთეზს მოითხოვს. აღნიშნული კურსის ფარგლებში სტუდენტები უნივერსიტეტში მიღებულ თეორიულ და პრაქტიკული ცოდნას სხვადასხვა მედია ორგანიზაციებში იღრმავებენ.

როგორც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი მარიამ გერსამია ამბობს, სტაჟირება, რომელსაც უნივერსიტეტი სტუდენტს სთავაზობს, კურსდამთავრებულის დასაქმებას ნამდვილად ეხმარება – „ჩვენი სტუდენტები ყოველთვის გადიოდნენ სტაჟირებას სხვადასხვა მედია საშუალებებში, თუმცა ამაში კრედიტს არ იღებდნენ. უკვე რამდენიმე წელია, რაც სტაჟირების კრედიტ-კურსები ჩვენი სასწავლო გეგმის ნაწილია (ტელე, რადიო, ბეჭდური მედიის მიმართულებით) და სტაჟირებაში სტუდენტები 4 და 5 კრედიტს იღებენ. გვაქვს გაფორმებული არაერთი მემორანდუმი. სტაჟირება კურსდამთავრებულის დასაქმებას ნამდვილად ეხმარება. ამის მაგალითები გვაქვს, თუმცა ეს არ არის მედია ორგანიზაციის ვალდებულება. ზოგადად, კომპეტენციებზე დაფუძნებული განათლების განვითარებისთვის, სტაჟირების მრავალფეროვანი და ამასთან, ხარისხიანი შეთავაზებაა მნიშვნელოვანი“.

სტაჟირების კრედიტ-კურსი მიზნად ისახავს სტუდენტებმა, პრაქტიკოსი ჟურნალისტების დახმარებით, რეალურ ჟურნალისტურ გარემოში შეძლონ მუშაობა, შეიძინონ და დახვეწონ პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

სტაჟირების კრედიტ-კურსის „სამაუწყებლო მედია – ტელევიზია“ ხელმძღვანელი ხათუნა კაჭარავა ჩვენთან საუბრისას აღნიშნავს, რომ სტუდენტები ჟურნალისტების რანგში მუშაობენ და, გადაცემის ფორმატიდან გამომდინარე, ასრულებენ სხვადასხვა დავალებებს, მონაწილეობენ გადაცემების დაგეგმვაში, სიუჟეტებისთვის მასალის მოპოვებაში, გადაღებასა და მონტაჟში – „კრედიტ-კურსი სტუდენტებს რეალურ პროფესიულ გარემოსთან ადაპტაციაში, ჟურნალისტისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები დახვეწაში ეხმარება, რაც მათ მედიაბაზარზე დამკვიდრებისა და კარიერული წინსვლის საშუალებას მისცემს. სტაჟირების კრედიტკურსის გავლის შედეგად სტუდენტებს გააჩნიათ გარკვეული პროფესიული გამოცდილება, პრაქტიკული უნარ-ჩვევები, იციან კოლეგებთან ურთიერთობის სტანდარტები, ავლენენ თავიან პროფესიულ შესაძლებლობებს, რაც მათ დასაქმებაში ეხმარება.“ – ამბობს ხათუნა კაჭარავა.

სტაჟირებას სტუდენტები სხვადასხვა მედიაორგანიზაციებში გადიან, სადაც პროფესიონალი ჟურნალისტები ასწავლიან მათ გუნდურ და დამოუკიდებელ მუშაობას, ცდილობენ დავალებები ინდივიდუალურად, კონკრეტული სტუდენტის უნარისა და შესაძლებლობების შესაბამისად შეურჩიონ. სტაჟირების მონიტორინგი კრედიტ-კურსის ხელმძღვანელის მიერ ხორციელდება. სტაჟირების პერიოდში სტუდენტი სპეციალურად შედგენილ კითხვარს ორჯერ ავსებს, სადაც კრედიტ–კურსის მიმდინარეობას, სტაჟირების სუსტ და ძლიერ მხარეებს აღწერს.

როგორც მიმართულების სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელი ანა ზაქარაია ამბობს სტაჟირების კრედიტ–კურსების (ტელე, რადიო და ბეჭდურ მედიაში) გასავლელად აუცილებელი წინა პირობა არის ის, რომ სტუდენტის აუცილებლად უნდა იყო დამამთავრებელ კურსზე, ჰქონდეს გავლილი ბეჭდური და სამაუწყებლო მედიის დისციპლინების თეორიული და პრაქტიკული საგნები (რომლებშიც მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 85 ქულისა), უნდა შეეძლოს მასალის მოპოვება, ტექსტზე მუშაობა, მასალის გადაღება, სიუჟეტის დამონტაჟება და ა.შ.

მარიანა ბაბაიანი იმ სტუდენტებიდან ერთ-ერთია, რომელმაც 2014 წელს საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციასა (GARB) „რადიო თავისუფლებაში“ სტაჟირების კრედიტ-კურსი გაიარა. მარიანა დღეს საზოგადოებრივ მაუწყებელში კორესპონდენტად მუშაობს. „შეუძლებელია 1 თვეში მიიღო გამოცდილება, რომელიც დაგეხმარება, დასაქმდე შენი პროფესიით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სტაჟირებასთან ერთად უნივერსიტეტში გიწევს სიარული, მაგრამ სტაჟირების კურსები სტუდენტებს პროფესიული უნარ-ჩვევების გაღრმავებაში ნამდვილად ეხმარება. ამ დროს უშუალოდ აკვირდები ჟურნალისტების მუშაობის პროცესს, შენც იღებ მონაწილეობას, რაც, ვფიქრობ, ყველაზე მნიშვნელოვანია. სწავლობ რამდენად მნიშვნელოვანია დედლაინის დაცვა. თუმცა დრო, რომელიც გამოყოფილია სტაჟირების გავლისთვის, არის არასაკმარისი. ჟურნალისტისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი არის პრაქტიკა, მუშაობა იმ გარემოში სადაც აპირებ, რომ მომავალში თავი დაიმკვიდრო. ნებისმიერ დამსაქმებელს სჭირდება გამოცდილი კადრი. შესაბამისად, ვფიქრობ, 1 თვიანი გამოცდილება არაფერია“, – ამბობს მარიანა.

თამარ ვახტანგიშვილი, ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების 25 სტუდენტის მსგავსად, აპირებს სტაჟირების კურსი ტელევიზიაში გაიაროს – „ტელევიზიის სტაჟირების კრედიტ-კურსზე დიდ იმედებს ვამყარებ, ეს კურსი მაქსიმალურად უნდა დაგვეხმაროს სასურველ კადრად ჩამოყალიბებაში. თუმცა, 1 თვის ვადაში, თანაც დამამთავრებელ კურსზე, რამდენად შესაძლებელია, არ ვიცი“, – ამბობს იგი.

როგორც აღვნიშნეთ, მიმართულებაზე ასევე გახსნილია რადიოს და ბეჭდური მედიის სტაჟირების კრედიტ-კურსები. პრაქტიკულ საქმიანობას სტუდენტები რადიოში (მემორანდუმის ფარგლებში) რადიო „ფორტუნაში“ გადიან, ხოლო ბეჭდურ მედიაში მათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ ეხმარებათ.

ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტები კითხვაზე – რამდენად უწყობს ხელს უნივერსიტეტი სტუდენტების სტაჟირებას და დასაქმებას და რამდენად მნიშვნელოვანია მათთვის პრაქტიკული კურსები? – პასუხიც ერთი აქვთ და იმაზეც ერთხმად თანხმდებიან, რომ სტაჟირების ერთთვიანი კურსი, თანაც დამამთავრებელ საფეხურზე, კარგია, მაგრამ — არასაკმარისი. ისინი იმედს იტოვებენ, რომ მომავალში მეტი მედიასაშუალება დაინტერესდება სტუდენტებისთვის ხელშეწყობით და მომავალი ჟურნალისტები ხარისხიან პრაქტიკულ გამოცდილებას მიიღებენ.

ნათია სუხიტაშვილი,
თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი

რას ფიქრობენ უნივერსიტეტის სტუდენტები ლექტორებსა და სასწავლო კურსების ხარისხზე?!

უნივერსიტეტში სტუდენტის ცოდნის ხარისხი დიდწილად ლექტორებზეა დამოკიდებული. სწორედ მათი კომპეტენტურობა, პასუხისმგებლობის გრძნობა, სტუდენტებთან ურთიერთობის უნარი და სხვა ფაქტორები ახდენენ დიდ გავლენას იმაზე, თუ რა ცოდნას დააგროვებს სტუდენტი სწავლის პერიოდში. სტუდენტები ხშირად საუბრობენ უნივერსიტეტში სასწავლო გარემოს უარყოფით მხარეებსა და ლექტორებზე, რომლებსაც უინტერესო და უსარგებლო სალექციო კურსის ძირითად მიზეზად მოიხსენიებენ, თუმცა არიან ისეთებიც, რომლებიც თავიანთ პროფესიულ წინსვლას ლექტორების მაღალ პროფესიონალიზმს უმადლიან. და მაინც, რას ფიქრობენ უნივერსიტეტის სტუდენტები ლექტორების შესახებ?

გიორგი კორაშვილი,
იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი:

— შემიძლია ვთქვა, რომ ჩემს ფაკულტეტზე ლექტორების 95% ყველანაირად მაგარია, რა თქმა უნდა, შეიძლება იყვნენ ცუდი ლექტორებიც. მსმენია, რომ გვყავს რამდენიმე ისეთი ლექტორიც, რომლებიც საგნის აზრზე არ არიან და როგორ გახდნენ ლექტორები — ეგეც საკითხავია. თუმცა, პირადად მე, ასეთებთან არ მქონია შეხება. სტუდენტებსაც არ ასხვავებენ ერთმანეთისგან რაიმე ნიშნით, ყველასთან ერთნაირი დამოკიდებულება აქვთ.

გადრი კოგიაშვილი,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი:

— ხშირად პრობლემა ლექტორების უპასუხისმგებლობაშია. ეს ლექციებისა და სემინარების გაცდენაში და არაჯეროვნად შესწორებულ ნაშრომებში, ვლინდება. ვფიქრობ, ზოგჯერ უყურადღებოდ ასწორებენ ნაშრომებს. ხანდახან შთაბეჭდილება მრჩება, რომ ლექტორს ნაშრომი ნახევრად აქვს წაკითხული. ხანდახან ვხვდები, რომ რაღაც ვერ დავწერე სრულყოფილად და ამის მიუხედავად, მაქსიმალურ შეფასებას ვიღებ, ეს მაეჭვებს ხოლმე. უმეტესწილად კი მქონია შემთხვევა, როცა სილაბუსი, ლექციების თემატიკა და პროცესი სრულიად არ შეესაბამებოდა ერთმანეთს. რაც შეეხება ლექციის პროცესს, მიმაჩნია, რომ საკმაოდ საინტერესოა, რადგან ლექტორებს ცოდნა ნამდვილად არ აკლიათ.

თამარ დოღაძე,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი:

— პირადად მე ძალიან კმაყოფილი ვარ, მომწონს ლექციები. ლექტორები არ ატარებენ ლექციებს, მხოლოდ იმიტომ, რომ უბრალოდ ჩატარდეს, მათი მიზანია, რომ ჩვენ რაც შეიძლება მეტი საინტერესო ინფორმაცია მოგვაწოდონ. ძირითადად კმაყოფილი ვარ, მაგრამ ხანდახან არის შემთხვევები, როდესაც ტესტები შედარებით რთულია, თუმცა ეს ჩემი აზრია.

ნინო გოგოლაძე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი:

— პრობლემად მიმაჩნია, როდესაც ლექტორი აგვიანებს, ან აცდენდეს. ზოგჯერ ხდება, რომ ლექციებზე სტუდენტებთან არაპროფესიონალურად იქცევიან (ზოგ ლექტორზე მაქვს საუბარი), არ იციან სტუდენტებთან ურთიერთობა და სალექციო თემასაც ვერ გადმოსცემენ ჯეროვნად. ზოგ საგანზე სალექციო მასალაც ძალიან მცირეა, ამის გამო კი არც ისე საინტერესოა თვითონ ლექციის პროცესი. შემიძლია ვთქვა, რომ ლექტორები ვერ ახერხებენ სტუდენტების დაინტერესებას.

ანუკი ბურდული,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი:

— ჟურნალისტიკისა და ფსიქოლოგიის მიმართულებას თუ განვიხილავთ, ვიტყვი, რომ არიან ლექტორები, რომლებიც ცდილობენ, ყველანაირად შეგვიწყონ ხელი განვითარებაში, როცა ხედავენ, რომ დაინტერესებული ხარ მათი საგნით. ნამდვილად შეიძლება ითქვას, რომ არიან ლექტორები, რომლებისგანაც ბევრი რამ ვისწავლე, არა მარტო საგნის, არამედ ადამიანური ღირებულებების მხრივაც. თუმცა, არიან ისეთებიც, რომელთაც ნაკლებად აინტერესებთ უშუალოდ სტუდენტი. მათთვის მთავარია ლექციის ჩატარება და ამით მთელი სამუშაოს დამთავრება. ძირითადად, მე მაინც დადებითად ვაფასებ ლექტორებს თსუ-ში.

ანა გელაშვილი,
ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების სტუდენტი

მაგისტრატურა — გზა უკეთესი მომავლისაკენ

ჩავაბარო მაგისტრატურაში თუ არა? რაში დამეხმარება მაგისტრის ხარისხი? ჩემი პროფესიით აქვს აზრი სწავლის გაგრძელებას? სხვა პროფესია რა ავირჩიო? თუ ჩავაბარებ, რომელ უნივერსიტეტში ჩავაბარო? საზღვარგარეთ ხომ არ ჯობია წავიდე? ეს მცირე ჩამონათვალია იმ კითხვებისა, რომლებსაც სტუდენტი 4 წლის განმავლობაში უსვამს საკუთარ თავს, ხოლო თუ საბოლოოდ გადაწყვეტს განათლების მიღებას მაგისტრატურაში, შემდეგ უკვე უნდა მოიფიქროს, თუ რომელ უნივერსიტეტში და რა მიმართულებით ისწავლის. არჩევანი საკმაოდ დიდია. სტუდენტებს შეუძლიათ როგორც საქართველოში დარჩენა და მაგისტრის ხარისხის აქ მიღება, ასევე, საზღვარგარეთ წასვლა.

ახლა, სწორედ ის პერიოდია, როდესაც სტუდენტები საერთო სამაგისტრო გამოცდისათვის რეგისტრირდებიან. შესაძლოა მათ ნაწილს ჯერ კიდევ არ ჰქონდეს გადაწყვეტილი, რომელ უნივერსიტეტში აპირებს სწავლის გაგრძელებას.

რატომ აბარებენ სტუდენტები მაგისტრატურაში, რაში ეხმარება მათ იგი? პირველ რიგში, კარიერულ წინსვლაში, ასევე კარგი შესაძლებლობაა, რომ დახვეწონ პროფესიული უნარ-ჩვევები, მეტი ახალი რამ ისწავლონ, ან შეცვალონ პროფესია.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურა მოიცავს სამეცნიერო კვლევის ელემენტებს და მიზნად ისახავს ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის ან მკვლევრის მომზადებას. თსუ-ის მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების უფლება აქვთ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირებს, რომლებიც წარმატებით გაივლიან საერთო სამაგისტრო გამოცდას და შემდგომ კონკურსს.

თსუ-ში დღეს, დაახლოებით 22 000-მდე სტუდენტი სწავლობს ბაკალავრის ხარისხის მისაღებად. მათი ნაწილი თსუ-შივე აგრძელებს მაგისტრატურაში სწავლას, ნაწილი კი, ან საერთოდ არ აბარებს, ან სხვადასხვა უნივერსიტეტში მიდის.

და მაინც, რატომ უნდა აირჩიოს სტუდენტმა თსუ?

თსუ-ს აქვს მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამები შემდეგი მიმართულებებით:

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართულებით, იურიდიული, მედიცინის განხრით. ასევე არის: თსუ-ის სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თსუ-ის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა, თსუ-ის ევროპული კვლევების ცენტრი, თსუ-ის ტურიზმის საერთაშორისო სკოლა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თსუ-ს აქვს უცხოენოვანი სამაგისტრო პროგრამებიც. აქ 1500-ზე მეტი პროფესორ-მასწავლებელი მუშაობს.

თსუ-ს 100-მდე სამაგისტრო პროგრამა აქვს. მაგრამ ამის მიუხედავად, არის ისეთი პროფესიები, რომელიც თსუ-ის მაგისტრატურაში არ ისწავლება. მაგალითად, საზოგადოებასთან ურთიერთობა (PR). ამ სპეციალობაზე დიდი მოთხოვნაა, მაგრამ რატომღაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამგვარი პროგრამა არ არსებობს. „თსუ-ში ჟურნალისტიკაზე ვსწავლობ და პროფესიულ საგნებთან ერთად შესაძლებლობა მქონდა გამევლო ისეთი საგნები, როგორებიცაა საზოგადოებასთან ურთიერთობა (PR), წერის უნარები პიარისთვის, ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები. სწორედ ამის შემდეგ გადავწყვიტე, რომ საინტერესო იქნებოდა ამ სპეციალობას, საზოგადოებასთან ურთიერთობას, უკეთ გავცნობოდი. თსუ-ში კონკრეტულად ეს პროფესია არ ისწავლება. ამის კარგ შესაძლებლობას მთავაზობს საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) სამაგისტრო პროგრამა. უამრავი ადამიანისგან მსმენია, რომ GIPA-ს ეს პროგრამა ერთ-ერთი საუკეთესოა საქართველოში, ამიტომაც, ალბათ შევეცდები, იქ ჩავაბარო“, — გვითხრა თსუ-ის სტუდენტმა ანა ხაჩიძემ.

ბევრ სტუდენტს უნდა საზღვარგარეთ მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელება. ზოგი ამ ყველაფერს უნივერსიტეტის დახმარებით ახერხებს, ზოგიერთი კი — დამოუკიდებლად. სად ჯობია მაგისტრატურის კურსის გავლა, ამ თემასთან დაკავშირებით სტუდენტების აზრი იყოფა, მათ სხვადასხვა არგუმენტები აქვთ. ზოგი მიიჩნევს, რომ საზღვარგარეთ უკეთეს განათლებას მიიღებს და დაბრუნების შემდეგ აქ უფრო მარტივად დასაქმდება. ნაწილი კი თვლის, რომ თუ სტუდენტი მოინდომებს და კარგად ისწავლის, იგი შეძლებს, საკუთარ ქვეყანაში მიიღოს კარგი განათლება და კარგადაც დასაქმდეს. მაგრამ არის შემთხვევები, როცა საზღვარგარეთ განათლების მიღება უფრო მეტის მომცემია, ვიდრე საქართველოში სწავლა.

ნინო ქუქჩიშვილი სწორედ ასეთ სიტუაციაშია: „წელს ვამთავრებ თსუ-ის ინგლისური ფილოლოგიის მიმართულებით. საკმაოდ დიდი ცოდნა მივიღე ამ 4 წლის განმავლობაში, როგორც ზოგადი, ასევე, პროფესიულიც და ინგლისური ენაც კარგად შევისწავლე. მიუხედავად ამისა, არ ვაპირებ საქართველოში მაგისტრატურაში ჩაბარებას. მინდა, რომ ენა კიდევ უფრო კარგად ვისწავლო და ამის საუკეთესო საშუალებად მიმაჩნია ისეთ ქვეყანაში გავაგრძელო სწავლა, სადაც ინგლისურად საუბრობენ“, — გვითხრა მან.

თათია კაკიაშვილი კი იმ სტუდენტთა რიცხვს მიეკუთვნება, ვისთვისაც საქართველოში, კერძოდ თსუ-ში, სწავლა უპირატესობაა: „ჩემთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლა ერთგვარი პრივილეგიაა. მაგისტრატურის გავლასაც სწორედ თსუ-ში ვაპირებ, ვინაიდან ის მიმართულება, რამაც დამაინტერესა - ანუ მედიის კვლევა - ჩვენს უნივერსიტეტში ძალიან საინტერესოდაა დაპროგრამებული. გარდა ამისა, ჩემთვის უკვე ნაცნობია თსუ-ში სწავლების მეთოდი, ადმინისტრაცია, ტექნიკის გამართულობა, შესაბამისად, ახალ სისტემასთან ადაპტაცია აღარ დამჭირდება“, — ამბობს იგი.

წერილზე მუშაობისას გავრცელდა ინფორმაცია, რომ Webometrics-ის რანჟირებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი კავკასიაში №1 უნივერსიტეტად დასახელდა. მისი მიზანია, სტუდენტებისთვის თანამედროვე სტანდარტის შესატყვისი განათლების მიცემა, მათთვის სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბება, ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაცია. თსუ პირველი უნივერსიტეტია საქართველოში და საუკუნოვანი არსებობის განმავლობაში მიღწეული მაღალი სტანდარტების შესანარჩუნებლად ისწრაფვის იყოს საუკეთესო, როგორც კვლევებში, ასევე, განათლების სფეროში, ამდენად — სტუდენტებისთვის მაგისტრატურის კურსის გავლა აქ სწორედაც რომ სასურველია.

ხატია მეხრიშვილი,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი

სტუდენტები სიცოცხლისთვის

2013 წლის ნოემბრის ბოლოს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის IV კორპუსის 308-ე აუდიტორიაში რომ შეგეხედათ, გრძელი მაგიდის ირგვლივ შემომსხდარ სტუდენტებს დაინახავდით, რომლებიც ლექტორთან ერთად მაგიდაზე დაყრილ უამრავ ხურდა ფულს ითვლიდნენ. ირგვლივ მიწყობილი მუყაოს ყუთებიც მოგხვდებოდათ თვალში, წარწერით — „დაეხმარეთ 11 წლის გიორგი ჯიშკარიანს".

გიორგის დაავადებას დიაგნოზი ვერ დაუდგინეს. მისი ძმები, 6 წლის გოგა და 11 წლის თენგო იმავე დაავადებით გარდაიცვალნენ. ოჯახის ქონება მათ მკურნალობაში დაიხარჯა და, შესაბამისად, არანაირი სახსარი აღარ დარჩა გიორგის გამოსაკვლევად. ოჯახი სოციალურად დაუცველი იყო, გერმანიაში წასვლა კი, გიორგისთვის სიცოცხლის შენარჩუნების ერთადერთი გზაა.

უნივერსიტეტის პროფესორმა სალომე დუნდუამ 11 წლის გიორგის შესახებ „ფეისბუკის" გვერდით შეიტყო და გადაწყვიტა, ამის შესახებ თავისი სტუდენტებისთვის ეთქვა - „თავიდან რამდენიმე სტუდენტს ვუთხარი და მერე გაიზარდა მათი რიცხვი, თან თანხაც არ იყო დიდი. საერთოდ, ნებისმიერ საქმეს კარგი ორგანიზება სჭირდება და სტუდენტებს ეს კარგად გამოუვიდათ", — გვითხრა მან.

ქალბატონი სალომესთვის მსგავსი ტიპის საქველმოქმედო აქციის ჩატარება პირველი შემთხვევა იყო. ეს სპონტანურად მოხდა და სტუდენტებმაც ასევე სპონტანურად დაგეგმეს ყველაფერი. სწრაფად მოიფიქრეს, თუ რისგან უნდა გაეკეთებინათ საქველმოქმედო ყუთები და სად უნდა დაედგათ ისინი. იყო უამრავი იდეა, თუ როგორ შეაგროვებდნენ ფულს. ვისაც რა დროს ეცალა, იმ დროს მიდიოდა 308-ე აუდიტორიაში ყუთის ასაღებად, რათა ქუჩა-ქუჩა აეგროვებინა გიორგის გადარჩენის შანსი. დღის ბოლოს კი, სიხარულით იხსნებოდა ყუთები.

სტუდენტებმა მარკეტებიდან მუყაოს ყუთები მოაგროვეს და საქველმოქმედო ყუთები გააკეთეს, თსუ-ის სტუდენტი თამარ ნიკოლეიშვილი, რომელიც ამ პროცესში მონაწილეობდა, ამბობს: „გადავწყვიტეთ, რომ რამდენიმე სახის აქტივობა დაგვეგეგმა, მაგალითად, ნაწილი ქუჩებსა და სახლებსაც დაუყვა გიორგისთვის დახმარების სათხოვნელად, ნაწილი ბენზინგასამართ სადგურზე წავიდა. ყუთები დაიდგა უნივერსიტეტში. „ფეისბუკზეც" გავავრცელეთ ინფორმაცია. დროს ვანაწილებდით, ვისაც რა შეგეძლო, იმას ვაკეთებდით".

სტუდენტებს ქუჩაში ზოგი უნდობლად ხვდებოდა, ზოგი კი — პირიქით. იყო შემთხვევა, როცა ყუთში ფული მოწყალების მთხოვნელმა პატარა ბავშვებმაც ჩაყარეს. 308-ე ოთახი საღამოობით ივსებოდა ყუთებით და უფრო მეტი ემოციებით, რომელთაც სიარულზე მეტად გადაეღალათ სტუდენტები.

პირველ დღეს სტუდენტებმა 1 500 ლარი შეაგროვეს და მთელი კვირის განმავლობაშიც ყოველდღიურად დაახლოებით ეს თანხა გროვდებოდა. როგორც სალომე დუნდუა ამბობს, სულ 8 ათას ლარამდე შეგროვდა და მისი დიდი ნაწილი 20-თეთრიანებით შეიკრიბა. თამარ ნიკოლეიშვილმა გვითხრა, რომ სასიამოვნო პროცესი იყო ლარიანების, 50, 20-, 10- და 5-თეთრიანების დათვლა ბიბლიოთეკის მაგიდაზე.

სტუდენტებისთვის საკმაოდ ემოციური იყო გიორგის საავადმყოფოში მონახულება.

თამარ ნიკოლეიშვილი: „გიორგის ნახვამ საავადმყოფოში იმხელა ენერგიით დაგვმუხტა ყველა, რომ ასე მეგონა მთებს გადავდგამდით. ყველა ჩვენგანი ბედნიერი იყო, რომ რაღაცის გაკეთება შევძელით. გიორგის კვლავაც სჭირდება დახმარება, მაგრამ ეს მაინც მნიშვნელოვანი იყო მისთვის და ჩვენთვისაც."

როგორც საქველმოქმედო აქციის ერთ-ერთი მონაწილე მარიამ ცინცაძე ამბობს: „ძალიან ძნელი იყო იმის დანახვა, თუ როგორ იტანჯებოდა გიორგი და მისი ოჯახი. მათი ტკივილი საკუთრად აღიქვით და ასეთ ვითარებაში უბრალოდ შეუძლებელი იყო, რომ დახმარების ხელი არ გაგეწოდებინა. მნიშვნელობა აღარ ჰქონდა იმას, თუ როგორ ან რამდენით მოახერხებდი დახმარებას, მთავარი ის იყო, რომ ყველა იბრძოდა ბავშვის სიცოცხლის გადასარჩენად. იმ სიტუაციაში აღარ ვიყავით სტუდენტები, ჩვენ უბრალოდ ახალგაზრდები ვიყავით, რომლებსაც გვესმოდა, როგორი მწარეა სიცოცხლის დათმობა 11 წლის ასაკში".

სტუდენტებისა და სხვადასხვა კომპანიების დახმარებით, გიორგიმ გერმანიაში წასვლა შეძლო, თუმცა იქაც ვერ დაადგინეს მისი დაავადების დიაგნოზი, ერთადერთი, რაც გერმანიაში გაირკვა ისაა, რომ მის სხეული საერთოდ არ შეიცავს „" ვიტამინს. გიორგის გამოკვლევა უსახსრობის გამო შეწყდა და ახლა მას ისევ სჭირდება დახმარება.

ამ აქციის შემდეგ სტუდენტებმა გადაწყვიტეს მუდმივი სახე მიეცათ ქველმოქმედებისთვის და დაგეგმეს შეექმნათ არასამთავრობო ორგანიზაცია „სტუდენტები სიცოცხლისთვის". იურიდიულად მისი დამტკიცება ვერ მოხერხდა, მაგრამ მათ მაინც გააგრძელეს მსგავსი ტიპის აქციების ჩატარება.

სალომე დუნდუა: „ამ იდეის ფარგლებში სტუდენტებმა უნივერსიტეტში ყუთები დადგეს, მაგრამ სამწუხაროა, რომ ამ სემესტრიდან სტუდენტებს აღარ მისცეს უნივერსიტეტის შენობაში ყუთის დადგმის საშუალება. მიზეზი კი ისაა, რომ შეიძლება სხვებსაც მოუნდეს ყუთის დადგმა უნივერსიტეტში. გულდასაწყვეტია, რადგანაც ეს მხოლოდ სტუდენტების ნებით გაკეთებული კეთილი საქმეა".

სტუდენტური ჯგუფის „სტუდენტები სიცოცხლისთვის" ერთ-ერთმა წარმომადგენელმა თიკო მაღედანმა აღნიშნა, რომ ჯგუფი ისე აქტიურად ვეღარ ახერხებს ფუნქციონირებას, მაგრამ „სტუდენტები სიცოცხლისთვის" აგრძელებენ სიცოცხლისთვის ბრძოლას.

ანო მაჭავარიანი,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი

საგნების არჩევა გაადვილდა

თსუ-ში 2015 წლის გაზაფხულის სემესტრი უკვე დაიწყო და ბაზების თემამაც აქტუალობა დაიბრუნა. ამას მაშინვე მიხვდებით, თუკი „ფეისბუკის" სიახლეების ზოლს თვალს გადაავლებდით. ერთი სტუდენტი წერდა: „sms.tsu.ge not found! რა რეაქცია უნდა მქონდეს ახლა?!" მეორეს სტატუსი ეხებოდა იმას, რომ თვითონ საგანს ვერ ირჩევდა და შორიდან აკვირდებოდა, თუ როგორ ივსებოდა ადგილები ამ საგანზე, მესამე კი კმაყოფილი იყო იმით, რომ ამ სემესტრში პრობლემების გარეშე აირჩია ყველა სასურველი საგანი. ჩვენ მიერ გამოკითხულმა სტუდენტებმა უპასუხეს შეკითხვას, თუ როგორ აირჩიეს სემესტრის დასაწყისში საგნები.

ანუკი გურდული,
ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების სტუდენტი:

— უჩვეულოდ კარგად ჩაიარა საგნების არჩევამ. ჩემს შემთხვევაში ცხრილებიც დალაგებული იყო და დროულად შევძელი არჩევა. ბაზები გამართულად მუშაობდა და პრობლემა არ შემქმნია.

ანა კაკალაშვილი,
იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი:

— ყველაფერმა უმტკივნეულოდ ჩაიარა, რადგან სავალდებულო საგნები აღარ მქონდა ასარჩევი. ერთი საგანი იყო, რაზეც პირველ დღესვე შეივსო ადგილები, მაგრამ მეორე დღეს გამოასწორეს შეცდომა და შევძელი ამ საგნის არჩევა.

ლევან ლეკიშვილი,
ზუსტ და საბუნებისმეტყველო კომპიუტერული მეცნიერების სტუდენტი:

— ყველაფერმა კარგად ჩაიარა. წინასწარი რეგისტრაცია მქონდა გავლილი და, შესაბამისად, პრობლემა არ შემქმნია.

გვანცა გაზდელიანი,
ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების სტუდენტი.

— წელსაც, ტრადიციულად, ადმინისტრაციასთან მომიწია რიგში დგომა, რადგან დამოუკიდებლად მხოლოდ ორი საგნის არჩევა შევძელი, მიუხედავად იმისა, რომ ბაზა წამების გახსნილი იყო. ახლა საგნები ჩამისვეს, ანუ კრედიტები არ დამიკარგავს, მაგრამ რა საგნების გავლაც მინდოდა, ისინი ვერ ავიღე.

მარიკა ტყეშელაშვილი,
ქართული ფილოლოგიის მიმართულების სტუდენტი:

— ისეთი საგნები ავირჩიე, რაც არ არის მოთხოვნადი და, შესაბამისად, დიდი ბრძოლაც არ დამჭირვებია, მაგრამ დეკანატში მაინც იდგა რიგები.

თამარ ლორთქიფანიძე,
საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების სტუდენტი:

— არ ვარ კმაყოფილი. ბაზამ 2-ჯერ თუ 3-ჯერ არ შემიშვა, ჩემი სემესტრის საგანზე მიწერდა — თქვენი სპეციალობისთვის საგანი გახსნილი არ არისო, პლუს ჰუმანიტარების საგნებზე მომიწია სირბილი, მაგრამ ეგ უკვე ძველი სიმღერაა.



ნინო მოდებაძე,
განათლების და ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი:

— ბაზა არ მიჭედავდა და არ მაგდებდა, რაც ძალიან კარგია, მაგრამ საგნების არჩევამ მაინც ცუდად ჩაიარა. მხოლოდ სამი საგნის არჩევა მოვასწარი და მერე დაიწყო დეკანატში სირბილი და ტირილი საგნების გამო.

მარიამ გინწაძე,
ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტი:

— წელს ნორმალურად ჩაიარა ყველაფერმა, ექვსი საგნიდან ოთხი ისეთი მაქვს, რაც მინდოდა. კმაყოფილი ვარ.

მარიამ ცინცაძე,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი

პლაგიატთან ბრძოლა გრძელდება

მოსაზრებები აკადემიური ეთიკის დარღვევის ფაქტების გამოვლენის შემდგომი რეგულაციების თაობაზე

2014 წლის 19 მაისს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცა (დადგენილება № 46/2014) დებულება „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური ეთიკისა და სამსახურებრივი საქმიანობის ფარგლებში სამეცნიერო-საგანმანათლებლო ფუნქციის განმახორციელებელი პერსონალის სამსახურებრივი პასუხისმგებლობის შესახებ“.

დებულების მიზანია, ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში სამეცნიერო და აკადემიური საქმიანობისა და შინაგანი პასუხისმგებლობის დონის, ასევე, საუნივერსიტეტო საზოგადოებაში უნივერსიტეტის პრესტიჟის ამაღლებას, საერთაშორისო სამეცნიერო სტანდარტების დანერგვისთვის ქცევის ნორმების რეგულირებასა და პასუხისმგებლობის ფორმების დამკვიდრებას.

მაია ტორაძე

დებულებაში გაწერილია ეთიკის დარღვევის სახეობები. კერძოდ: 1. პლაგიატი, რაც გულისხმობს სხვის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომის ან მისი ნაწილის (ან გამოუქვეყნებელი ნაშრომის (ან მისი ნაწილის), რომელზეც მტკიცდება ავტორობა, თეორიების, ცნებების, მონაცემთა წყარო მასალების, სახელმძღვანელოების, მეთოდოლოგიების ან დასკვნების, გრაფიკების, გამოსახულებების და სხვა), როგორც საკუთარის წარმოდგენა და გამოყენება, ავტორის შესაბამისი მითითებისა და საჭიროების შემთხვევაში, ნებართვის გარეშე; 2. კომპილაცია, რაც გულისხმობს საავტორო უფლებით დაცული სხვის მიერ მიღებული კვლევითი შედეგებისა და ნაშრომების გამოყენებას, წყაროების საკუთარი დამუშავების და ინტერპრეტაციის გარეშე ნაშრომის შექმნას; 3. ფაბრიკაცია/ფალსიფიკაცია, რაც გულისხმობს ნაშრომში მონაცემების ცვლილებას, მონაცემებით მანიპულირებას, მიღებული შედეგების შერჩევითად გამოყენებას წყაროების, შედეგების ან მეთოდოლოგიის (გრაფიკებისა და გამოსახულებების ჩათვლით) შესაბამისი აღნიშვნის გარეშე — რაც იწვევს შედეგებისა და დასკვნების არასწორ ინტერპრეტაციას; 4. სამეცნიერო შედეგების განადგურება, რაც გულისხმობს საკუთარი ან სხვის მიერ მიღებული მონაცემების ან ჩანაწერების განადგურებას დამფინანსებლის ხელშეკრულების, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების, შიგა რეგულაციების და პროფესიულ ან დისციპლინური სტანდარტებს დარღვევის გამოვლინების თავიდან ასაცილებლად.

დებულების საფუძველზე შეიქმნა მუდმივმოქმედი კომისია, რომელიც აღნიშნულ დარღვევებს შეისწავლის. კომისიამ, შექმნის დღიდან შემოსული განცხადებების საფუძველზე, უკვე მოასწრო რამდენიმე საქმის განხილვა, მათგან ზოგიერთ შემთხვევაში პლაგიატი არ დადასტურდა, ერთ შემთხვევაში კი თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორს, პლაგიატის დადასტურების გამო, შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება („უნივერსიტეტის პროფესორის ნინო კიღურაძის მიერ აკადემიური ეთიკის დარღვევის შესახებ შემოსულ განცხადებასთან დაკავშირებით ჩატარებული წარმოების შედეგების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღების შესახებ“ დადგენილება №9/2015; 22 იანვარი, 2015).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შეიძლება ითქვას, პირველია საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებს შორის, რომელმაც დებულების და მოთხოვნის დონეზე დაიწყო პლაგიატთან და სხვა ტიპის აკადემიურ დარღვევებთან ბრძოლა. უნივერსიტეტის სამეცნიერო საზოგადოება მხარს უჭერს დარღვევებთან ბრძოლის ამგვარ ფორმას, თუმცა, არსებობს სხვადასხვა მოსაზრება ეთიკის დარღვევის ფაქტების გამოვლენის შემდგომი რეგულაციების შესახებ.

ნანული დორეული, ***თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის მიმართულების პროფესორი, აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისიის წევრი:***

— სადღაც წავიკითხე და სრულიად ვეთანხმები, რომ ჯანსაღი და სტაბილური საზოგადოებისთვის მორალური ფასეულობანი და ეთიკური ნორმები ისევე აუცილებელია, როგორც ჟანგბადი, ამაზეა დაფუძნებული პიროვნებასა და საზოგადოებას შორის ჰარმონია და ერთიანობა. ცუდია, როცა ეთიკურ დარღვევებს ადგილი აქვს უნივერსიტეტის შიგნით, მაგრამ შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ასეთი რამე საერთოდ არ ხდება. ამდენად, კონტროლი აუცილებელია. ეს ეხება როგორც პროფესურას, ასევე სტუდენტებსაც. არის შემთხვევები, როცა რაიმე თემის მომზადებისას ინტერნეტ სივრციდან ინფორმაციის გადმოწერა ვებ-გვერდის ან ავტორების მითითების გარეშე ხდება, ეს დაუშვებელია. მით უმეტეს, დაუშვებელია პლაგიატი სამაგისტრო ან სადოქტორო ნაშრომებში, სხვადასხვა პროექტების კეთებისას. ვეთანხმები, რომ ასეთი საქციელი დასჯადი უნდა იყოს. პირადად მე მქონდა ერთი ასეთი შემთხვევა, როდესაც აღმოვაჩინე, რომ წარმოდგენილი სამაგისტრო თემის ძირითადი ნაწილი წლების წინ გამოქვეყნებული სადოქტორო თემის ზუსტი ასლი იყო. დაცვა გადაიდო, ამაზე გაფრთხილება მიიღო პირველ რიგში ნაშრომის ხელმძღვანელმა და, რა თქმა უნდა, სტუდენტმაც. მათ მიეცათ დრო აღნიშნული დარღვევის გამოსასწორებლად.

არ ვიცი კონკრეტულად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რა საფუძველი არსებობდა ამგვარი კომისიის შექმნისა, მაგრამ თუკი „ნორმა“ არსებობს, ყოველთვის იქნება მისი „დარღვევის“ მცდელობა, რასაც განხილვა და შესწავლა სჭირდება, რათა შემდგომში ამგვარი საქციელის ჩადენის პრევენცია მოხდეს. ყველაზე რთული საკითხი ალბათ კომისიის წევრების შერჩევაა. მეც ვარ ასეთი კომისიის წევრი და მიმაჩნია, რომ ეს ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა, რადგან თუ დარღვევა არ გამოვლინდა, პროცესი სიმსივნის მეტასტაზების გავრცობის მსგავსად გამრავლდება და მასშტაბური გახდება.

ზვიად აბაშიძე, ***თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერებათა მიმართულების ასისტენტ-პროფესორი, აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისიის წევრი:***

— ზოგადად ვეთანხმები პლაგიატის წინააღმდეგ წამოწყებულ ინიციატივას, მაგრამ, იმის გამო, რომ წარსულში პროფესორთა დიდი ნაწილი მიმართავდა ასეთ პრაქტიკას (მიზეზები ბევრი იყო საამისოდ), გამოდის, რომ პროფესორთა უდიდესი ნაწილი უნდა გავათავისუფლოთ სამსახურიდან, რაც საკმაოდ დიდი პრობლემის წინაშე დააყენებს უნივერსიტეტს. ამავე დროს, ეჭვი მაქვს, რომ პლაგიატის წინააღმდეგ ბრძოლა გარკვეული ანგარიშსწორების მიზნითაც გამოიყენება. ასეთ ვითარებაში (სხვა ვითარებაში ალბათ სხვაგვარად მოვიქცეოდით), სჯობს, რომ რაიმე დათქმა არსებობდეს. ვთქვათ, გარკვეულ დრომდე არ მიექცეს ყურადღება პლაგიატს (პირობითად 2010 წლამდე არსებული ნაშრომები), მაგრამ პლაგიატში მხილებული ნაშრომები ამოვიღოთ სასწავლო ლიტერატურიდან და კონკურსების ჩატარების პერიოდში არ ჩავთვალოთ გამოქვეყნებულ ნაშრომთა ჩამონათვალში. დათქმის თარიღის შემდგომი პერიოდიდან კი, რა თქმა უნდა, მკაცრად უნდა აიკრძალოს ასეთი ნაშრომების წერა და გამოქვეყნება.

მორის შალიკაშვილი, ***თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის მიმართულების ასოცირებული პროფესორი, აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისიის წევრი:***

— რექტორის ბრძანებით ორჯერ გახლდით უნივერსიტეტის აკადემიური, სამეცნიერო და მასწავლებელთა პერსონალის მიერ დისციპლინისა და ეთიკის ნორმების დარღვევის შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარე. ჩვენმა კომისიებმა, რაც ყველაზე მეტად არის მისასალმებელი, საკმაოდ დიდი მუშაობის შედეგად შეძლო, რომ კონფლიქტი მშვიდობიანად გადაჭრილიყო და არ გასულიყო უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ. რა თქმა უნდა, კარგია, როდესაც უნივერსიტეტი აფიქსირებს პოზიციას პროფესორ-მასწავლებლების არააკადემიურ ქცევაზე და ამით ცდილობს, თავად მოაგვაროს კონფლიქტი.

ზოგადად შიდა საუნივერსიტეტო კომისიების შექმნა აუცილებელია კონფლიქტი მოგვარებისთვის, რათა არ მიიღოს მან ფართო ხასიათი და არ გავიდეს საუნივერსიტეტო სივრციდან (მაგ. სასამართლო, პროკურატურა). უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს შორის არსებული ნებისმიერი კონფლიქტის უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ გატანა უარყოფითად აისახება თსუ-ის იმიჯზე, რაც არ არის სასურველი. ამიტომ, მიმაჩნია, რომ ასეთი კომისიების მუშაობა მიმართული უნდა იყოს კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებისკენ და არა ვინმეს დასჯისკენ. დასჯა ყოველთვის აღძრავს უარყოფით დამოკიდებულებას დამსჯელი ინსტიტუტის მიმართ. უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლის დისციპლინური წესით დასჯამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს სასწავლო პროცესზეც და, პირველ რიგში, სტუდენტები დააზარალოს. თსუ-ში ასეთი კომისიების შექმნა, თავისთავად არის პრევენციული ხასიათის მატარებელი, რადგან არავის სურს, რომ მისი ქცევა (თუნდაც) საუნივერსიტეტო კომისიის განხილვის საგანი გახდეს.

მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, უნივერსიტეტის პროფესურა მთავარ საკითხზე თანხმდება – აკადემიური ეთიკის დარღვევის არც ერთი ფაქტი არ უნდა დარჩეს შეუმჩნეველი, თუმცა რა რეაგირება მოჰყვება ამგვარი ფაქტების გამოვლენას, ეს უკვე მუდმივმოქმედი კომისიის საქმეა.

ინგლისელი მეცნიერი, რომელიც საქართველოში მოღვაწეობდა

შურთხია გეროშვილი

თსუ-ში დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს დიდგვაროვანი ინგლისელი არისტოკრატის ლორდ სტივენ ჰენრი ლოიდისა და მისი მეუღლის, საქართველოს სამეფო ოჯახის წარმომადგენლის ქეთი ერეკლეს ასული ბაგრატიონის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა, რომელსაც უნივერსიტეტის პროფესორ მასწავლებლები, მათი მეგობრები და კოლეგები დაესწრნენ.

„საქართველოსა და ქართული ლიტერატურისადმი უანგარო სიყვარული და განსაკუთრებული ზრუნვა სათავეს ჯერ კიდევ 1800-იანი წლებიდან იღებს. უორდროპების შემდეგ არაერთი ინგლისელი მეცნიერი დაინტერესდა საქართველოთი, მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია გასული საუკუნის 60-იან წლებში მოწვეული ახალგაზრდა ენათმეცნიერი, პროფესორი, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს დიდგვაროვანი არისტოკრატი — ლორდი სტივენ ჰენრი ლოიდი, რომელსაც მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს წინაშე“, — ასე აფასებს აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე ინგლისელი მეცნიერის საქართველოში მოღვაწეობას.

ლორდი სტივენ ჰენრი ლოიდი გასული საუკუნის 60-იან წლებში საბჭოთა რუსეთში მოღვაწეობდა, სადაც მიხეილ ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდა ინგლისურ ენასა და ლიტერატურაში. პირველად, სწორედ საბჭოთა რუსეთიდან დაიწყო მისი სასიყვარულო რომანი, სადაც იგი სრულიად შემთხვევით შეხვდა საქართველოს ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის წარმომადგენელს - ქეთი ერეკლეს ასულ ბაგრატიონს და მასთან ოჯახის შექმნა გადაწყვიტა.

ინგლისელი არისტოკრატი საქართველოში დასახლდა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწეობდა. იგი ინგლისური ენის ლექცია-სემინარებს უკითხავდა ქართველ პროფესორ-მასწავლებლებს და საკმაოდ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენის განვითარების პროცესში. მას ძალიან ახლო მეგობრული ურთიერთობები ჰქონდა ქართველ პროფესორ-მასწავლებლებთან, მათ შორის, ნიკო ყიასაშვილთან, თინა თუშმალიშვილთან, კოტე ჩოლოყაშვილთან, ელენე ახვლედიანთან, არიანე ჭანტურიასთან და სხვებთან.

საბჭოთა კომუნისტური წყობილების მკაცრ პირობებში მაშინდელი ეგრეთ წოდებული „კგბ“-ს აგენტები სასტიკად ექცეოდნენ ბრიტანულ-ქართულ ოჯახს, დევნიდნენ, მაშინდელი მილიციის განყოფილებებში იბარებდნენ, ავიწროებდნენ, სამწუხაროდ, დიდგვაროვანი ინგლისელის ლორდ სტივენ ჰენრი ლოიდის მოღვაწეობა საქართველოში დიდ ხანს ვერ გაგრძელდა და იგი სავარაუდოდ, ხელოვნურად შექმნილ ავტოკატასტროფის შედეგად გარდაიცვალა.

ინგლისელი ლორდის საქართველოში მოღვაწეობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო თსუ-ის რექტორის მრჩეველმა ირაკლი მურცხვალაძემ გახსნა, რომელმაც სამეფო ოჯახის წევრები გაიხსენა და მათი შვილის, სტივენ ლორდ ლოიდის დამსახურებაზეც ისაუბრა, რომელიც გახლავთ მსოფლიოში პირველი ქართულ-იაპონური ლექსიკონის ავტორი და შემდგენელი.

„XX საუკუნის 60-იან წლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს დიდგვაროვანი ინგლისელი არისტოკრატი, პროფესორი, დოქტორი – ლორდ სტივენ ჰენრი ლოიდი შტატგარეშე მოღვაწეობდა და ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ინგლისური ენის კათედრაზე ქართველ პროფესორ-მასწავლებლებს ლექცია-სემინარებს უკითხავდა. ეს იყო პირველი დიდგვაროვანი ინგლისელი ჩვენს უნივერსიტეტში, რომელმაც საკმაოდ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინგლისური ენის სწავლების გაძლიერების პროცესში.

დღეს მამის დაწყებულ საქმეს სტივენ ლორდ ლოიდი აგრძელებს. იგი უზომოდ შეყვარებულია საქართველოზე და უფასოდ კითხულობს ლექციებს საქართველოს პირველ ქართულ უნივერსიტეტში. იგი უდიდეს სიყვარულსა და განსაკუთრებულ პატივისცემას გამოხატავს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა თანამშრომლის მიმართ.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი კიდევ ერთხელ მიაგებს პატივს ორ უდიდეს პიროვნებას, მათი ღვაწლი დაუვიწყარი დარჩება როგორც უნივერსიტეტის, ასევე საქართველოს წინაშე“, — აღნიშნა ირაკლი მურცხვანაძემ.

პროფესიული რაკურსით

კატასტროფების შემსწავლელი მეცნიერების დღევანდელობა და პერსპექტივა

ის ფაქტი, რომ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს ჩვენში ბოლო ათწლეულების განმავლობაში ნაკლებად წყალობენ, ახალგაზრდები კი მათ არაპერსპექტიულ პროფესიებად მიიჩნევენ, კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ზერელედ ვიცნობთ თანამედროვე სამყაროს მთავარ გამოწვევებს და მოთხოვნებს. მხოლოდ თანამედროვე ცივილიზაციის სიკეთეთა გამომყენებელ საზოგადოებად დავრჩებით თუ შევძლებთ სრულფასოვან და თვითკმარ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას, რომელსაც შეუძლია წვლილი შეიტანოს სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესში? – ამ კითხვებზე პასუხი ჩვენმა ქვეყანამ სასწრაფოდ უნდა გასცეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა წამოწყება, რომელსაც XX საუკუნის ქართველმა მეცნიერებმა ჩაუყარეს საფუძველი და რომელზეც საკმაოდ სერიოზული სამეცნიერო სკოლები აღმოცენდნენ, ფუჭად განეული შრომა და ღვაწლი აღმოჩნდება.

გეოფიზიკის ინსტიტუტი, რომელიც თავის დროზე ერთ-ერთი წამყვანი სამეცნიერო დანესებულება იყო, ჯერ კიდევ ალექსიძის ქუჩაზე მდებარეობს, სადაც ბოლო წლებში წარმოუდგენელი სისწრაფით და სრულიად ქაოსურად მრავლებიდან მაღალ სართულიანი სახლები. ერთადერთი მიზეზი, რის გამოც ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე გადაცემული ინსტიტუტის შენობა აქამდე გაყიდვას გადაურჩა, მასში საცხოვრებლად შეჭრილი მოსახლეობაა — აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომიდან მოყოლებული დღემდე მეცნიერები შენობაში ხიზნებთან ერთად არიან და ინსტიტუტისა და გეოფიზიკის შესანარჩუნებლად წარმოუდგენელ პირობებში საქმიანობენ. მათ კვლავაც ვერ მიაღწიეს სახელმწიფოს მხრიდან მატერიალურ და მორალურ-სამართლებრივ მხარდაჭერას და მხოლოდ საერთაშორისო გრანტებითა და საქმისადმი ერთგულებით შეინარჩუნეს ინსტიტუტი, რომელიც ამჟამად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაქვემდებარებაშია.

ინსტიტუტის წინაშე გაწეული განსაკუთრებული დამსახურებისთვის, ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო საქმიანობისთვის მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის ყოფილი დირექტორი და ამჟამად ამავე ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი **თამაზ ჭილაძე** *2015 წლის იანვარში ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლით დაჯილდოვდა. მიუხედავად სოლიდური ასაკისა, მეცნიერი დღემდე ხელმძღვანელობს რამდენიმე სტრატეგიულ კვლევას და იმედს არ კარგავს, რომ გეოფიზიკის მნიშვნელობასა და აუცილებლობას ხელისუფლებაც დაინახავს და ხალხიც.*

* * *

— საქართველო ძალიან მოწყვლადია ბუნებრივი კატასტროფების მიმართ – სეისმური კატასტროფები იქნება ეს, მეწყერები თუ წყალდიდობები, ასევე, გვემუქრება გლობალური დათბობის საშიშროება. კარგია, რომ ბოლო დროს ამ პრობლემებს ცოტა მეტი ყურადღება ექცევა. ჩვენ არა მარტო თეორიულად, რაოდენობრივი ფიზიკური მეთოდებით ვსწავლობთ დედამიწის გარსსა და ახლო კოსმოსურ სივრცეს, ანუ იმ გარემოს, რომელშიც არსებობს კაცობრიობა, არამედ, ვცდილობთ ადრეული შეტყობინების სისტემების დამუშავებას მეწყერებთან და მიწისძვრებთან დაკავშირებით. მართალია, მეწყერებთან დაკავშირებით ადრეული შეტყობინების სისტემები უცხოეთშიც არსებობს, მაგრამ ძალიან ძვირად ღირებულია. ჩვენ ვცდილობთ, უფრო ხელმისაწვდომი და იაფი გავხადოთ ეს ყველაფერი, ვინაიდან საქართველოში მეწყრის ცენტრი ათი ათასობითაა და ამიტომ ბევრი ასეთი სისტემაა საჭირო.

რაც შეეხება სეისმურ საფრთხეებს, ისინი ბოლო წლებში არ შეცვლილან, თუმცა, როგორც წესი, ყოველ 10 წელიწადში ახალი სეისმური რუკა დგება, ვინაიდან მეცნიერება წინ მიდის, ამიტომ ხანდახან ახალი ტექტონიკური რღვევა გამოჩნდება, რომლის გასწვრივაც მიწისძვრის გაჩენის საფრთხე არსებობს. ზოგადად კი, ჩვენთან მიწისძვრები ხშირია, ვინაიდან გეოლოგიურად შედარებით აქტიურ ზოლში ვართ.

— რამდენად შესაძლებელია დღეისთვის მიწისძვრებისა და სხვა კატასტროფების ზუსტი პროგნოზირება?

— ეს ისეთი საკითხია, რომელიც დღემდე არ გადაუწყვეტია არც ამერიკას, არც იაპონიას. პროგნოზის ნაწილია სეისმური საფრთხეების რუკა, რადგან მიწისძვრები ძირითადად ტექტონიკურ რღვევებთან არის დაკავშირებული და თუ ვიცით რღვევა, მისი სიგრძე, ჩვენ შეიძლება დავაპროგნოზოთ, სად და რა სიმძლავრის მიწისძვრა შეიძლება მოხდეს: თუ დიდია რღვევა, მიწისძვრაც ძლიერი იქნება, ანუ ადგილმდებარეობის და სიძლიერის პროგნოზირება შესაძლებელია. გარკვეულწილად, სიხშირისა და მიწისძვრის განმეორებადობის პროგნოზიც შესაძლებელია. ჩვენს რეგიონში განმეორებადობა დიდი არ არის: რამდენიმე ასეულიდან ათას წლამდეა პერიოდულობა. სადაც რაჭის მიწისძვრა მოხდა, იმ ადგილებში მანამდე 2000 წლის მანძილზე არ ყოფილა ასეთი სიმძლავრის მიწისძვრა. თუმცა, იმის თქმა, რომ რადგან მოხდა, სწრაფად აღარ განმეორდება, არასწორია. სომხეთში, სპიტაკის მიწისძვრის შემდეგ, ბევრი ფიქრობდა, რომ განიმუხტა ეს დაძაბულობა და რეგიონში აღარ განმეორდებოდა მსგავსი სიმძლავრის მიწისძვრა, მაგრამ სამ წელიწადში რაჭის მიწისძვრა მოხდა, რომელიც სპიტაკის მიწისძვრაზე ძლიერი იყო. ასე რომ, ზუსტი დრო არ ვიცით, თუმცა, სადღაც 1000 წელიწადში ერთხელ მოხდება 7 ბალანი მიწისძვრა, მაგრამ ეს 1000 წელი როდის დადგება, რთული სათქმელია. იყო ადრე რაღაც იმედები იმასთან დაკავშირებით, რომ მიწისძვრის ზუსტი პროგნოზის გაკეთება შესაძლებელია: თავის დროზე ჩინელებმა მოახერხეს ერთი პროგნოზის გაკეთება, თუმცა, ჯერჯერობით ეს მიმართულება ჯერ კიდევ შესწავლის პროცესშია. სხვათა შორის, ჩვენთანაც არის ქსელი, რომელიც განკუთვნილია მიწისძვრის პროგნოზისთვის და ახლაც მუშაობს. მადლობა უნდა ვუთხრათ გია მელიქაძეს, ვინც უვლიდა ამ ქსელს და იმ უფულობის დროსაც შეძლო შეინახა: ეს არის 11 ღრმა ჭაბურღილი, სადაც წყლის დონის მზომებია დაყენებული. დღეს უკვე ავტომატიზირებულია ინფორმაციის მოწოდება ამ ჭაბურღილებიდან: როდესაც ტექტონიკური დაძაბულობისას იკუმშება სივრცე, ფორები, რომელიც გაჟღენთილია წყლით, გამოდევნის ამ წყალს და წყლის დონე ჭაბურღილებში მატულობს, განკუმშვის დროს კი პირიქით, წყლის დონე ქვევით ჩამოდის. შესაბამისად, თუ მკვეთრად იცვლება წყლის დონე, ამას შეიძლება მოყვეს მიწისძვრა, მაგრამ ეს მეთოდი ასპროცენტიანი არ არის და ჯერ კიდევ კვლევის პროცესშია.

— ინსტიტუტში ასევე იკვლევთ ტექნოგენური კატასტროფების შესაძლებლობებს და პარალელურად, აკვირდებით ენგურჰესის მდგომარეობასაც. რა მდგომარეობაა დღეს კაშხალზე?

— ენგურჰესი საერთაშორისო პოლიგონად ითვლება. ევროსაბჭოსთან არსებობს დიდი კატასტროფების რისკის შემამცირებელი შეთანხმება, რომელშიც საქართველოც არის მიერთებული. ამ შეთანხმების მიზანია წევრ ქვეყნებს შორის გააძლიეროს და ხელი შეუწყოს დიდი ბუნებრივი და ტექნოლოგიური კატასტროფების შემთხვევაში ზომების მიღებას, რისკებისგან თავდაცვასა და უკეთ მომზადებას.

ინსტიტუტში გვაქვს კაშხლების გეოდინამიკური რისკის ცენტრი; ადგილზე მიმდინარეობს დაკვირვება კაშხლის ფუნდამენტზე, მის დეფორმაციაზე. დაკვირვებების წარმოების თანამედროვე დონე გვაქვს: ინფორმაცია დიაგნოსტიკურ ცენტრში ტელემეტრულად, ინტერნეტით რეალურ დროში და გამუდმებით გადმოიცემა დაკვირვების ადგილიდან, ასე რომ, კაშხლის პულსზე გვიდევს ხელი. მცირე თანხა იყო ამ ცენტრის დასაფინანსებლად გამოყოფილი, მაგრამ მაინც შევძელით და მოვუარეთ სისტემას. საერთოდ, დიდი კაშხლები დიდი საფრთხის წყაროა, ამიტომ აუცილებელია სისტემატური დაკვირვებები.

ამჟამად კაშხალი მუშაობს ნორმალურად, საშიშროება არ არის, მაგრამ თავიდან არის გადასათვლელი და დასადგენი კრიტიკული მნიშვნელობები. ჩვენმა ექსპერიმენტებმა და აპარატურამაც აჩვენა, რომ გადახრა თითქოს დიდია, თუმცა კაშხალი ნორმალურად მუშაობს და არც ბზარებია. ჩემი აზრით, თავის დროზე კრიტიკული მნიშვნელობების დათვლა საკმარისი სიზუსტით ვერ მოხერხდა, რადგან დაახლოებით 40 წლის წინ, როდესაც კაშხალი აშენდა, არ იყო ასეთი პროგრამები და ამ სიმძლავრის კომპიუტერები.

— რა შეგიძლიათ თქვათ ახალ ჰიდროპროექტებთან დაკავშირებით, რამდენად არის გათვლილი მათი უსაფრთხოება?

— ხუდონჰესთან დაკავშირებით, პირველ რიგში, სეისმური საშიშროება არის ხელახლა დასათვლელი. მარტო სეისმური საშიშროების რუკების მიხედვით ამ საფრთხეების დადგენა არასწორია, რადგან უნდა მოხდეს გრუნტების, ე.წ. ადგილის ეფექტის შესწავლა. თუ გრუნტი სუსტია, იქ შეიძლება ერთი ბალით აიწიოს მიწისძვრის საშიშროებამ. ამიტომ, ყველა ახალ მოედანზე თავიდან არის საჭირო კვლევები. სამწუხაროდ, ვფიქრობ, რომ ჩინელები არ იცავენ ამ წესებს და არ ატარებენ მიკროსეისმურ კვლევებს. იგივე ამბავია თბილისშიც: ახლა თბილისის გენერალური გეგმის შედგენაზე მუშაობენ, ასეთ დროს უნდა იცოდე, სად როგორი შენობა შეიძლება აშენდეს, ამისთვის კი აუცილებელია გრუნტის თვისებების კვლევა და მისი შედარება სეისმური საშიშროებების ზოგად რუკასთან, რომელიც გაკეთებულია საშუალო გრუნტისთვის. საბჭოთა კავშირის დროსაც იყო ე.წ. „სნიპები", ნორმები – ერთსართულიან სახლს თუ აშენებთ, არა უშავს, მაგრამ ყველა დიდ ობიექტზე გეოლოგიური ან გეოფიზიკური კვლევაა ჩასატარებელი. გეოფიზიკა გაცილებით იაფია, სწრაფი და მთელ მოცულობას იკვლევს, თუმცა, კანონი არ მოითხოვს დღეს ამ ტიპის კვლევებს ობიექტის მშენებლობისას და ამიტომ არც აკეთებენ.

— მიუხედავად მრავალი სირთულისა, დღემდე მოხერხდა ამ უნიკალური ინსტიტუტის და მეცნიერების ამ დარგის შენარჩუნება, რომლის ისტორიაც საქართველოში ჯერ კიდევ მე-19 საუკუნიდან იღებს სათავეს..

— გეოფიზიკური ისტორია გაცილებით ადრე იწყება, რადგან ჯერ კიდევ „ქართლის ცხოვრება" შეიცავს მონაცემებს მიწისძვრების შესახებ. ეს აღწერები ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან მიწისძვრები იშვიათად ხდება და ეს ადრეული მონაცემი სწორედ იმაზე მიუთითებს, თუ რომელი ზონაა აქტიური. ინსტრუმენტული შესწავლის პერიოდი ამ მიმართულებით ბოლო 100 წელია რაც დაიწყო. პირველი სეისმური სადგური 1899 წელს დაიდგა. თავდაპირველად კი, 1844 წელს გაკეთდა მაგნიტურ-მეტეოროლოგიური ობსერვატორია, რომელიც ამჟამად დუშეთში მდებარეობს და ჩვენი ინსტიტუტის შემადგენლობაშია. დუშეთის მაგალითზე შეიძლება ვთქვათ, თუ როგორ ვახერხებდით არსებობას და კვლევებს. იქაც მოძველდა და მწყობრიდან გამოვიდა ხელსაწყოები, მაგრამ მაინც მოვახერხეთ რაღაც: თავდაპირველად ინგლისელებმა გვთხოვეს მაგნიტური მონაცემები და მივაწოდეთ, სანაცვლოდ ცოტა მოძველებული და კარგად მომუშავე აპარატურა ვითხოვეთ და მათაც გამოგვიგზავნეს. იმ აპარატურით ვმუშაობდით რამდენიმე წელი, ისე რომ, წყვეტა არ გვქონია და დაკვირვებებს მუდმივად ვაწარმოებდით. შემდეგ ჩვენით დაინტერესდა იაპონიაში მდებარე გეომაგნეტიზმის მსოფლიო ცენტრი. გეომაგნიტური დაკვირვებებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ხანგრძლივობა და უწყვეტობა, მთელს რეგიონში კი ჩვენი ცენტრი ყველაზე ძველია, სადაც მე-19 საუკუნიდან წარმოებს დაკვირვებები. დახმარების სახით იაპონელებმა სრულიად ახალი ციფრული აპარატურა შემოგვთავაზეს, ასე რომ, დუშეთში საკმაოდ მაღალ დონეზე გაგრძელდა უწყვეტი დაკვირვება. ასევე, მიღებული გვაქვს ნატო-ს გრანტები, რომლებიც კვლევებსა და აპარატურას მოვახმარეთ. ინსტიტუტის ბაზაზე დაახლოებით 500 ათასი დოლარის უახლესი აპარატურა გვაქვს. სამწუხაროდ, გვიჭირს, რომ ახალგაზრდა კადრებმა, აითვისონ ეს აპარატურა და კვლევის მეთოდები, ვინაიდან ინსტიტუტს არ აქვს საშუალება, მათი უცხოეთში სასწავლო მივლინებით გაშვების. რაც შეეხება ახალგაზრდების დაინტერესებას გეოფიზიკით, მოგეხსენებათ, რომ ახლა ძირითადად ეკონომიკას, იურისპრუდენციასა და მენეჯმენტს ირჩევენ, ამიტომ, ფიზიკოსებში, მათემატიკოსებში და ჩვენთანაც ნაკლებია ახალგაზრდა კადრები. არც მთავრობა გვალაღებს მაინცა და მაინც, თუ გრანტს არ მიიღებ, ფაქტობრივად ანაზღაურება არაფერია, ამიტომ ამ მიმართულებებში დიდ პერსპექტივას ახალგაზრდები ვერ ხედავენ.

საერთოდ, მეცნიერებამ და ინსტიტუტებმა ბოლო 20 წელიწადში საკმაოდ რთული გზა გავიარეთ: განუწყვეტელი რეორგანიზაციების შედეგად ხან სად აღმოვჩნდით და ხან სად. ამ პირობებში კვლევებიც გაძნელებული იყო: ჯერ ვიყავით მეცნიერებათა აკადემიის დაქვემდებარებაში, სხვათა შორის არ იყო ცუდი, მერე შეგვიყვანეს განათლების სამინისტროში, იქაც არა უშავდა, რადგან ვიყავით საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით და გარკვეული დამოუკიდებლობა გვქონდა. ამის შემდეგ შეგვიყვანეს უნივერსიტეტების სისტემაში. უნდა ვყოფილიყავით დამოუკიდებელი ერთეული, მაგრამ ეს დამოუკიდებლობა წინა ხელისუფლების პირობებში ისე გააქრეს, ბეჭედიც კი არ გვაქვს, ყველაფერზე უნივერსიტეტში დავრბივართ, ყველა წვრილმანზე უამრავი ხელმოწერაა საჭირო, მოკლედ, ძალიან დამაბრკოლებელი სისტემაა. თითქმის არ არის კავშირი ჩვენსა და უნივერსიტეტს შორის, მხოლოდ ხარჯების დაკანონებისას გვიხდება ურთიერთობა; არც მეცნიერული ინტერესია დიდი, არც ლექციებში მონაწილეობა. დასავლეთში ეს სისტემა ნორმალურადაა აწყობილი: კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც შედის უნივერსიტეტში, არის დამოუკიდებელი, არ სჭირდება ამდენი შეთანხმება და მისივე მოპოვებული თანხის ხარჯვაზე უფლების დაკანონება. თავიდან მომხრე ვიყავი უნივერსიტეტის სისტემაში ინსტიტუტების შეყვანისა, მაგრამ ჩვენთან ქართულად აეწყო ეს ყველაფერი და ფაქტია, რომ დამახინჯებულად არის ყველაფერი.

არის კიდევ ერთი პრობლემა: ინსტიტუტს ჰქონდა დაცვის სამეცნიერო საბჭო, რომელიც თითქმის 40 წელი მოქმედებდა, თუმცა, 2003 წლის რევოლუციის შემდეგ ჩამოგვერთვა ხარისხების დაცვის უფლება და ამჟამად უნივერსიტეტს შეუძლია მხოლოდ დაცვის საბჭოს ყოლა, არა და კატასტროფული მდგომარეობაა: ისეთი დისერტაციების დაცვა ხდება, როგორიც ადრე სამაგისტრო და საკურსო ნაშრომებიც კი არ კეთდებოდა.

გვაქვს შენობის პრობლემაც, რომელიც უკვე 15-20 წელია გრძელდება. მიუხედავად ამისა, ვმუშაობთ, რისი დასტურიც არის ის რომ, 2013 წელს სახელმწიფო აუდიტის შეკვეთით ჩატარებული კვლევის მიხედვით, 2010-2012 წლებში უმთავრესი ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლით – ციტირების ინდექსით – საქართველო მსოფლიო მაჩვენებელს უახლოვდება და უსწრებს ბელორუსს, ყაზახეთს, რუსეთს, უკრაინას, ესტონეთს, ლიტვას, სომხეთსა და აზერბაიჯანს. ეს კი იმით აიხსნება, რომ ჯერ კიდევ შემორჩენილია მეცნიერებაში საბჭოთა დროიდან პოტენციალი, რომელიც მალე ამოიწურება, ამიტომ, აუცილებელია, გაიზარდოს დაფინანსება ახალგაზრდა მკვლევარების მოზიდვის მიზნით.

— როგორ ფიქრობთ, სწორედ მეცნიერებაშია ქვეყნის ძალიან მნიშვნელოვანი რესურსი, იგივე ეკონომიკური თვალსაზრისით?

— რა თქმა უნდა! დახედეთ ქვეყნებს მსოფლიოში: იქ, სადაც მეცნიერებაზე იხარჯება მთლიანი შიდა პროდუქტის 2–დან 3 პროცენტამდე, ყველაზე მაღალია ცხოვრების დონე.

— მრჩება შთაბეჭდილება, რომ გული გწყდებათ იმის გამო, რომ თქვენი და ბევრი მეცნიერის შესაძლებლობა ვერ გამოიყენეს სათანადოდ ქვეყნის ინტერესებისთვის.

— სამწუხაროდ ასეა, უფრო ველური მეთოდებით მიმდინარეობს დღეს მშენებლობა და დაგეგმვა ყველა მიმართულებით. კაშხლებიც კი, ხანდახან ისე კეთდება, რომ არ იკვლევენ. როგორც ვთქვით, სეისმური კვლევებია გასავითარებელი, მეწყრული რაიონების მონიტორინგია გასაკეთებელი, საინჟინრო გეოფიზიკაა მისახედი, ასევე, მისახედი და შესასწავლია ატმოსფეროსა და გრუნტის წყლების დაჭუჭყიანების საკითხები და გლობალური დათბობით გამოწვეული საფრთხეები. ასევე, ჩვენს ინსტიტუტში ჩამოყალიბდა სეტყვის საწინააღმდეგო სისტემები და ამ მიმართულებაზე დღემდე ვმუშაობთ. ვფიქრობ, უნდა გვქონდეს უფლება, გამოვაცხადოთ სპეციალობა. ამჟამად ჩვენ მხოლოდ მაგისტრატურაზე გვაქვს წვდომა. არა და გეოფიზიკა საშიშროებისა და რესურსების კვლევას ახდენს: შესაძლოა ხვალ დაგვჭირდეს სპეციალისტი და აღარ გვყავდეს.

მოამზადა **ლელა კურდღელაშვილმა**

შეხვედრა-დიალოგი ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ

ნატო ოგოლაძე

ქალთა მიმართ ძალადობის გახშირებული შემთხვევების შემდეგ, რის შესახებაც გასული წლის მეორე ნახევარში მედია-საშუალებებით ფართო საზოგადოებამ შეიტყო, ხელისუფლებამ კანონი გაამკაცრა. სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა ცვლილება, რის მიხედვითაც ოჯახში ძალადობა ისჯება ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთით. თუ შემთხვევას თან ერთვის დამამძიმებელი გარემოებებიც, სასჯელი სამ წლამდე იზრდება. ეს ერთდროულად სადამსჯელო და პრევენციული ნორმაა მსგავსი სახის დანაშაულის აღსაკვეთად. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება საზოგადოებისა და, ასევე, არასამთავრობო სექტორის მხრიდანაც, დადებითად შეფასდა, თუმცა ამავე დროს – არასაკმარისადაც. აქედან გამომდინარე, არასამთავრობო სექტორი სახელისუფლო სტრუქტურებთან ერთად მუშაობას განაგრძობს. 27 თებერვალს საერთაშორისო ასოციაციამ „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისთვის“ შეხვედრა-დიალოგი გამართა თემაზე: „ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების როლი ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრისა და ოჯახური კონფლიქტების პრევენციისთვის“. შეხვედრას არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ფსიქოლოგები, სოციოლოგები, იურისტები, პედაგოგები, ჟურნალისტები და სტუდენტები ესწრებოდნენ.

„ჩვენ ქვეყანაში ბოლო დროს მომხდარმა ქალთა მიმართ ძალადობის შემაძრწუნებელმა ფაქტებმა ნათლად დაგვანახვა, რამდენად სერიოზულია პრობლემა და რამდენად კოორდინირებულ მიდგომას საჭიროებს. ძალადობის წინააღმდეგ სახელმწიფოსთან ერთად მთელი საზოგადოება უნდა გაერთიანდეს. საქართველოში ქალის პატივისცემის დიდი ტრადიცია არსებობს და ქალთა მიმართ ძალადობის გახშირებული ფაქტები ამ ტრადიციასთან შეუთავსებელია, ამიტომ კატეგორიულად მიუღებლად მიგვაჩნია ძალადობის გამართლების მცდელობა ტრადიციის, კულტურის, რელიგიისა თუ ჩვენი ქვეყნის სხვა თავისებურებების სახელით.

2006 წლის ივლისში პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფცია და ამ კონცეფციის განსახორციელებლად მიიღო სამოქმედო გეგმა. ეს კონცეფცია ემყარება საერთაშორისო აქტებსა და დოკუმენტებს, მათ შორის გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციას 13/25 და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციას. გაჟღერდა ინფორმაცია, რომ სახელმწიფო, კერძოდ, მთავრობა არ დგამს საგულისხმო ნაბიჯებს ამ პრობლემის გადასაჭრელად, მაგრამ შემიძლია ვთქვა, მანამდეც და განსაკუთრებით ნოემბრის შემდეგ, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან ბევრი წარმატებული ნაბიჯი გადაიდგა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური კონფლიქტის პრევენციისთვის“, — განაცხადა საერთაშორისო ასოციაციის „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისთვის“ თავმჯდომარემ, თსუ-ის მოწვეულმა პროფესორმა მაია კვეზერელი-კოპაძემ.

შეხვედრაზე დიალოგის პროცესში აღინიშნა, რომ ადამიანის ფსიქიკის ფორმირებას ძირითადად სამი ფაქტორი განაპირობებს – ოჯახი, სკოლა, საზოგადოება. სკოლისა და საზოგადოების მიმართულებებით სახელმწიფოს მხრიდან, არასამთავრობო სექტორის მონაწილეობით, შესაბამისი ცვლილებები უკვე განხორციელდა — მიმდინარეობს კვლევა, თუ რამდენად არიან სკოლის მოსწავლეები ძალადობისკენ მიდრეკილნი; განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ საჯარო სკოლების პროგრამაში ახალი სასწავლო საგანი დაინერგა - „მე და საზოგადოება“, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება-განვითარებასაც შეუწყობს ხელს; კანონის გამკაცრებასთან ერთად შინაგან საქმეთა სამინისტრო ატარებს ტრენინგებს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებისთვის – თუ როგორ მოიქცნენ ოჯახში ძალადობის შემთხვევაში; სპეციალურად ამ მიმართულებით თბილისსა და რეგიონებში უბნის ინსპექტორის ინსტიტუცია შეიქმნა, რომლის თანამშრომლებსაც შესაბამისი ტრენინგები უკვე ჩაუტარდათ.

„ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ კამპანიას კომპლექსურად მივუდექით. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად შევქმენით სპეციალური ჯგუფი, სადაც არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები და ფსიქოლოგებიც შედიან. უკვე 6 თვეა მიმდინარეობს და კიდევ გრძელდება შეხვედრები უმაღლეს სასწავლებლებსა და სკოლებში. სხვათა შორის, ამ პროცესში გამოიკვეთა — რა პრობლემები აქვთ მოზარდებს. მათი ფსიქიკა გადახრილია ძალადობისკენ. რამდენიმე სკოლაში, ე.წ. „პოპულარული“ მოსწავლე ბიჭი სწორედ ასეთი ხასიათის გახლდათ. ეს ჯგუფი მუშაობს, რომ მათი მსოფლმხედველობა შეცვალოს. ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ კამპანიას რომ ფართო მასშტაბები მიეღო, მოქალაქეებისთვის და ცალკე ჟურნალისტებისთვისაც კონკურსი გამოვაცხადეთ. ჩვენ ვაგრძელებთ მუშაობას და პერიოდულად ვხვდებით არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომელსაც შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ლევან იზორია უძღვება“, — განაცხადა შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიის სამსახურის უფროსმა სოფო ტორჩინავამ.

როგორც შეხვედრაზე ფსიქოლოგმა თეა გოგოტიშვილმა განაცხადა, ადამიანის ის არაცნობიერი განწყობები, რომელიც სხვადასხვა სოციალურ სიტუაციაში ვლინდება, 5 წლამდე ყალიბდება. თუ როგორი იქნება ბავშვში აღნიშნული არაცნობიერი განწყობა, მთლიანად მშობლებზეა დამოკიდებული. იგი იმ ქცევების განმახორციელებელი ხდება, რომელსაც ოჯახში ხედავდა. შესაბამისად, სპეციალისტების აზრით, ოჯახური ძალადობის საწინააღმდეგო კამპანიის იმ ნაწილის შედეგი, რომელიც სკოლებში ხორციელდება, რეალობაზე ხანგრძლივ პერსპექტივაში აისახება.

„თუ მშობლები ძალადობის განმახორციელებლები არიან, უკვე ჩნდება რისკ-ფაქტორი იმისა, რომ შვილიც მოძალადე გაიზრდება ან თვითონ გახდება ძალადობის მსხვერპლი. გადავწყვიტე, რომ ძალადობის მსხვერპლი ადამიანებისთვის ფსიქოლოგიური დახმარება გამეწია და ამის შესახებ ერთ-ერთ გადაცემაში გამოვაცხადე. შედეგმა გამაკვირვა. ყველა ქალი, რომელიც ჩემთან მოვიდა, არ თვლიდა საჭიროდ, რომ ფსიქოლოგიური დახმარება სჭირდებოდა. ისინი ითხოვდნენ დასაქმებას, ან მოძალადეების გამოსწორებას. მალე მივხვდი, მათ სოციალური მუშაკისა და სამართალდამცავების დახმარება ესაჭიროებათ. სხვათა შორის, მას შემდეგ, რაც კანონი გამკაცრდა, ბევრმა მოძალადემ მოთოკა თავი. ოჯახური ძალადობის პრევენციისთვის აუცილებელია კონსოლიდირებული მუშაობა. ეს გულისხმობს ცვლილებებს განათლების სისტემაში, მედია-საშუალებების ჩართულობას ამ პროცესში, აქტიური ძალადობის საწინააღმდეგო კამპანიას. შედეგი რომ დავინახოთ, მნიშვნელოვანია ორგანიზებული და თანმიმდევრული მიდგომა“, — განაცხადა ფსიქოლოგმა თეა გოგოტიშვილმა.

ქალთა მიმართ ძალადობის გამომწვევი მიზეზებისა და პრევენციის საკითხების გარდა, შეხვედრაზე დასაქმებული ქალების უფლებებიც გააანალიზეს. გლობალური კვლევის ცენტრის დირექტორმა ნანა დევდარიანმა შრომის კოდექსის გაუმჯობესების აუცილებლობაზე ისაუბრა და ამ საკითხზე მედიას ყურადღების გამახვილებისკენ მოუწოდა.

„როდესაც ქალთა ემანსიპაციაზე აკეთებენ აქცენტს, არაფერს ამბობენ, რომ ქალთა უფლებები ყოველი ფეხის ნაბიჯზე ირღვევა. მაგალითად, დამსაქმებელთა შემდეგი შინაარსის განცხადებები – ,,სამსახურში ვიწვევთ 30 წლამდე სასიამოვნო გარეგნობის გოგონას”. ასევე, როდესაც ქალებს ასაქმებენ, ართმევენ პირობას, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ბავშვს არ გააჩენს. ძირითადად, კერძო სტრუქტურებზე მაქვს საუბარი. ასევე, ბევრ რეგიონში ინვესტორები ქალებს გაცილებით ნაკლებ ანაზღაურებას აძლევენ, შვებულებას არ უნაზღაურებენ და ა.შ. ამ ხელისუფლებამ შრომის კოდექსში ბევრი კარგი ცვლილება შეიტანა, მაგრამ ფსიქო-სოციალური გორგასლიდან გამოსავლის საპოვნელად მხოლოდ ეს არ არის საკმარისი“, — აღნიშნა ნანა დევდარიანმა.

დიალოგში აქტიური მონაწილეობა მიიღეს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ პროფესორმა ირაკლი ფავლენიშვილმა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის დეპარტამენტის ზოგადი პედიატრიის მიმართულების სრულმა პროფესორმა ნინო მანჯავიძემ, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა თინა გელაშვილმა.

ფსიქოლოგიურ ფაქტორებთან ერთად, ქალთა მიმართ განხორციელებული ძალადობის ერთ-ერთ მიზეზად მძიმე სოციალური გარემოც სახელდება. ეს მოსაზრება გამოიკვეთა სტუდენტების ნაშრომებშიც, რომელიც საერთაშორისო ასოციაციის „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისთვის“ გამოცხადებული კონკურსისთვის შეიქმნა. კონკურსში საქართველოს რამდენიმე უმაღლესი სასწავლებლის 21 სტუდენტი მონაწილეობდა. გამარჯვებულები სპეციალურმა ჟიურიმ გამოავლინა, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ ჟურნალისტი ლუბა ელიაშვილი, პოეტი მზია ხეთაგური და ჟურნალისტი არმაზ სანებლიძე. აღნიშნული კონკურსიც ქალთა მიმართ ძალადობის საწინააღმდეგო კამპანიის ნაწილია და ახალგაზრდების ამ საკითხებით დაინტერესებას ისახავს მიზნად. შედეგები საერთაშორისო ასოციაციის მიერ ორგანიზებულ შეხვედრა-დიალოგზე გამოცხადდა. კომისიის გადაწყვეტილებით, პირველი ადგილის მფლობელი თსუ-ის სტუდენტი ნინო კაკაბაძე გახდა, II ადგილზე ასევე თსუ-ის სტუდენტი ნინო ლორჩოშვილი და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი თამარ ახალკაცი გავიდნენ, III ადგილის მფლობელები კი გახდნენ თსუ-ის სტუდენტები მარიამ ქარჩავა და ალექსანდრა კნიაზიანი, გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტი თამუნა ლამპარაძე და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი ეთერ ბურდული.

„ჩემს ნაშრომში ძირითადი აქცენტი გადატანილი მქონდა საზოგადოებაში განათლების დაბალ დონეზე, განსაკუთრებით იმ საკითხებზე, რომლებიც ძალადობას ეხება. შესავალში ნახსენები მქონდა, რომ ადამიანების დიდი ნაწილი არაფერს აკეთებს, თუ ძალადობის შემთხვევას შეესწრო. ვფიქრობ, გამოსავალი ურთიერთპატივისცემასა და სიყვარულშია. დიდი როლი ეკისრებათ მშობლებს, ოჯახს... მათ სწორად უნდა აღზარდონ შვილები, მაგალითად, ბიჭებს არ უნდა ჩაუნერგონ — ,,ის ბიჭია, მას ყველაფერი ეპატიება და მეტის უფლება აქვს”. ყურადღება გავამახვილე ბრბოს ფსიქოლოგიაზეც“, — გვითხრა თსუ-ის სტუდენტმა, კონკურსის გამარჯვებულმა ნინო კაკაბაძემ.

ოჯახი, სკოლა, საზოგადოება – ეს არის ის ფოკუს-ჯგუფები, რომლებთანაც სახელმწიფო არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან ერთად მუშაობას აგრძელებს. საკანონმდებლო ცვლილებების შედეგი, რომლებიც მათი ერთობლივი ძალისხმევით განხორციელდა, უკვე ჩანს და სტატისტიკურად ოჯახური ძალადობის ფაქტებმა შედარებით იკლო. რაც შეეხება საჯარო სკოლებსა და, ზოგადად, საზოგადოებაზე გათვლილ აქტივობებს, მათი შედეგი ეტაპობრივად აისახება საერთო სურათზე. თავის მხრივ, საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ ძალადობის საწინააღმდეგო კამპანიას აგრძელებს. ასოციაცია მუშაობის უკვე 23 წლიან ისტორიას ითვლის.

ცხოვრება უშელავათოდ

დამანა მელიქიშვილს უყვარს თავისი დეიდის, ცნობილი პედაგოგის ბაბო მჭედლიძის სიტყვების გამეორება — „XIX საუკუნიდან მოვდივარო,“ — ამის სათქმელად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ღვაწლმოსილ მეცნიერს ბევრი მიზეზი აქვს. ქალბატონ დამანას კიდევ ერთი „უცნაური“ თვისება აქვს: თავისი საინტერესო და, ამავე დროს, რთული ცხოვრების ყველა მოვლენას პოზიტიურად აღიქვამს და ამას ოჯახის, სკოლის და უნივერსიტეტის პედაგოგების დამსახურებად თვლის.

ნახევარ საუკუნეზე მეტია, დამანა მელიქიშვილის მარშრუტი ერთი და იგივეა: სკოლის დამთავრების შემდეგ, როგორც თავად ამბობს, „უწყვეტად“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწეობს. მაგრამ, დღეს, პროფესორ დამანა მელიქიშვილს კიდევ ერთი საპატიო წოდება აქვს: იგი ორი შვილის, 7 შვილიშვილისა და ორი შვილთაშვილის ბებიაა. ამიტომ მისი „მარშრუტის ტრაექტორია“ გაფართოვდა: ცდილობს, „ცხელ წერტილში“ იყოს — მისი რჩევა, ზრუნვა, დახმარება ყველას სჭირდება.

„გზა — მიზანია. როცა მიზანი შორსაა, გზაც გრძელია“
კონფუცი

შურთხია ბეროშვილი

ქალბატონი დამანას განვლილი გზა ორი სიტყვით შეიძლება ასეც დავახასიათოთ — „ცხოვრება უშელავათოდ“, რადგან მისთვის არასოდეს შეუშლია ხელი იმას, რომ მეცნიერულ და პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად ქალის ტვირთიც ეზიდა.

ბესიკ ხარანაული (ქალბატონი დამანას მეუღლე) მისი თანაკურსელი იყო, ოჯახი IV კურსზე შექმნეს. მართალია, თავიდან დედა ეხმარებოდა, მაგრამ, ჩვეულებრივ, მარტოს უწევდა საოჯახო საქმეების კეთება. შვილებს — ანას და ლევანს ყურადღება რომ არ მოჰკლებიათ, ამას მათი დღევანდელი საქმიანობაც ადასტურებს: ლევანი ცნობილი მხატვარია, მისი გამოფენები, საქართველოს გარდა, საზღვარგარეთაც ხშირად ეწყობა; ანა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ის ქართული ენის სამეცნიერო-სასწავლო ინსტიტუტის პროფესორი და აღმოსავლური ქრისტიანული ფილოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელია.

დამანა მელიქიშვილის მიერ განვლილი ცხოვრების ყველა ეტაპი საინტერესოა. თავად, განსაკუთრებული სიყვარულით, ბავშვობას იხსენებს, რომელიც მცხეთაში გაატარა... შემდეგ ოჯახი თბილისში გადმოვიდა და იქ გააგრძელა სწავლა: „ტკბილად მაგონდება ქართლის სოფლების სუნი, თონეში ჩაკრული პურის გემო, ბავშვების ჟრიამული კალოზე... მერე, როგორც ერთი მზიანი და გრძელი დღე — ჩემი საყვარელი, ილია ჭავჭავაძის სახელობის 23-ე სკოლა, ჩემი პედაგოგები: ვერა ქუმსიაშვილი, მარიამ ბალანჩივაძე, ნიკო ჯაფარიძე, სოფიო ახმეტელი, ვალიკო მენაბდე, დიმიტრი თავბერიძე... ყველა საგანს კარგად ვსწავლობდი, განსაკუთრებით ზუსტი მეცნიერებები მიყვარდა — ალგებრა, გეომეტრია, ფიზიკა, ლოგიკა, გრამატიკა. სკოლაში ძალიან მიტაცებდა მემუარული ლიტერატურის კითხვა, ასევე, ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთების გამოცემა, ბიბლიოთეკაში ჯდომა და ამ ჟურნალებისთვის მასალების მომზადება". მისი მომავალი გზის არჩევანი ოჯახურმა ტრადიციამ განსაზღვრა — დეიდის, ქართული ენისა და ლიტერატურის ცნობილი მასწავლებლის, ბაბო მჭედლიძის გავლენამ. როგორც თვითონ ამბობს: „მისი მდიდარი ბიბლიოთეკა, პატარაობიდან მოყოლებული, ჩემს განკარგულებაში იყო“.

1957 წელს დამანა მელიქიშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. ოქროს მედალოსანთა გასაუბრებას აკად. ვარლამ თოფურია და მიხეილ ზანდუკელი ესწრებოდნენ, რომელთა ლექციებმა და შრომებმა გაუკვალეს გზა მეცნიერებისკენ.

„სტუდენტობის პერიოდში განსაკუთრებული ინტერესით ვსწავლობდი ბერძნულ-ქართული ენობრივი და ლიტერატურული ურთიერთობების საკითხებს და ლინგვისტურ მეცნიერებებს. დიდი მადლიერებით მინდა გავიხსენო პროფესორი პანტელეიმონ ბერაძე, რომელიც ჩემს ინტერესს დიდი გულისყურით ეკიდებოდა და მთავაზობდა დასამუშავებლად სამეცნიერო თემებს სტუდენტთა კონფერენციისათვის. მაგრამ ჩემი მომავალი არჩევანი მაინც განსაზღვრა თანამედროვე ქართული, ქართველური და კავკასიური ენათმეცნიერების ერთერთმა ფუძემდებელმა, აკადემიკოსმა ვარლამ თოფურიამ. მისი ხელმძღვანელობით წარმართული მუშაობა საკურსო და საკონფერენციო თემებზე თუ რიგით სემინარებზე – ეს იყო ცოცხალი მსჯელობისა და აზრის გაზიარების ატმოსფერო, როდესაც პროფესორი საშუალებას გვაძლევდა სტუდენტებს — თავისუფლად გვეაზროვნა, კრიტიკულად შეგვეფასებინა ნებისმიერი ავტორის თვალსაზრისი, ჩამოგვეყალიბებინა საკუთარი აზრი ამა თუ იმ სადავო საკითხზე. ყოველივე ამან განსაზღვრა ჩემი მომავალი მოღვაწეობის სფერო და ადგილი: ახალი ქართული ენის კათედრა, რომელსაც აკადემიკოსი ვარლამ თოფურია განაგებდა და რომელსაც ნახევარი საუკუნეა ვემსახურები“.

ქალბატონი დამანა ამბობს, მისი მოღვაწეობა როგორც სამეცნიერო, ისე პედაგოგიურ სფეროში ორი მიმართულებით წარიმართა: ერთი მხრივ, ქართული ენის ლინგვისტური კვლევა და ახალი ქართული ენის სალექციო კურსი და, მეორე მხრივ, ქართულ-ბიზანტიური ენობრივ-ლიტერატურული ურთიერთობანი.

ქალბატონი დამანა განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით იხსენებს უნივერსიტეტის პროფესორს ფარნაოზ ერთელიშვილს, რომელიც მისი სადიპლომო შრომის ხელმძღვანელი იყო: „ჩემი შრომა ეხებოდა ქართული ზმნის დროისა და კილოს სისტემების ურთიერთმიმართებას. რეცენზენტი ბატონი ვარლამ თოფურია გახლდათ. ასე რომ, ჩემი სწავლა-განათლების მეორე ეტაპიც მან შეაფასა და ასპირანტურის კარიც მან გამიღო“.

დამანა მელიქიშვილი

დამანა მელიქიშვილი ნახევარი საუკუნეა მეცნიერულ და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა ჩვენს უნივერსიტეტში – ეს მისი მეორე სახლია. ამიტომ დღესაც მტკივნეულად იხსენებს 2006 წელს ჩატარებულ კონკურსს, რომლის საფუძველზეც მაშინ ბევრმა ღირსეულმა პროფესორმა დატოვა უნივერსიტეტი. „მაშინ ჩემს გადაწყვეტილებას არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა, მაგრამ სხვაგვარად არ შემეძლო, როგორ უნდა დამეტოვებინა ის საქმე, რომელსაც ამდენი წელი ვემსახურებოდი?". ამიტომ იყო, რომ 2006 წლის კონკურსში მიიღო მონაწილეობა და სათავეში ჩაუდგა ქართველოლოგიურ მიმართულებას, ხელმძღვანელობდა ქართული ენის ინსტიტუტს, ქართველური ენათმეცნიერების საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს...

ქალბატონი დამანა თვლის, რომ მეცნიერი ქალის მოღვაწეობა ორმაგად მძიმეა, მაგრამ საქმისადმი და ოჯახისადმი ერთგულება და სიყვარული ის ენერგიაა, რომლის წყალობითაც ნებისმიერი დაბრკოლების გადალახვას შესძლებ. ამის მაგალითს იძლეოდნენ მისი წინაპრები — დედ-მამა და ბიძა-დეიდები. იგი XIX საუკუნის გარემოში იზრდებოდა: დედის მამა, მღვდელი სიმონ მჭედლიძე, რომელიც 1924 წელს წმინდა ნაზარი მიტროპოლიტთან და მის სამღვდლო კრებულთან ერთად დახვრიტეს, 1995 წლის 19 სექტემბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაერთიანებულ კრებაზე წმინდანად შერაცხეს. მისი ხსენების (დაბადების) დღეს, ყოველ 15 თებერვალს, მირქმის დღესასწაულზე, რომელიც ბავშვებისთვის დაუვიწყარი სიხარულის მომტანი იყო, იკრიბებოდნენ მღვდელმოწამე სიმონ მჭედლიძის შთამომავლები: „დეიდაჩემს დილით მიჰქონდა საკურთხი ეკლესიაში და მისი დაბრუნების შემდეგ, საღამოსკენ, იწყებოდა ნათესავების დინება: მოდიოდნენ დგებუაძეები, კაპანაძეები, ფოცხვერაშვილები, ჭირაქაძეები, აბაშიძეები, გველესიანები, კუხიანიძეები, ლომინაძეები, ხოჯავები, ნანეიშვილები, მელიქიშვილები თავიანთი შვილებითა და შვილიშვილებით, რათა აქ ნაამბობ და გაგონილ წარსულ სიქველეთა სულისკვეთებით აღეზარდათ მომავალი თაობა. „პირველ ოთახში, კარის თავზე, ეკიდა ბაბუას და ბებიას ნაქონი ივერონის კარის ღვთისმშობლის ხატის ასლი, დაწერილი ათონზე, საგანგებოდ მამა სიმონ მჭედლიძისათვის, რასაც მოწმობს წარწერა „ხატი ესე დედისა ღმრთისა ივერიის ღვთისმშობელისა ეგზავნების მამა სიმონ მჭედლიძეს" — მარცხნივ წმ. ეკატერინეს (ბებიას ერქვა) გამოსახულებით და მარჯვნივ — სიმეონ მიმრქმელისა. აქ არასოდეს იხსენებდნენ ცუდ ამბებს — ბაბუას სიკვდილით დასჯას და რეპრესიებს (უფროსი ბიძაც, ბესარიონიც და ნანა მჭედლიძის დედაც ციმბირში გადაასახლეს 1937-ში). აქ იყო გახსენება სიყვარულისა, ურთიერთდანდობისა, კეთილი საქმეებისა, ბაბუას გამოცემული ჟურნალ-გაზეთებისა („შინაური საქმეები", „განთიადი") და ნაშრომებისა, რომლებიც გადამალეს მელიტონ კელენჯერიძის სახლის სხვენზე, სადაც ისინი განადგურდა და დაიწვა. ბაბუას 150 წლისთავთან დაკავშირებით შევძელი რეპრინტით გამოცემა მისი სახელმძღვანელოსი — „საღვთო ისტორია და ,,ქრისტიანობა ბებელის ლაბორატორიაში", ასევე, „შინაური საქმეების" ელექტრონული ვერსიის დამუშავება. ასე რომ, შემიძლია ვთქვა, ორი საუკუნის მიჯნაზე ვიცხოვრე და უკვე მესამე საუკუნის მეორე დეკადაში ვაგრძელებ სიცოცხლეს".

და, მართლაც, მისი საყვარელი საქმე — მოწაფეებში, ხოლო სიცოცხლე შვილებს, შვილიშვილებსა და შვილთაშვილებში გრძელდება.

ევროკავშირში საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაცია

თამარ დადიანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 10 მარტს გაიმართა საჯარო ლექცია თემაზე: „ევროკავშირში საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაცია". მომხსენებელი გახლდათ ამირან კავაძე — ყოფილი ელჩი დიდ ბრიტანეთში, შვეიცარიასა და შვედეთში, ამჟამად „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის" პროფესორი. საჯარო ლექციას ესწრებოდნენ თსუ-ის სტუდენტები და სხვა დაინტერესებული პირები.

საჯარო ლექცია ორგანიზებული იყო ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭოს (EUGBC) მიერ, რომელიც საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ხელშეწყობით გეგმავს რეგულარული სალექციო ციკლის ორგანიზებას ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებისა (AA) და ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალი ვაჭრობის (DCFTA) თემატიკაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოში აკრედიტირებული სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისთვის.

ლექციებს წაიკითხავენ EUGBC-ის კვალიფიციური ექსპერტთა საბჭოს წარმომადგენლები, საქართველოში არსებული წამყვანი ბიზნეს-კომპანიების ხელმძღვანელები და ევროკავშირის ქვეყნებში მოქმედი საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩები.

პროექტის მიზანია ახალგაზრდებში ევროპულ ღირებულებებზე ცნობიერების ამაღლება, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებასა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება და მათი ამ მიმართულებით შემდგომი ჩართულობის უზრუნველყოფა.

როგორც მოგეხსენებათ, 2014 წლის ივნისში ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერით ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობები ხარისხობრივად სრულიად ახალი ეტაპზე გადავიდა. ასოცირების შესახებ შეთანხმება და მასში შემავალი ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე (DCFTA) ითვალისწინებენ ევროკავშირთან მომავალი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციის შესაძლებლობას, პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების მნიშვნელოვნად გაღრმავებას, საქართველოს დაახლოებას ევროპასთან. ამ საკითხებით დაინტერესებულ სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ ქართველი დიპლომატისგან მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი ფაქტები მოესმინათ.

ქართველი დიპლომატის მოხსენების ერთერთი მთავარი თემა იყო საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულებისა და მისი განუყოფელი ნაწილის — ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების დეტალების გაცნობა და ანალიზი. მომხსენებელმა ასევე იმსჯელა იმ რეფორმების შესახებ, რომლებიც ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ განხორციელდება ქართული კომპანიების ევროკავშირის ბაზარზე შესვლის ხელშეწყობისთვის.

ამირან კავაძემ საუბარი ევროკავშირის შექმნის ისტორიითა და იმჟამინდელი სახელმწიფოს მეთაურების პოზიციების დაფიქსირებით დაიწყო. მან საინტერესოდ მიმოიხილა ევროპის სამომავლო ინტეგრაციის ორი ძირითადი მიდგომა: ფედერალური და ფუნქციონალური. ფედერალური მიდგომის მთავარი იდეა იმაში მდგომარეობს რომ ადგილობრივმა, რეგიონულმა, ეროვნულმა და ევროპის ხელისუფლებამ შეთანხმებით ითანამშრომლონ ერთმანეთთან, ფუნქციონალური მიდგომა კი ითვალისწინებს ეროვნული სუვერენიტეტის ეტაპობრივ გადასვლას თანამეგობრობის დონეზე.

„ევროინტეგრაცია რომ დროზე დაგვეწყო, ან რეფორმები 90-იან წლებში ჩაგვეტარებინა, ქვეყნის განვითარების კუთხით, გაცილებით წინ ვიქნებოდით. ჩვენ, ჩვენი თავის გარდა, პატრონი არ გვყავს და საქმე ხარისხიანად უნდა ვაკეთოთ. მაგალითად, შვედეთმა ძალიან მძიმე პერიოდი გამოიარა, მაგრამ დღეს ერთერთი ყველაზე განვითარებული ქვეყანაა. ასეთი ქვეყნებისგან უნდა ავიღოთ მაგალითი", — აღნიშნა ამირან კავაძემ.

საქართველოს ეკონომიკისთვის ეს არის უდიდესი შესაძლებლობები, რადგან ინვესტორებს ეძლევათ მეტი საშუალება, აწარმოონ საქართველოში პროდუქცია, ასევე სერვისები და თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმში მიაწოდონ ევროპულ ბაზარს. „დღეს ჩვენი ევროპელი პარტნიორები კიდევ ერთხელ გვიდასტურებენ დიდ მხარდაჭერას ევროპული ინტეგრაციის გზაზე. რა თქმა უნდა, ამ გზაზე იქნება სირთულეები, ჩვენ მოგვიწევს ძალიან მნიშვნელოვანი რეფორმების გატარება, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში ეს უდიდეს მოგებას და სარგებელს მოუტანს საქართველოს ეკონომიკას. სამწუხაროდ, ჩვენ სახელმწიფოს არ გააჩნია პერსპექტივაზე გათვლილი, სოფლის მეურნეობის თითოეული დარგის განვითარების სტრატეგია. ქვეყანაში უნდა არსებობდეს სამსახური, რომელიც მოეხმარება ქართველ მეწარმეებს უცხოეთის ბაზრებზე ადაპტირებაში. უნდა წახალისდნენ ფერმერები და ის პროდუქცია აწარმოონ, რომელიც უფრო მოთხოვნადია უცხოეთის ბაზარზე. სახელმწიფომ უნდა იმუშაოს იმ მიმართულებით, რომ ის დარგები განავითაროს, რომელიც მოთხოვნად პროდუქციას მიაწვდის ევროკავშირის ქვეყნებს. ჩვენ ჩვენი „ნიშა“ უნდა ვნახოთ ევროკავშირის ბაზარზე და ამ საკითხის მოსაგვარებლად სახელმწიფო ინსტიტუტებმა უნდა იზრუნონ. ჩვენს ქვეყანას ამის პოტენციალი ნამდვილად გააჩნია. საქართველოში წარმოებული პროდუქცია ევროკავშირის სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს. როგორც გითხარით, საქართველო შეზღუდული რესურსების ქვეყანაა და ყველა სახის ნედლეული არ გვაქვს.

საქართველოში დამზადებული საკვები უვნებელი პროდუქცია კი უსაფრთხო უნდა იყოს. ასოცირების ხელშეკრულებაში მთავარი მომხმარებელთა უფლებების დაცვაა, რაც ნიშნავს, რომ ბაზარზე გატანილი საქონელი უსაფრთხო და უვნებელი უნდა იყოს. ეს ბიზნესისთვის, გარკვეულწილად, ტვირთი იქნება, რადგან ასეთი რეგულაცია დანახარჯსაც გულისხმობს, მაგრამ მეორე მხრივ, საქონელი კონკურენტუნარიანი გახდება და მაღალ სტანდარტებს დააკმაყოფილებს, რაც საბოლოოდ, ქართულ ეკონომიკას გაზრდის“, – განაცხადა ამირან კავაძემ, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა ისიც, რომ ასოცირების ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ზედმეტი მოლოდინი არ უნდა გვქონდეს, რადგან ეს არ ნიშნავს, ხვალ ან ზეგ გავიღვიძებთ და საქართველოს ეკონომიკა აყვავებული დაგვხვდება — ამას გარკვეული ეტაპები სჭირდება. „ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია ქართული რეალობა და ისიც, თუ რამდენად რთულია იმ პირობების შესრულება, რაც საჭიროა. ეს ნიშნავს, რომ ევროპული რეგულაციები და სტანდარტები ეტაპობრივად დაინერგება და არც პროცესი დროში გაჭიანურდება“, — დასძინა მან.

ქართველი დიპლომატის ლექციამ სტუდენტების მხრიდან დიდი ინტერესი და მოწონება დაიმსახურა.

იდეა — გრაკლიან გორას მიენიჭოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი!

შურთხია ბეროშვილი

12 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპრეზენტაციო დარბაზში გრაკლიანის არქეოლოგიურ ძეგლზე გამოვლენილი უძველესი არტეფაქტები გამოიფინა.

თსუ-ის მეცნიერებმა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ საქართველოს მთავრობას გრაკლიანი გორისთვის (კასპის რაიონი) კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული კატეგორიის ძეგლის სტატუსის მინიჭების ინიციატივით მიმართეს.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ახლად აღმოჩენილი გრაკლიანი, რომელიც თბილისი-სენაკი-ლესელიძის მაგისტრალის მშენებლობის დროს 2007 წელს გამოვლინდა, ყოველწლიური არქეოლოგიური კვლევების შედეგად (ექსპედიციის ხელმძღვანელი პროფესორი ვახტანგ ლიჩელი), ახალ და მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა. ადგილზე აღმოჩენილი არტეფაქტები უნიკალურია და გრაკლიანის უწყვეტი განვითარების ისტორიას ადასტურებს. გრაკლიანის შესახებ მასალები გამოქვეყნებულია მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო გამოცემებში — საფრანგეთში, ჰოლანდიაში, ინგლისში, იტალიაში, გერმანიასა და ესპანეთში. გრაკლიანის განვითარებისა და პოპულარიზაციის საკითხში დაინტერესებულია იკრომის გენერალური დირექტორი სტეფანო დე კარო. დარგის სპეციალისტების თვალსაზრისით, თითქმის ყველა საფუძველია შექმნილი, რომ გრაკლიანმა დამსახურებულად მოიპოვოს ეროვნული კატეგორიის სტატუსი, რაც მისი დაცვისა და განვითარების მექანიზმებს კიდევ უფრო გაამყარებს.

როგორც ღონისძიებაზე აღინიშნა, გრაკლიანი გორის განსაკუთრებული მნიშვნელობა რამდენიმე ფაქტორში გამოიხატება. გრაკლიან გორაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად ქვის ხანიდან ანტიკურ პერიოდამდე საზოგადოების განვითარების უწყვეტი ციკლი დადასტურდა. მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლის ისტორია მოიცავს დაახლოებით 1.5-2 მილიონ წელს, რაც დადასტურებულია ამ ტერიტორიაზე აღმოჩენილი უძველესი ქვის იარაღებით.

გარდა ამისა, აქვე აღმოჩენილია 10 სხვადასხვა პერიოდის არქეოლოგიური მასალის შემცველი კულტურული ფენა. განსაკუთრებით კარგად არის შემონახული ძველი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის შუა ხანების ნაშთები. დიდი მნიშვნელობისაა ძველი წელთაღრიცხვის V-IV საუკუნეების ტაძრები და მცირე არქიტექტურული ფორმები. აღმოჩენილია ცივილიზაციის სხვადასხვა ცენტრებში დამზადებული ნაწარმი, როგორიცაა ძველი წელთაღრიცხვის IV ათასწლეულში სამხრეთ მესოპოტამიაში დამზადებული საბეჭდავები; ასევე ირანში, საბერძნეთში, ფინიკიასა და ეგვიპტეში დამზადებული ნივთები. გრაკლიან გორაზე არქეოლოგიური გათხრები 2007 წელს დაიწყო, სადაც თსუ-ის სტუდენტებისთვის სამეცნიერო პრაქტიკის ბაზა ჩამოყალიბდა.

თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არქეოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელის, ვახტანგ ლიჩელის განცხადებით: „გრაკლიანი გორა სრულიად გამორჩეული ძეგლია საქართველოსთვის. დღევანდელი ღონისძიების მიზანია, წარმოვაჩინოთ საქართველოსათვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლი — გრაკლიანი გორა, სადაც თსუ-ის ინიციატივით მიმდინარეობს არქეოლოგიური სამუშაოები. ამ ხნის მანძილზე აქ გამოვლენილია 11 სხვადასხვა პერიოდის კულტურული ფენა, რომელიც ასახავს საზოგადოების განვითარებას ამ ბორცვის ტერიტორიაზე უკანასკნელი ორი მილიონი წლის მანძილზე. ეს განსაკუთრებული ფაქტია, რადგან ასე ინტენსიურად ათვისებული არქეოლოგიური ძეგლი საქართველოში არ გვაქვს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ძველი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის შუა ხანების არქეოლოგიური მასალა, რომელმაც საშუალება მოგვცა — დაგვემტკიცებინა, რომ, ადრე არსებული მოსაზრების საპირისპიროდ, ქართლში არსებობდა განვითარებული საზოგადოება, რომელსაც ინტენსიური სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები ჰქონდა იმდროინდელი ცივილიზაციის ყველა ცენტრთან. ამდენად, გრაკლიანი გორა არის სრულიად გამორჩეული ძეგლი. ამიტომაც ჩვენი მიზანია — ეს იდეა მივაწოდოთ ჩვენს ხელისუფლებას, რომ გრაკლიან გორას მიენიჭოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი“.

კვლევა მიგრანტ-მწერლების ნოსტალგიურ ლიტერატურაზე

რა არის მიგრანტთა ლიტერატურა? რომელი ლიტერატურული პროცესის ნაწილია იგი? როგორ იქმნება მიგრაციული ლიტერატურა? არიან თუ არა „ნამდვილი“ მწერლები, ვინც ამ ლიტერატურულ ტექსტებს ქმნის? — ამ საკითხებს შეეხო თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნინო პოპიაშვილი, რომელმაც 5 მარტს სამეცნიერო გამოკვლევის: „მიგრაცია და ლიტერატურა“ პრეზენტაცია გამართა. კვლევა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირებისათვის გრანტის ფარგლებში მომზადდა.

შურთხია ბეროშვილი

აღსანიშნავია, რომ მიგრაციული ლიტერატურის განხილვისას ლიტერატურათმცოდნეები ხშირად ხაზს უსვამენ იმ ფაქტს, რომ მიგრაციული ლიტერატურა ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს მარგინალურ ლიტერატურად, რადგან ტექსტის ავტორი მწერალი არ გახდებოდა, ბუნებრივ გარემოში რომ დარჩენილიყო.

„მიგრაციის კვლევა, უპირველესად გულისხმობს იმ მიზეზების ძიებას, რამაც მიგრაცია გამოიწვია. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მიგრაცია დღემდე მჭიდროდ არის დაკავშირებული პირადი ცხოვრების წესის შეცვლასთან, გარკვეულ იძულებასთან, ამის შეგრძნება კი აიძულებს ინდივიდს, რომ ჩაუღრმავდეს პრობლემებს. სწორედ ამიტომ, მიგრანტების ბიოგრაფიების კვლევისას, იკვეთება გარკვეული სახის სევდიანი, ნოსტალგიური ასპექტები, რაც, ხშირ შემთხვევაში, შემდგომ გადაიქცევა ჩანაწერებად, ლიტერატურულ ტექსტებად“, — განაცხადა ნინო პოპიაშვილმა.

მეცნიერმა პრეზენტაციაზე აღნიშნა, რომ მიგრაციული ლიტერატურის კვლევა კიდევ უფრო აქტუალური გახდა XX საუკუნის ბოლოს, „დიდი მიგრაციების“ პერიოდში, როდესაც სხვადასხვა მასობრივი კატაკლიზმების და ომების შედეგად ინტელექტუალთა დიდმა ნაწილმა დატოვა თავისი ქვეყანა და მიგრაციაში წავიდა. ნინო პოპიაშვილს, მივლინების პერიოდში, საშუალება ჰქონდა გასცნობოდა რუსი, იაპონელი და ქართველი მიგრანტ-მწერლების შემოქმედებას.

„გამოცდილებამ აჩვენა, რომ მიგრანტთა ლიტერატურა მაინც სხვა დამატებითი ასპექტია და მისი კვლევა დღესაც გრძელდება. გერმანიაში ყოფნის დროს საშუალება მქონდა მესაუბრა გერმანელ მეცნიერებთან და მათი დახმარებით გავცნობოდი მიგრაციაში მოღვაწე მწერლებს, რომლებიც დღეს იმ ქვეყანაში პოპულარულები არიან, მათ შორის, რუსი წარმოშობის მწერლის — ვლადიმერ კამინერის შემოქმედებას. ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო წარმოშობით ქართველი, რუსულენოვანი, გერმანიაში მცხოვრები მიხეილ გიგოლაშვილის მწერლური ბიოგრაფია, რომელიც ემიგრაციაში წასვლამდე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობდა. მას საქართველოში იცნობენ აკადემიური წრის წარმომადგენლები როგორც ფილოლოგს, მეცნიერებათა დოქტორს, მაგრამ არ იცნობენ მის შემოქმედებას. მიხეილ გიგოლაშვილი დაახლოებით 20 წელია, გერმანიაში ცხოვრობს და წერს რუსულ ენაზე. მას კარგად იცნობენ რუსულენოვანი მკითხველები. ბატონ გიორგის ეკუთვნის რამდენიმე ნაწარმოები, მათ შორის ყველაზე გახმაურებული რომანებია: „ეშმაკის ბორბალი“ და „თარჯიმანი“. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ 2010 წელს მისმა რომანმა „ეშმაკის ბორბალი“, რომელშიც ასახულია საქართველოს 90- იანი წლების რეალობა, აიღო რუსული წიგნის პრემია და დასახელდა XXI საუკუნის 100 საუკეთესო რუსულ რომანებს შორის. გულდასაწყვეტია, რომ ქართველი მკითხველი დღემდე არ იცნობს მის შემოქმედებას“.

ნინო პოპიაშვილი

ნინო პოპიაშვილმა პრეზენტაციაზე სხვა მიგრანტ-მწერლების შემოქმედებაც გააცნო დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ მათი უმეტესობა გრძნობებითა და ემოციებით გაჯერებული ნაწარმოებებია.

„მიგრაციაში ყოფნა ხშირად გულისხმობს იმედებისა და ილუზიების მსხვრევას. ეს განსაკუთრებით XXI საუკუნის მიგრაციაზე შეიძლება ითქვას. დღეს განსაკუთრებით ტირაჟირდება მიგრაციული ლიტერატურა, რასაც თავისებური კვლევა სჭირდება“, — განაცხადა ნინო პოპიაშვილმა.

ᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲮᲝᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲒᲝᲜᲔᲑᲚᲐᲓ

როდესაც გამოსათხოვარ წერილს წერ, ძნელია ყველაფერი ისე თქვა, როგორც გინდა, როგორც ადრესატს ეკუთვნის, როგორც მას გაუხარდებოდა; ძნელია, ზუსტად მონახო სიტყვები, თავი მოუყარო სათქმელს, ერთი სიტყვით, ძნელია ... ამიტომაც, ეს წერილი, თავიდანვე ვიცით, რომ მხოლოდ მკრთალი ანარეკლი იქნება იმ უცნაურ-გასაოცარრთული სამყაროსი, რომელსაც გიორგი ხომერიკის სამყარო ჰქვია.

რუსთველის ყველაზე ენამჭევრი პერსონაჟი, მისი ალტერ ეგო - ავთანდილი ამბობს: „მე თუ მოვკვდე, ჩემი წილი სოფელიმცა გარდაქარდეს“, ანუ მე რომ მოვკვდები, თან წავიღებ მთელ ჩემს სამყაროს, ისიც გაქრება ჩემთან ერთადო.

ყოველი კაცი ინდივიდია - უნიკალურია; გიორგი ხომერიკი სწორედაც რომ სრულიად უნიკალური იყო მთელი თავისი არსებით, სამყაროსთან მიმართებით, ცხოვრებით, ახირებით, ურთიერთობებით, სწორედაც რომ სრულიად განსაკუთრებული. ამიტომაც, ბევრად უფრო რთულია მასზე წერა. წავიდა და თან თავისი განუმეორებელი სივრცე წაიყოლა, წაიღო თავისი „სოფელი“ - ფიქრით, შეგრძნებებით, ლექსებით, შემოქმედებით, შიშით,

მრავალი ტკივილითა და ტანჯვით სავსე თავისი „სოფელი“. მაინც ბევრი მოასწრო, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში მისი ჯანმრთელობა მკვეთრად გაუარესდა. სნეულება არ ანებებდა ძველებურად ემუშავა, თავისი ინტელექტი და ნიჭი შემოქმედებისკენ და მეცნიერებისკენ მიემართა.

გიორგი ხომერიკმა ქართულ ლიტერატურაში საკუთარი კვალი დატოვა. იგი იყო პოეტური ნიჭით დაჯილდოვებული ადამიანი და მის ლირიკულ ქმნილებებს, რომლებშიც მარტოსული ადამიანის დარდი და სევდაა ჩაბუდებული, რომლებშიც ანტიკური მითოსის პოეტური ხატებია გასაოცარი სიღრმითა და მშვენიერებით გაცოცხლებული, ალბათ, მრავალგზის მიუბრუნდება ქართველი მკითხველი. უნდა ითქვას, რომ მშვენიერების ეს განცდა, რომელიც გია ხომერიკის ლირიკული „ეგოს“ თანამდევი იყო მუდამ იმითაც იყო განპირობებული, რომ მისი პოეტური სული ანტიკური სამყაროს იდუმალებას იყო ზიარებული. მან თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მრავალი წელი სოფოკლეს ტრაგედიათა ქართულ ენაზე თარგმნას დაუთმო. როგორც ჩანს, და ამას თავადაც მრავალგზის აღნიშნავდა, ოიდიპოსის ტრაგედიამ მის სულს თავისი დაღი დაასვა. ამ თემას მიუძღვნა მან ორიგინალური და პოეტური განცდით გაჯერებული სამეცნიერო ნაშრომები, რომლებსაც ლაიტმოტივად გასდევდა „მამისა და ძის“ ურთიერთობის პრობლემა. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი ხომერიკის კვლევითი ხასიათის სხვა თხზულებებშიც მისი „პოეტური ეგოა“ თვალსაჩინო, რადგანაც იგი თეორიული მსჯელობების დროსაც პოეტად რჩებოდა.

ჩვენ, მისი ახლობლები გულწრფელად განვიცდით, რომ წავიდა ჩვენგან კიდევ ერთი „მშვენიერებისა და მარტოობის განცდით“ შეპყრობილი ადამიანი, მისი სიყრმის მეგობრის ხატოვანი გამოთქმა რომ მოვიშველიოთ „ტირესიასის რჩეული“, უბრალოდ — პოეტი.

ᲜᲐᲜᲐ ᲢᲝᲜᲘᲐ,
ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲦᲐᲠᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
თსუ-ის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის თანამშრომლები

ᲚᲘᲚᲘ ᲒᲝᲥᲡᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ

გარდაიცვალა ლილი გოქსაძე — შესანიშნავი მეცნიერი, წარმატებული პედაგოგი, გამორჩეული და ნიჭიერი პროფესიონალი, სტუდენტების და ახალგაზრდა კოლეგების ქომაგი და დამხმარე, საკუთარი ქვეყნის პატრიოტი. მიუხედავად მხედველობის პრობლემებისა, იგი დაუღალავად შრომობდა, მთელ თავის გამოცდილებას, ცოდნასა და ენერგიას ახმარდა ახალგაზრდა თაობის აღზრდასა და მათ სწორ გზაზე დაყენებას. ლილი გოქსაძე მკაცრი და მომთხოვნი ლექტორი იყო, მაგრამ მას არასდროს აკლდა სტუდენტებისა და ასპირანტების დიდი სიყვარული და პატივისცემა. ახალგაზრდები ამაყობდნენ მასთან მეგობრობით.

ლილი გოქსაძე დაიბადა 1935 წლის 3 იანვარს ქ. თბილისში. 1957 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის ინგლისური ენის განყოფილება. 1957-1959 წლებში მუშაობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში ინგლისური ენის მასწავლებლად.

1962 წლიდან, ასპირანტურის კურსის გავლის შემდეგ, ლილი გოქსაძე მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის კათედრაზე დოცენტად.

1993 წელს ლილი გოქსაძემ წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. მან შეისწავლა კატენატური ზმნები და ზმნის უპირო ფორმებთან დაკავშირებული საკითხები თანამედროვე ინგლისურ ენაში. ლილი გოქსაძეს მიენიჭა პროფესორის წოდება და იგი წარმატებით განაგრძობდა მუშაობას პროფესორის თანამდებობაზე ინგლისური ენის ფილოლოგიის კათედრაზე.

2006 წლიდან ლილი გოქსაძეს ეკავა სრული პროფესორის თანამდებობა. 2009 წელს მას მიენიჭა პროფესორ-ემერიტუსის წოდება.

ლილი გოქსაძეს გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო სტატია, 13 სახელმძღვანელო და მონოგრაფია „ქართულ-ინგლისური ყოფითი თავისებურებანი (თავაზიანობის ნორმები)“ 1997 წელს. „თანამედროვე ინგლისური ენის გრამატიკის უმაღლესი კურსის“ (ოთხტომეულის) გამოცემისთვის მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატობა (2002 წელი).

2009 წელს ლილი გოქსაძე დაჯილდოვდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლით, 2013 წელს — ღირსების ორდენით.

ლილი გოქსაძე იყო ათეულზე მეტი ასპირანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, რომლებმაც წარმატებით დაიცვეს საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. უნივერსიტეტში მუშაობის პერიოდში იგი იყო ინგლისური ენის მიმართულების სტუდენტთა სამეცნიერო წრის უცვლელი ხელმძღვანელი.

ლილი გოქსაძის გარდაცვალება დიდი დანაკლისია ინგლისური ფილოლოგიის სამეცნიერო წრისთვის, სტუდენტებისა და დოქტორანტებისთვის. იგი იყო მათი მუდმივი, დაუღალავი მრჩეველი და მასწავლებელი.

ლილი გოქსაძის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ყველა ანგლისტის გულში. ახლო მეგობრები მას გმირს უწოდებდნენ და ამის საბაბი ნამდვილად ჰქონდათ.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინგლისური ფილოლოგიის კათედრა

ᲦᲕᲐᲬᲚᲛᲝᲡᲘᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡ, ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ

ასაკში შესული ადამიანისთვის წლები საოცარი სისწრაფით ენაცვლებიან ერთმანეთს და ბოლოს დგება გარდაცვალების დღეც. თუმცა, გარდაცვალებით გამოწვეულ სევდას მუდამ თან ახლავს ამ პიროვნებაზე ხანგრძლივი, საინტერესო, მნიშვნელოვანი მოვლენებით აღსავსე ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოგონებები.

ქალბატონი შუშანა მარგველაშვილი (სოსელია) დაიბადა 1917 წლის 26 აპრილს ქ. ქუთაისში. თბილისის საფინანსო ტექნიკუმის წარჩინებით დამთავრების შემდეგ 1934 წელს მან სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე „სახალხო მეურნეობის დაგეგმვის” სპეციალობით, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1939 წელს.

1944 წელს საქართველოში გაიხსნა მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და ქალბატონი შუშანა ამ ინსტიტუტის გახსნის დღიდან ცნობილ მეცნიერ-ეკონომისტებთან ერთად გახლდათ ერთ-ერთი პირველი თანამშრომელი, ჯერ უმცროსი, შემდეგ კი უფროსი მეცნიერ-

მუშაკის თანამდებობაზე. პარალელურად ქალბატონი შუშანა მოღვაწეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტზე მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ეკონომიკის კათედრაზე.

ქალბატონმა შუშანამ 1964 წელს დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. ამავე წლიდან მან მუშაობა დაიწყო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ეკონომიკის კათედრაზე დოცენტის თანამდებობაზე. სამეცნიერო კვლევებს იგი წარმატებულად უთავსებდა პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობასაც, წლების მანძილზე კითხულობდა ლექციებს მრეწველობის ეკონომიკის სასწავლო კურსში. იგი იყო მრავალი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის მონოგრაფიების, ავტორი. დიდია მისი კვლევის წილი მრეწველობის ეკონომიკის, კერძოდ, მანქანათმშენებლობის ეკონომიკის აქტუალურ პრობლემებზე. ქალბატონი შუშანა იყო ინტელექტით აღსავსე და საოცრად წიგნიერი პიროვნება, დიდ სიყვარულს იმსახურებდა მეცნიერების, მეგობრებისა და სტუდენტების მხრიდან.

ქალბატონმა შუშანამ ცნობილ და წარმატებულ მეცნიერთან, ეკონომიკის დოქტორთან სერგო სოსელიასთან ერთად შექმნა საუკეთესო ოჯახი და აღზარდა შესანიშნავი შვილი – ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ზურაბ სოსელია.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინაშე გაწეული დიდი დამსახურების, სამეცნიერო და სასწავლო პროცესის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის ეკონომიკის დოქტორი ქალბატონი შუშანა მარგველაშვილი (სოსელია) დაჯილდოებული იყო ივანე ჯავახიშვილის მედლით, ასევე, ღირსების ორდენით, სიგელებითა და მადლობებით.

დიდია პროფესორ შუშანა მარგველაშვილი (სოსელიას) დამსახურება ეკონომიკურ მეცნიერებათა განვითარებაში, ახალგაზრდების აღზრდაში. ღვაწლმოსილი მეცნიერისა და პედაგოგის, საქართველოს ღირსეული მოქალაქის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი შთამომავლობის, ახლობლების, კოლეგებისა და აღზრდილების გულში.

ᲔᲗᲔᲠ ᲮᲐᲠᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
პროფესორი,
თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ახალი უნივერსიტეტი



კავკასიური ცარცის წრიდან ტოტალიტარიზმის გაურღვეველ წრემდე

პოლიტიკიდან აღარაფრის მოლოდინი არ უნდა გვქონდეს და არც საზოგადოება იძლევა იმედს! – მიუხედავად იმისა, რომ ამ აზრს დღეს საქართველოში ბევრი იზიარებს, რობერტ სტურუას სპექტაკლ-ფანტაზიის „ასულნის“ ნახვის შემდეგ რწმუნდები, რომ ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი რეჟისორიც იგივეს ფიქრობს. სამწუხაროდ, რომელი შინაგანი რესურსის ხარჯზე შეიძლება მოხდეს გარღვევა და ტოტალიტარიზმის მოჯადოებული წრიდან თავის დაღწევა, ამაზე რეჟისორი არაფერს ამბობს, მეტიც: „არაფერი გეშველებათ!“ – ასეთია სპექტაკლის ბოლო გზავნილი.

ROBERT STURUA: „შევეცადეთ, დაგვესვა დიაგნოზი, თუ რა გვჭირს. როცა დიაგნოზი დასმულია, უკვე გზა იხსნება მორჩენისთვის, იცი, როგორ მიხედო ამ სენს. ჟანრობრივად ეს კი არის ფანტაზია, მაგრამ, ამავე დროს, ეს არის ანტიუტოპია. „ასულნი“ იმიტომ დავდგი, რომ არ მინდა ის გველოდებოდეს, რაც სპექტაკლში ხდება; იმიტომ ვიკლავ გულს, რომ ცოტა ჩაფიქრდნენ, რაშია საქმე! ასე ვერ ვიცხოვრებთ, მით უმეტეს, რომ ახლა ასეთი საშიშროება შეიძლება განვითარდეს ჩვენს გარშემო. მაინც მგონია, რომ ამ სპექტაკლის ოპტიმიზმი იმაშია, რომ ჩვენ გეუბნებით სიმართლეს, რომელიც, ჩვენი აზრით, არის ის დაავადება, რაც გვჭირს და რაც უნდა მოვირჩინოთ. ვინ მოგვარჩენს? სათქმელად ძალიან ძნელია, ყოველ შემთხვევაში, ხელოვნება ვერ მოგვარჩენს, ვიცი!“ – ასეთია რეჟისორის სათქმელი, რომელიც 8 მარტს რუსთაველის თეატრში სპექტაკლის შემდეგ გამართულ დისკუსიაზე მოვისმინეთ. დისკუსია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის დავით მაზიაშვილის ინიციატივით მოეწყო.

„ასულნი“ პოლიკარპე კაკაბაძის ნაწარმოებების მიხედვით დაიდგა და ამ სპექტაკლით რუსთაველის თეატრმა გასულ წელს 136-ე სეზონი გახსნა. სპექტაკლით რობერტ სტურუას რუსთაველის თეატრში დაბრუნებაც აღინიშნა და, შესაბამისად, მოლოდინი, რომ რეჟისორი მნიშვნელოვან სათქმელს იტყოდა, რომელსაც ერიც გაიზიარებდა და აიტაცებდა – დიდი იყო.

ერი – ეს სიტყვა სპექტაკლში, რაც მხოლოდ პოლიტიკური „სპიჩია“ და დანარჩენი სათქმელი ქორეოგრაფიით, მუსიკით, დეკორაციითა და სხვა სცენური ეფექტებითაა გადმოცემული, საკმაოდ ხშირად გაისმის. ამ შემთხვევაშიც სტურუას „ერი“ ისეთივეა, როგორიც „კავკასიურ ცარცის წრეში“ – ყოფის კარნავალში ჩაბმული და თავქარიანი... მაგრამ ამჯერად ეს აღარ არის ფერადი კარნავალი, ეს უკვე აპოკალიფსური როკვაა, სცენაზე დატრიალებული ამბები კი იმდენად პირდაპირ კავშირშია ქართულ პოლიტიკურ ქრონიკასთან, რომ ლამის ღიად იკითხება ზოგიერთი პერსონაჟის რეალური პროტოტიპი.

რაც ყველაზე საინტერესოა, სპექტაკლში „ერი“ მთლიანად ფემინურია და ათივე პერსონაჟი ქალია. მამაკაცი, როგორც ასეთი, არ ჩანს. ამ „ერის“ ორგანიზმი კი მხოლოდ უდღეურ პოლიტიკოსებს ბადებს, რომლებიც ჟივილ-ხივილით აჰყავს მას კვარცხლბეკზე და შემდეგ თავადვე ანადგურებს მათ – ეს ამბავი ერთადერთია, რომელიც სპექტაკლში ხდება და გამუდმებულად მეორდება ლაიტმოტივად ქცეულ ფრაზასთან ერთად: „მოვკვდებით და არავინ დაგვიტირებს...“ ამ სრული გამოუვალობის შეგრძნებით დასრულებული სპექტაკლის შემდეგ მაყურებელს ერთი რჩება — თავად დაიწყოს გამოსავალზე ფიქრი.

„სად არის გამოსავალი? ეს არის სახარებისეული კითხვა. მთავარი სულისკვეთება, მთავარი პლასტი, რითაც მომხიბლა ამ სპექტაკლმა, არის ის, რომ გვეუბნება: იმედების, ოცნებების, მოლოდინების სასაფლაოზე რომ არ აღმოვჩნდეთ ადამიანები, ამისთვის რაღაც არის გასაკეთებელი. სპექტაკლის განმავლობაში სულ ამ ძიების, მოლოდინის და მათი მსხვრევის სასაფლაოა აღწერილი. სახარებაშიც ამგვარი ძიებები არის, ოღონდ მსხვრევის გარეშე და თუ სახარებაში 10 ქალწულია მოყვანილი, სადაც ხუთი ბრძენია და ხუთი - სულელი, სპექტაკლში ათივე ასული, სამწუხაროდ, სულელი! მათი მოლოდინი, მათი იმედები და ცხოვრებისეული გზა დაკავშირებული იყო სრულიად მატერიალურთან. ჭეშმარიტება, სიმართლე, ხსნის გზა, რომელსაც გამუდმებულად ეძებენ ისინი, მხოლოდ მაცხოვარია და ადამიანი მესია ვერ იქნება. ჩვენ გვავიწყდება ერთი რამ: არც ერთი ადამიანი არ არის სრულყოფილი და იდეალური, ამიტომ მათი დანაპირებებიც არ სრულდება“, — აღნიშნა სპექტაკლის განხილვისას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო სამეცნიერო ცენტრის პროფესორმა, დეკანოზმა ლევან მათეშვილმა.

> მაინც მგონია, რომ ამ სპექტაკლის ოპტიმიზმი იმაშია, რომ ჩვენ გეუბნებით სიმართლეს, რომელიც, ჩვენი აზრით, არის ის დაავადება, რაც გვჭირს და რაც უნდა მოვირჩინოთ.

რელიგიურ თემასთან ერთად სპექტაკლში აშკარად იკითხება პოლიტიკურ-კულტურული კრიზისის თემაც: „ეს არის ფანტაზია, რომელიც აუცილებელი საფუძველია ოცნების. ის ფაქტი, რომ ოცნება შეიცვალა სიტყვა ფანტაზიით, უკვე მინიშნებაა იმ რეალობაზე, რომელზეც ხშირად გვისაუბრია და გვიკამათია. წლიდან წლამდე იკვეთება ყოველი ახალი ხელისუფლების სურვილი — შეცვალოს ერი. თუმცა, უნდა შევახსენოთ პოლიტიკოსებს, რომ ერი კლდეა, ნებისმიერი პოლიტიკოსი კი ის წყალია, რომელიც წავა და წამოვა და ამიტომ, ერთან ურთიერთობა არ შეიძლება მხოლოდ სურვილების საფუძველზე. სპექტაკლში ვიხილეთ ხელისუფლების რამოდენიმე ცვლილება. მართალია, გროტესკული ფორმებია გამოყენებული, მაგრამ, ძალაუნებურად, იგი აღძრავს არცთუ შორეული წარსულის მოგონებებს. თვალი გავუსწოროთ რეალობას და ვთქვათ, რომ, მას შემდეგ, რაც ჩვენი მოსახლეობისთვის არჩევნები ხელმისაწვდომი გახდა, მას უწევს არჩევა ცუდსა და უარესს შორის. სპექტაკლშიც ვიხილეთ, რომ ასეთ დროს ტერმინი „უკეთესი“, სამწუხაროდ, არ ნიშნავს — „კარგს“, – ასეთია სპექტაკლისა და ჩვენი სინამდვილის შესახებ პოლიტილოგ სოსო ცისკარიშვილის მოსაზრება.

> არ ვფიქრობ, რომ დღეს ჩვენი საზოგადოება არის ისეთივე ზომგირეგული, როგორიც იყო თუნდაც ოცი წლის წინ. მიმაჩნია, რომ ამ მხრივ ძალიან მნიშვნელოვანი პროგრესია

„არ მახსოვს თქვენი სპექტაკლი, რომელიც იყოს ასეთი ნიჰილისტური. ჩვენს საზოგადოებაში ხშირად ისმება კითხვა – რა გვეშველება? ამ სპექტაკლიდან დამრჩა შთაბეჭდილება, რომ არაფერიც არ გვეშველება და ვართ ტოტალიტარიზმის წყვდიადის მოჯადოებულ წრეში გაჭედილები, სადაც დრო ხან სწრაფია, ხან ნელი, პრინციპში დრო არ არსებობს, რადგან არაფერი იცვლება“, — შეუძლებელია არ დაეთანხმო სოციოლოგ იაგო კაჭკაჭიშვილის მოსაზრებას სპექტაკლთან და ჩვენს სინამდვილესთან დაკავშირებით: „ტოტალიტარიზმის ერთი მნიშვნელოვანი საყრდენი ზომბირებული ადამიანი და საზოგადოებაა. სპექტაკლში შესანიშნავი მსახიობები სწორედ ამ ზომბირებულ საზოგადოებას გვიჩვენებენ. ზომბირებული ადამიანის ერთი ძალიან მნიშვნელოვანი მახასიათებელი კი ის არის, რომ იგი ყოველთვის მოძრაობს უკიდურესობებში და საკუთარ ბედზე პასუხისმგებლობას სხვას ანდობს, ამ შემთხვევაში ბელადს. ზომბის განწყობა არის ან უკიდურესი აღტაცება, აღფრთოვანება, არაადეკვატური მოლოდინი მომავალი ბედნიერების, ან კი სასოწარკვეთა მაშინ, როდესაც აღმოაჩენს, რომ იმედი გაუცრუვდა. ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო ამ სპექტაკლში ის, რომ ნაჩვენებია ჩვენი საზოგადოების დამოკიდებულება სიმართლისადმი. ტოტალიტარიზმი ეფუძნება ილუზიას და სიცრუეს. მეტიც – ტოტალიტარულ საზოგადოებაში სიცრუე უფრო მეტად ფასობს, ვიდრე სიმართლე, რადგან სიმართლე მწარეა და მისი მოსმენა არავის სურს. სიმართლე ასევე რეალობის შესაბამისად მოქმედებასაც გულისხმობს. თუმცა, ძალიან ნიჰილისტურია ეს წარმოდგენა და აქ იწყება ჩემი განხეთქილება სპექტაკლთან: არ ვფიქრობ, რომ დღეს ჩვენი საზოგადოება არის ისეთივე ზომბირებული, როგორიც იყო თუნდაც ოცი წლის წინ. მიმაჩნია, რომ ამ მხრივ ძალიან მნიშვნელოვანი პროგრესია“, — საკუთარი ოპტიმიზმის დასადასტურებლად სოციოლოგი კონკრეტულ კვლევებს და დაკვირვებებს ეყრდნობა. თუმცა, ის ფაქტი, რომ საქართველოში დაიდგა სპექტაკლი, რომლის საშუალებითაც რუსთაველის თეატრის დასმა ჩვენი სინამდვილე გვიჩვენა, ნამდვილად მიანიშნებს იმაზე, რომ რეფლექსია დაწყებულია და როგორც მწერალმა და დრამატურგმა ლაშა თაბუკაშვილმა აღნიშნა: „პოლიტიკური პროცესი, რომელიც სხვა მრავალ მიზეზთან ერთად ხელს უწყობს ჩვენს სულიერ დეგრადაციასა და დეფორმაციას, ძალიან გაინელა საქართველოში. თუმცა, როდესაც სპექტაკლი დასრულდა, იყო კათარზისის განცდა. სპექტაკლი თითქოს გეუბნება: ნუ ეძებ სიმბოლოებს, ნუ ცდილობ მინიშნებების გაშიფვრას, უბრალოდ, წამომყევი და ერთად გავალთ წყლიდან ნაპირზე“.

მოამზადა
ლელა კურდღელაშვილმა

მთავარი რედაქტორი	ნინო კაკულია
მთავარი სპეციალისტი	მაია ტორაძე
ტექნიკური რედაქტორი	მანანა ჯურხაძე
ფოტოკორესპონდენტი	ანა ბოლქვაძე
კომპ. უზრუნველყოფა	ზაზა გულაშვილი

რედკოლეგიის წევრები:
რისმაგ გორდეზიანი, იაგო კაჭკაჭიშვილი, ნოდარ ხადური, ელენე ხარაბაძე, მანანა შამილიშვილი, თემურ ნადარეიშვილი, ლადო მინაშვილი, მორის შალიკაშვილი, ნინო ჩიხლაძე, დიანა ძიძიგური, არსენ გვენეტაძე, ირაკლი კობახიძე, შალვა აბზიანიძე

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 11
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
tsunewspaper@tsu.ge
2 22 36 62